ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

ესწალკაა
EMBRACETsalka

ČENN
Shaping the Future by Changing Today

ადამიანების შესაძლებლობების კვლევა

წალკის მუნიციპალიტეტში

თბილისი, 2021

ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

CENN
Shaping the Future by Changing Today

ადამიანების შესაძლებლობების კვლევა

წალკის მუნიციპალიტეტში

ანგარიშის ავტორი
თეონა მატარაძე

დოკუმენტი შემუშავებულია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს. დოკუმენტი მომზადებულია პროექტის - ადგილობრივი ლიდერები მდგრადი განვითარებისათვის წალკის მრავალეთნიკურ მუნიციპალიტეტში „ეს წალკაა“ - ფარგლებში

ესწალკაა
EMBRACETsalka

თებერვალი, 2021

სარჩევი

I თავი: კვლევის დიზაინი 5

I ეტაპი - საკაბინეტო კვლევა 5

II ეტაპი - ექსპერტული კვლევა 5

III ეტაპი - ფოკუსირებული დისკუსია 7

II თავი: წალკის მუნიციპალიტეტის შესახებ (საკაბინეტო კვლევის შედეგები) 9

2.1 მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება 9

2.2 მოსახლეობის სოციალურ-კულტურული პროფილი 10

2.3 განათლება და საგანმანათლებლო დაწესებულებები 13

2.4 მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა 16

2.5 ეკონომიკური პარამეტრები 16

2.6 ბიზნესსუბიექტები 20

2.7 ზოგადად საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები და ადამიანური რესურსების მიწოდების კუთხით დაფიქსირებული დეფიციტი 22

III თავი: ადამიანური შესაძლებლობების (კაპიტალის) შეფასება ეკონომიკური სექტორების მიხედვით 25

3.1 სოფლის მეურნეობა 26

3.1.1. სოფლის მეურნეობაში ჩართული პირების ფორმალური და არაფორმალური განათლება 26

3.1.2. ზოგადი, გარდამავალი უნარები: 31

3.1.3 სპეციფიკური ცოდნა და უნარები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ქვედარგში 34

3.1.3.1 ფერმერთა სპეციფიკური ცოდნა და უნარები მეცხოველეობის კუთხით: 34

3.1.3.2. ფერმერთა სპეციფიკური ცოდნა და უნარები მემცენარეობის კუთხით: 38

3.1.3.3. ფერმერთა სპეციფიკური ცოდნა და უნარები მეფრინველეობის კუთხით: 41

3.1.3.4. მეფუტკრეობა 42

3.1.3.5. მეცხოველეობასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემები: 43

3.1.3.6. მარცვლეული, ბოსტნეული - სპეციფიკური პრობლემები 44

3.2. ტურიზმი 45

3.2.1. ტურიზმში ჩართული პირების ფორმალური და არაფორმალური განათლება 45

3.2.2. ზოგადი უნარები: 47

3.2.3. სპეციფიკური ცოდნა და უნარები ტურიზმის განვითარების კუთხით 49
3.3 მრეწველობა 53
3.3.1 მრეწველობაში ჩართული პირების ფორმალური და არაფორმალური განათლება 53
3.3.2. ზოგადი უნარები 54
3.3.3. მრეწველობაში ჩართული პირების სპეციფიკური ცოდნა და უნარები 55
3.4. ვაჭრობა 57
3.4.1. ვაჭრობაში ჩართული პირების ფორმალური და არაფორმალური განათლება 57
3.4.2. ზოგადი უნარები 57
3.4.3. ვაჭრობაში ჩართული პირების სპეციფიკური ცოდნა და უნარები 58
3.5. საჯარო სექტორი 59
3.5.1. საჯარო სექტორში დასაქმებული პირების ფორმალური და არაფორმალური განათლება 59
3.5.2. ზოგადი უნარები 60
3.5.3. საჯარო სექტორში დასაქმებული პირების სპეციფიკური ცოდნა და უნარები 61

IV თავი: წალკის მუნიციპალიტეტში მოთხოვნადი პროფესიები და კადრების მოძიებასთან დაკავშირებული პრობლემები 61
4.1 სოფლის მეურნეობა 61
4.2 ტურიზმი 64
4.3 მრეწველობა 65
4.4 ვაჭრობა 65
4.5 საჯარო სექტორი 65

V თავი: განათლების მიმართ სკეპტიციზმი და მოთხოვნადი საგანმანათლებლო კომპონენტები 66
5.1 სოფლის მეურნეობა 66
5.2 ტურიზმის სექტორი 69
5.3 მრეწველობა 69
5.4 ვაჭრობა 70
5.5 საჯარო სექტორი 70

VI თავი: დასკვნა 71

VII თავი: რეკომენდაციები 73

დანართები 74

I თავი: კვლევის დიზაინი

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, აღწეროს და გააანალიზოს წალკის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტის 'ეს წალკაა' პოტენციური ბენეფიციარებისა და დაინტერესებული მხარეების **ადამიანების შესაძლებლობები (Human Capital Analyses).** კვლევის ფარგლებში შეფასდა სამიზნე ჯგუფების უნარები, ცოდნა, შესაძლებლობები და საჭიროებები პროექტის მიზნობრივ შემდეგ სექტორებში: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ვაჭრობა, მრეწველობა და საჯარო სექტორი.

კვლევა მიმდინარეობდა სამ ეტაპად. თითოეული ეტაპი ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო თემატური და მეთოდოლოგიური კუთხით. აღვწეროთ თითოეულ ეტაპზე ჩატარებული სამუშაო:

I ეტაპი - საკაბინეტო კვლევა:

საკაბინეტო კვლევის მიზანი იყო მუნიციპალიტეტში არსებული დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა მეორად დოკუმენტებზე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებსა და ბიზნესსუბიექტების ბაზაზე დაყრდნობით. გარდა ამისა, საკაბინეტო კვლევის ფარგლებში შეფასდა, ზოგადად, საქართველოში და ქვემო ქართლის რეგიონში შრომის ბაზარზე დასაქმების პროცესში არსებული მდგომარეობა. მეორად დოკუმენტებად შერჩეულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები და სტრატეგიული დოკუმენტები.

II ეტაპი - ექსპერტული კვლევა:

ექსპერტული კვლევის მიზანი იყო, გამოგვევლინა დასაქმებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის საჭირო ცოდნა, უნარები და ის პროფესიები, რომლებზეც ამჟამად ფიქსირდება ან სამომავლოდ დაფიქსირდება მოთხოვნა წალკის მუნიციპალიტეტში. ამ მიზნით შემუშავდა სხვადასხვა თემატური ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი. ექსპერტების შერჩევა მიზნობრივი შერჩევის მეთოდით განხორციელდა. მეორე ეტაპზე სულ ჩატარდა 11 ექსპერტული ინტერვიუ შემდეგი მიმართულებებით:

#	ექსპერტები
3 ინტერვიუ	1. საჯარო სექტორის წარმომადგენლები:
	1.1. საკრებულოს თავმჯდომარე;
	1.2. მერის მოადგილე;
	1. 3. სოფლისა და სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი.
2 ინტერვიუ	2. პროექტის წარმომადგენლები:
	2.1. „ეს წალკაა“ პროექტის წარმომადგენელი;
	2.2. LAG-ის თანათავმჯდომარე.
4 ინტერვიუ	3. სამიზნე სექტორში მოღვაწე მსხვილი ფერმერები და მრეწველობის სექტორის წარმომადგენლები.
	3. 1. კარტოფილის წარმოება;
	3. 2. რძის წარმოება და გადამუშავება;
	3. 3. ვაჭრობის სფეროს წარმომადგენელი;
	3. 4. წიაღისეულის მოპოვება;
2 ინტერვიუ	4. დარგობრივი ექსპერტები:
	4. 1. სოფლის მეურნეობის ექსპერტი;
	4. 2. ტურიზმის სფეროს ექსპერტი.

ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ინდიკატორები, რომლებიც უნდა შეფასებულიყო ადგილობრივ მოსახლეობასთან ჯგუფური დისკუსიების ფარგლებში.

III ეტაპი - ფოკუსირებული დისკუსია:

მესამე ეტაპზე ჩატარებული ფოკუსირებული ჯგუფური დისკუსიის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნისა და უნარების შეფასება, რომლებიც კვლევის მეორე ეტაპზე იდენტიფიცირდა, როგორც დასაქმებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა **13 ფოკუსირებული დისკუსია,** ხოლო პოტენციურ მონაწილეთა დაბალი ინტერესის გამო, ერთი დისკუსია ჩანაცვლდა სიღრმისეული ინტერვიუებით. ფოკუსჯგუფები ჩატარდა შემდეგი კონფიგურაციით:

#	სამიზნე ჯგუფი
I ჯგუფი	მეცხოველეობაში ჩართული პირები - ქართული ეთნიკური ჯგუფის სხვადასხვა სქესის, ასაკისა და მეურნეობის ზომის მიხედვით
II ჯგუფი	მეცხოველეობაში ჩართული პირები - ეთნიკური უმცირესობების ჯგუფი: სხვადასხვა სქესის, ასაკის, მეურნეობის ზომისა და ეთნიკური კუთვნილების მიხედვით
III ჯგუფი	პირები, რომლებიც ეწევიან მემარცვლეობას (ხორბალი, ქერი, შვრია) და მეკარტოფილეობას
IV ჯგუფი	ყველისა და რძის პროდუქტების წარმოებაში ჩართული პირები - სხვადასხვა სქესის, ასაკის, მეურნეობის ზომისა და ეთნიკური კუთვნილების მიხედვით
V ჯგუფი	პირები, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა მიმართულებით - მეფუტკრეობა, სასათბურე მეურნეობა, ახალი ჯიშების მოყვანა, მეფრინველეობა
VI ჯგუფი	ტურისტული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების მფლობელები (სასტუმროების, რესტორნების, კაფეების მფლობელები)
VII ჯგუფი	ტურიზმის სექტორში დაქირავებული სერვისის მიმწოდებლები (სასტუმროებში, რესტორნებში, კაფეებში დასაქმებული პირები)
VIII ჯგუფი	პირები, რომლებსაც სურთ ტურიზმის სექტორში საქმიანობა
IX ჯგუფი	საცალო და საბითუმო ვაჭრობაში ჩართული პირები
X ჯგუფი	პირები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით ეწევიან წარმოებას
XI ჯგუფი	ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ააიპ-ების წარმომადგენლები
XII ჯგუფი	პირები, რომლებიც დასაქმებულნი არიან განათლების და ჯანდაცვის სექტორში
XIII ჯგუფი	LAG-ის წევრები და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი

ფოკუსჯგუფის მონაწილეთა მოწვევას ადგილობრივი რეკრუტორი ახორციელებდა, რომელიც მიზნობრივ და თოვლის გუნდის[1] შერჩევის პრინციპებს იყენებდა, ან მონაწილეებს არჩევდა დამკვეთი ორგანიზაციის მიერ მოწოდებული LAG-ის წევრთა ბაზიდან. დისკუსიები შედგა 2020 წლის 19-28 ივნისს. დისკუსიის დასაწყისში ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია კვლევის ეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ფოკუსჯგუფების მსვლელობა ჩაიწერა აუდიო საშუალებით. დისკუსიების ხანგრძლივობა ვარირებდა 1.5 საათიდან 2.5 საათამდე. ანალიზი განხორციელდა როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ **კვლევის შეზღუდვებზე.** იქედან გამომდინარე, რომ კვლევა ეყრდნობოდა თვისებრივ დიზაინს, მისი საშუალებით გამოიკითხა მცირე ზომის მიზნობრივად შერჩეული ჯგუფი, მიღებული შედეგები არარეპრეზენტატულია და მისი განზოგადება მუნიციპალიტეტზე მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია.

წარმოდგენილ ანგარიშში წალკის მუნიციპალიტეტისა და შრომის ბაზარზე არსებული ზოგადი მდგომარეობის დახასიათების შემდეგ, წარმოდგენილია ადამიანური შესაძლებლობების რესურსის დახასიათება შემდეგ სექტორებში: **სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ვაჭრობა, მრეწველობა და საჯარო სექტორი.** ადამიანური შესაძლებლობები და ცოდნა შევაფასეთ შემდეგი მიმართულებებით: **ფორმალური და არაფორმალური განათლება და ცოდნა, სპეციფიკური უნარები და ზოგადი, ტრანსფერული უნარები. განხილულია კადრების მოძიების სტრატეგიები, დეფიციტური პროფესიები და მონაწილეთა მიერ სასარგებლოდ შეფასებული საგანმანათლებლო მიმართულებები. ნაშრომის ბოლოს კი არის დასკვნა და რეკომენდაციები.**

[1] თოვლის გუნდის შერჩევა არის არაალბათური შერჩევის ტიპი, როდესაც მკვლევარი უკავშირდება სამიზნე ჯგუფის შეზღუდულ რაოდენობას და მათი საშუალებით ამყარებს კონტაქტს უფრო მეტ ადამიანთან.

II თავი: წალკის მუნიციპალიტეტის შესახებ (საკაბინეტო კვლევის შედეგები)

2.1 მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

წალკის მუნიციპალიტეტი შედის ქვემო ქართლის რეგიონის შემადგენლობაში. მისი საერთო ფართობია 1,050,6 კმ2. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი წალკა. წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 19.5 ათას ადამიანს შეადგენს. რეგიონის შემადგენლობაში მუნიციპალიტეტის ფართობის წილი 16.2%-ია, მაშინ, როდესაც მოსახლეობა მხოლოდ 4.5%-ია. უკანასკნელი 26 წლის მიხედვით, მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა აჩვენებს, რომ 1994 წელს წალკის მოსახლეობა 49 ათას ადამიანს შეადგენდა, შემდგომ წლებში რაოდენობამ რადიკალურად იკლო და ყველაზე დაბალ ნიშნულზე (17.8 ათასი ადამიანი) 2002 წელს ჩამოვიდა, რის შემდეგაც შეინიშნება მოსახლეობის რიცხოვნობის მცირედი სტაბილური ზრდა (იხ. გრაფიკი #1). წალკის მოსახლეობა ცხოვრობს ქალაქ წალკასა და 29 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

გრაფიკი 1: წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დინამიკა 1994-2020 წწ (ათასი კაცი)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 19.5% (3.8 ათასი ადამიანი) ცხოვრობს საქალაქო დასახლებაში, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა - სოფლად (იხ. დანართები, ცხრილი #1). შინამეურნეობების ზომის მიხედვით წალკაში ძირითადად გავრცელებულია საქართველოსთვის დამახასიათებელი საშუალო ზომის ოჯახები (3.4). დასახლების ტიპის მიხედვით ფიქსირდება მცირედი განსხვავება. საქალაქო დასახლებაში გავრცელებულია შედარებით მცირე სიდიდის შინამეურნეობები (საშუალო ზომა 3.3), ვიდრე სასოფლო დასახლებებში (საშუალო ზომა 3.5). ერთწევრიანი შინამეურნეობები უფრო მეტად ქალაქ წალკაშია გავრცელებული (შინამეურნეობების 18.7% ერთწევრიანია), ვიდრე სასოფლო დასახლებებში (შინამეურნეობების 15.9% ერთწევრიანია).

2.2 მოსახლეობის სოციალური-კულტურული პროფილი

წალკის მცხოვრებთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები დავახასიათეთ, 2014 წლის საქართველოს ეროვნული აღწერის შედეგების მიხედვით. 2014 წლის მდგომარეობით წალკის მოსახლეობის 49.8% მამაკაცია, ხოლო 50.1% ქალი - (იხ. გრაფიკი #2) და ეს პროპორცია ნარჩუნდება როგორც სასოფლო, ისე საქალაქო დასახლებებში. 20 წლამდე ყველა ასაკობრივ ჯგუფში შეინიშნება ვაჟთა სიჭარბე (განსაკუთრებით კი ეს დისპროპორცია სასოფლო დასახლებაში ფიქსირდება), რაც შეიძლება სელექციური აბორტის შედეგებით იყოს გამოწვეული. 20 წლიდან ზემოთ მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა შედარებით ბალანსდება (აქ კი გასათვალისწინებელია რუსეთის მიმართულებით მიგრაციის ფაქტორი, რომელსაც, ძირითადად, მამაკაცები ახორციელებენ), ხოლო 70 წლიდან ზემოთ ყველა ასაკობრივ კატეგორიაში ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს მამაკაცებისას.

გრაფიკი 2: 2014წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით წალკის მუნიციპალიტეტი მრავალფეროვანია. ორი მთავარი დომინანტური ჯგუფია: ეთნიკური ქართველები (46.7%) და ეთნიკური სომხები (38.8%) (იხ. გრაფიკი #3). ეთნიკური აზერბაიჯანელი (7%) და ეთნიკური ბერძენი (6.9%) მოსახლეობა თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში, ეთნიკური აზერბაიჯანელები, ძირითადად, სასოფლო დასახლებაში არიან განსახლებულნი, მაშინ, როდესაც ეთნიკური ბერძნების წილი საქალაქო დასახლებაში მცირედით მაღალია. ეთნიკური ბალანსი განსხვავებულია დასახლების ტიპის მიხედვით. ქალაქ წალკაში მოსახლეობის 80.8% ეთნიკური ქართველია, 12 % - ეთნიკური ბერძენი, 3.9% - ეთნიკური სომეხი. მუნიციპალიტეტში სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები სულ 0.5%-ია და მათ შორის ნახევარი ეთნიკური რუსია.

გრაფიკი 3: 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა საქალაქო-სასოფლო დასახლებების და ეროვნებების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

წალკის მუნიციპალიტეტი მულტირელიგიურია. 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები მიუთითებს, რომ აღმსარებლობის მიხედვით ყველაზე დიდი ჯგუფი მუსლიმურია (39.1%), რომლის 81% სასოფლო დასახლებაშია კონცენტრირებული. ადგილობრივი მოსახლეობის 35% სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელია, რომელიც მთლიანად სასოფლო დასახლებებშია განსახლებული. მართლმადიდებელი მოსახლეობა წალკის მუნიციპალიტეტის მკვიდრთა 24.3%-ს შეადგენს, რომელთა კონცენტრაცია საქალაქო დასახლებაში უფრო მაღალია (33.7%).

ისინი აღნიშნავდნენ, რომ ეკომიგრანტების ჩამოსახლების პირველ ეტაპზე იშვიათად შეინიშნებოდა ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული კონფლიქტები, თუმცა დღესდღეობით მსგავსი სიტუაცია არ გვხვდება. ფოკუსჯგუფების მიმდინარეობისას შეინიშნებოდა მცირედი ანტაგონიზმი სხვადასხვა ჯგუფს შორის. რადგან ეთნიკურ ქართველ მოსახლეობაში ანტაგონიზმი სომხურ თუ აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ არ შეინიშნებოდა, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ეთნიკური ბერძნების მიმართ ანტაგონიზმი ძირითადად გამოწვეულიამიწაზეხელმისაწვდომობით.როგორცადგილობრივებიაღნიშნავენ,პრივატიზაციის საწყის ეტაპზე, სანამ ეკომიგრანტები წალკაში საცხოვრებლად გადმოვიდოდნენ და მუდმივად დამკვიდრებას გადაწყვეტდნენ, ეთნიკურმა ბერძნებმა დიდი რაოდენობით ხარისხიანი მიწის პრივატიზაცია მოახდინეს. მართალია, ადგილობრივები აღნიშნავენ, რომ ჩამოსახლების დროს მიწის შესყიდვა მათაც შეეძლოთ, თუმცა მათ ეს შანსი ვერ გამოიყენეს. ეთნიკური ბერძნების დასახლებებში, ძირითადად, ასაკოვანი ადამიანები არიან დარჩენილი, ხოლო საშუალო და ახალგაზრდა თაობა საბერძნეთში წავიდა. ადგილობრივი ეკო მიგრანტები მიწას ქირით სწორედ ამ ასაკოვანი ქალებისაგან იღებენ. სწორედ ამიტომ მათ საუბარში აქა-იქ გაჟღერდება, რომ ეთნიკური ბერძნები, რომლებიც რეალურად წლების განმავლობაში არ ცხოვრობენ ადგილზე, ეკონომიკურ სარგებელს აქაც კი ნახულობენ ქართველების ხარჯზე. თუმცა, რა თქმა უნდა, ადგილობრივების სოლიდური ნაწილი აღნიშნავს, რომ კერძო საკუთრება ხელშეუხებელია და ეთნიკურმა ბერძნებმა ის შანსი გამოიყენეს, რისი გამოყენებაც ეთნიკურმა ქართველებმა ვერ შეძლეს. აქვე მინდა დავამატო, რომ ვინაიდან წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კომპოზიცია მრავალფეროვანია, არაეთნიკური ნიშნითაც შეიმჩნევა პოზიტიური თუ ნეგატიური სტერეოტიპები სხვადასხვა ჯგუფს შორის. მაგალითად, რომ აჭარიდან ჩამოსახლებული

ეკომიგრანტები ყველაზე მშრომელები არიან, ან გენდერული თანასწორობა სვანეთიდან ჩამოსახლებულ ეკო-მიგრანტებში უფრო დაცულია, ვიდრე აჭარიდან გადმოსახლებულებში. თუმცა ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ეს ანტაგონიზმი თუ სტერეოტიპები არ იწვევს მოსახლეობას შორის გაუცხოებას, დაპირისპირებას, ადგილობრივებმა მართლაც შეძლეს ჰარმონიული თანაარსებობა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ წალკის მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობების მთავარი პრობლემა ენობრივი ბარიერია. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის 47.1%-ისათვის ქართული მშობლიური ენაა; 28.6%-ისათვის მშობლიური ენა სომხურია, 7%-ისათვის - აზერბაიჯანული. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში ეთნიკური რუსების წილი 0.26%-ია (სულ 49 ადამიანი), რუსული მშობლიური ენა ადგილობრივთა 3.9%-ისთვისაა (735 ადამიანი), რაც განპირობებულია საბჭოთა ენობრივი პოლიტიკით, როდესაც ეთნიკური უმცირესობების განათლება არა მათ ეთნიკურ ენაზე, არამედ რუსულ ენაზე იყო უზრუნველყოფილი.

გრაფიკი 4: 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა მშობლიური ენისა და ქართული ენის თავისუფლად ფლობის მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

აღწერის შედეგების მიხედვით, ადგილობრივთა 56.9% ქართულ ენას თავისუფლად ფლობს, მათგან 82.%-ისათვის ქართულია მშობლიური ენა, ხოლო -11.3%-ისათვის სომხური (იხ. გრაფიკი #4). წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 41.1% ქართულ ენას თავისუფლად არ ფლობს. მათ შორის უდიდესი წილი (76%) მოდის მათზე, ვისთვისაც სომხური ენა მშობლიურია.

ქართული ენის ცოდნის დაბალ დონეზე მიუთითებს ყველა ადგილობრივი ექსპერტი. მათი თქმით, სახელმწიფო ენა თითქმის ყველა ახალგაზრდამ იცის, თუმცა საშუალო ასაკისა და ხანშიშესული ადგილობრივებისათვის ქართული ენის შესწავლა გადაულახავი ბარიერი

აღმოჩნდა. საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი გიგინეიშვილისა, და ქალაქ წალკის მერის მოადგილის, ანზორ ხინიკაძის, თქმით, მუნიციპალურ სტრუქტურებშიც კი არიან დასაქმებული ადამიანები, რომლებსაც სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე აქვთ. თუმცა მერის მოადგილის აღნიშვნით, ეს სწორი პოლიტიკაა: „შემდეგი ესკალაცია რომ არ მოხდეს ეთნიკურ ჯგუფებს შორის, დასაქმება თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის. კი, არსებობს დასაქმებულებთან ენის ბარიერი, მაგრამ, სამაგიეროდ, ურთიერთობა მეგობრულია, რასაც ხედავენ ახალი თაობები და სამომავლოდ ეს პოზიტიურ ტენდენციებს ქმნის.“ ირაკლი გიგინეიშვილის თქმით, საკრებულოში დასაქმებული ეთნიკური უმცირესობები, ერთი მხრივ, რესურსია, რათა ადგილობრივ ეთნიკურ უმცირესობებთან მათსავე ენაზე შეძლონ კომუნიკაცია.
ქართული ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას ახალ თაობაში რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი: პროგრამამ „ასწავლე საქართველოსთვის“ პოზიტიური შედეგი გამოიღო; უმაღლესი განათლების მიღების კუთხით პროგრამამ „4+1“ ხელი შეუწყო ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების საქართველოს დედაქალაქში განათლების მისაღებად წასვლას, ნაცვლად ბაქოს, ერევნისა თუ მოსკოვისა; გარდა ამისა, სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ითვალისწინებენ მულტიეთნიკურ ფაქტორს და, მაგალითად, ისე გეგმავენ საბავშვო ბაღებს, რომ ეთნიკურმა უმცირესობებმა და უმრავლესობებმა ერთად ისწავლონ. „ერთი მხრივ, ეს ეთნიკურ უმცირესობებს დაეხმარება, ბავშვობიდანვე აითვისონ ქართული, მეორე მხრივ კი, ეს ხელს შეუწყობს სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის განმტკიცებას“ (ანზორ ხინიკაძე, წალკის მერის მოადგილე). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივები ხშირად უსვამენ ხაზს, რომ ახალმა თაობამ იცის ქართული ენა და ახალგაზრდები ხშირად ასრულებენ მაკავშირებელი ხიდის როლს საშუალო და ასაკოვან ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებსა და ეთნიკურ ქართველებს შორის.

2.3 განათლება და საგანმანათლებლო დაწესებულებები

წალკის მუნიციპალიტეტში 2010 წლიდან 31 საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა. მიუხედავად იმისა, რომ წალკის მოსახლეობა მცირედით იზრდება და საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი უცვლელია, მუნიციპალიტეტში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ფიქსირდება მოსწავლეთა რაოდენობის 25.6%-ით კლება (იხ. გრაფიკი #5). მოსწავლეთა რიცხოვნობის სწრაფი შემცირება შეიძლება გამოწვეული იყოს მოსახლეობის დაბერების ტენდენციითა და ახალგაზრდა თაობის საგანმანათლებლო მიგრაციით.

გრაფიკი 5: 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანა-თლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა რაოდენობა წალკის მუნიციპალიტეტის მიხედვით (2010-2020)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მონაცემებით, 2013 წლიდან 2019 წლის ჩათვლით, ქვემო ქართლის რეგიონში 2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება დაიხურა და ამჟამად მათი რიცხვი 4-ს შეადგენს. დაწესებულებების რაოდენობის შემცირების კვალდაკვალ შემცირდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში როგორც ჩარიცხულ, ისე კურსდამთავრებულთა რაოდენობა. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების თქმით, წალკაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამჯერ გაიხსნა პროფესიული სასწავლებლი, თუმცა 1-2 წელიწადში ყველა დაიხურა. პროფესიული განათლების წარუმატებლობის მიზეზად წალკის მუნიციპალიტეტში ექსპერტები დაწესებულების მოგებაზე ორიენტირებულობასა და მასწავლებლების დაბალ კვალიფიკაციას ასახელებენ. თუმცა ერთ-ერთი ადგილობრივის თქმით, ამ პროფესიულ სასწავლებლებში არ იყო ისეთი სასწავლო პროგრამები, რომლებიც უშუალოდ წალკის მუნიციპალიტეტში არსებულ საკადრო დეფიციტზე იქნებოდა მორგებული.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, წალკის 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ნახევარზე მეტს (59.5%) აქვს სრული ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება - 9.6%-ს, ხოლო უმაღლესი განათლება - 10.2%-ს (იხ. გრაფიკი #6). სქესის ნიშნით განათლების მიღწეული დონის მიხედვით განსხვავება არ არის, ანუ ყველა კატეგორიაში ქალებისა და მამაკაცების განათლების მიღწეული დონე თანაბარია. წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმაღლესი განათლების მიღწეული დონე ბევრად ჩამოუვარდება მთლიანად საქართველოს მონაცემს (ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის 45%-ს აქვს უმაღლესი განათლება). ამის მიზეზი კი მიგრაციული პროცესებია. ყველა ექსპერტი საუბრობს წალკის მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდების საგანმანათლებლო მიგრაციაზე დედაქალაქის მიმართულებით. როგორც ქალაქ წალკის მერის მოადგილე აღნიშნავს, წალკაში ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე მოსწავლეები მაღალი აკადემიური მიღწევებით გამოირჩევიან, მათი უმრავლესობა დედაქალაქში უმაღლესი განათლების მისაღებად მიდის, თუმცა განათლების დასრულების შემდეგ ისინი უკან აღარ ბრუნდებიან მუნიციპალიტეტში. ამას ორი ფაქტორი იწვევს: ერთი მხრივ, წალკის მუნიციპალიტეტში უმაღლეს განათლებულთათვის შესაფერისი ვაკანსიების სიმწირე და, მეორე მხრივ, დედაქალაქთან შედარებით დაბალი ანაზღაურება. ანზორ ხინიკაძის თქმით, არათუ უმაღლესი განათლების საფეხურის დასრულების, არამედ პროფესიული განათლების მიღების შემდეგაც კი არ უბრუნდებიან ახალგაზრდები წალკას.

გრაფიკი 6: 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტის 15 წლის, და უფროსი ასაკის მოსახლეობა განათლების მიღწეული დონის მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

2014 წლის აღწერის შედეგებში ნათლად ჩანს, რომ განათლების მიღწეული დონე გავლენას ახდენს ადამიანის დასაქმების მდგომარეობაზე. როგორც გრაფიკი #7-დან ჩანს, დასაქმებული ყველაზე მეტად კონცენტრირებულია უმაღლესი განათლების მქონე წალკის მკვიდრთა შორის (91%), ხოლო განათლების მიღწეული დონის კლებასთან ერთად მათი დასაქმების შესაძლებლობებიც იკლებს. განათლების მიღწეული დონე ასევე გავლენას ახდენს დასაქმების სტატუსზე. ზოგადად, წალკის მუნიციპალიტეტში დაქირავებით დასაქმების წილი დაბალია (15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის 14.4% არის დაქირავებით დასაქმებული), თუმცა დაქირავებით დასაქმებულთა შორის 53.4% უმაღლესი განათლების სტატუსის მქონეა, ხოლო 29.2% - პროფესიული განათლების მქონე.

გრაფიკი 7: წალკის მუნიციპალიტეტის 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა განათლების მიღწეული დონის და დასაქმების სტატუსის მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

ადგილობრივები შვილებს არ ურჩევენ პროფესიული განათლების მიღებას იმიტომ, რომ, გარდა უმაღლესი განათლების თავისთავადი ღირებულებებისა, ის იძლევა უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მიღების შესაძლებლობას; აგრეთვე, ადგილობრივთა აზრით, თუ მისი შვილი ამ განათლებით ვერ დასაქმდება, პროფესიული განათლება „ვერსად გაექცევა“ და ის თავიდან შეიძენს პროფესიას. მიუხედავად იმისა, რომ ეს დროის არარაციონალური ხარჯვაა, ადგილობრივები განათლების შეფასებისას არა რაციონალურობით, არამედ სოციალური პრესტიჟით ოპერირებენ. ფოკუსჯგუფებზე დაკვირვებიდან მართლაც ჩანს, რომ განათლების დაბალი კვალიფიკაცია და დასაქმება კავშირშია ერთმანეთთან, რაც სტატისტიკითაც დასტურდება. ის ადგილობრივები, რომლებსაც სრული ზოგადი განათლება ან უფრო დაბალი საგანმანათლებლო ცენზი აქვთ, ძირითადად, საკუთარ გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობაში ინდივიდუალურად მომუშავე ან ვაჭრობის სექტორში მომსახურების მიმწოდებელია. ექსპერტები მიუთითებენ, რომ, ადგილობრივ მოსახლეობას, გარდა ფორმალური განათლებისა, ასევე არა აქვთ არაფორმალური

განათლება, მაგალითად, ნაკლებად აქვთ გავლილი ტრენინგები, გადასამზადებელი კურსები, რაც მათ დაეხმარებოდა საკუთარი ფერმერული საქმიანობის განვითარებაში. ეს ტენდენცია დაადასტურა ფოკუსირებულმა დისკუსიებმაც.

2.4 მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა

2020 წლის აპრილისათვის წალკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პენსიით მოსარგებლეთა რაოდენობა 4281 ადამიანია (1324 მამაკაცი და 2957 ქალი), აქედან 2715 ადამიანი იღებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე სახელმწიფო პენსიის დანამატს (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2020). მუნიციპალიტეტში 581 ადამიანი იღებს სოციალურ პაკეტს, აქედან 88.9% სრულწლოვანი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია (იხ. ცხრილი #2).

2020 წლის აპრილის მდგომარეობით, მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში სოციალურ დახმარებაზე განაცხადი 1913 ოჯახმა გააკეთა, რომლიდანაც 56.4% (1,079 ოჯახი) დაკმაყოფილდა, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 18.3%-ს შეადგენს. ამ მონაცემებიდან შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყოველი მეხუთე ოჯახი სიღარიბეში ცხოვრობს.

2.5 ეკონომიკური პარამეტრები

ექსპერტებისა და ადგილობრივების უმრავლესობა წალკის მუნიციპალიტეტის მთავარ ეკონომიკურ რესურსად სოფლის მეურნეობას მიიჩნევს, რაც ლოკალური ნაყოფიერი ნიადაგებისა და ტრადიციულად სოფლის მეურნეობაში ჩართული მოსახლეობის დიდი წილით არის განპირობებული. ეკონომიკური პოტენციალი მუნიციპალიტეტს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (პემზა, ბაზალტი, ქვიშა, ღორღი და სხვა სამშენებლო მასალა), ჰიდროელექტროსადგურის (ხრამი 1 ჰიდროელექტროსადგური), ტურიზმის კუთხითაც აქვს. დასაქმების კუთხით, მოსახლეობის ნაწილი დღეს ასევე ჩართულია წვრილ და საბითუმო ვაჭრობაში, ასევე დასაქმებულია საჯარო სექტორში (თვითმმართველობა, ჯანდაცვა, განათლება). მიუხედავად მუნიციპალიტეტის დიდი ეკონომიკური პოტენციალისა, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ადგილობრივი რესურსი სრულად არ არის გამოყენებული და შეფერხების მიზეზი სექტორულად სხვადასხვა ბარიერის არსებობაა.

ქვემო ქართლის რეგიონში მთლიანი შიდა პროდუქტი უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება (იხ. გრაფიკი #8). ეკონომიკური აქტივობის მიხედვით ზრდა ყველა მიმართულებითაა, თუმცა მშენებლობაში, ტრანსპორტსა და დასაწყობებაში, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფასა და საკვების მიწოდების საქმიანობებში რამდენადმე მეტი შიდა პროდუქტი იქმნება, ვიდრე იქმნებოდა 2010 წელს. მართალია, ამ ტენდენციებში ცალკე წალკის მუნიციპალიტეტის წილის იდენტიფიცირება შეუძლებელია, თუმცა ზრდა ამ უკანასკნელსაც შეეხო.

გრაფიკი 8: ქვემო ქართლში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

ქვემო ქართლის ეკონომიკაში ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვს რეგიონში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. როგორც ცხრილი #1-დან ჩანს, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ფლუქტუაცია შეიმჩნევა. ყველაზე მაღალ ნიშნულს ინვესტიციებმა 2011 წელს მიაღწია, დაბალი იყო 2013 წელს, თუმცა მას შემდეგ კვლავ მზარდია.

ცხრილი 1: ქვემო ქართლში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

წელი	ათასი აშშ დოლარი
2009	49,765.0
2010	66,685.4
2011	146,882.6
2012	41,648.3
2013	17,658.0
2014	55,671.5
2015	21,180.5
2016	29,129.9
2017	64,701.7
2018	87,028.1
2019[2]	64,656.9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

ეკონომიკური აქტივობის მიხედვით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქვემო ქართლის რეგიონში პოზიტიური ცვლილებები შეიმჩნევა (იხ. დანართები, ცხრილი #6). რეგიონში, ზოგადად, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილმა მოიმატა, დაქირავებით დასაქმებულთა წილი გაიზარდა თვითდასაქმებულთა რაოდენობის მცირედი შემცირების ფონზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პარამეტრების განაწილებას მრუდის ფორმა აქვს და პოზიტიური პიკი 2015 წელს აღინიშნა, როდესაც დასაქმებულთა ოდენობა და დასაქმების დონე უკანასკნელი დეკადის განმავლობაში ყველაზე მაღალი, ხოლო უმუშევრობის დონე ყველაზე დაბალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ეკონომიკური პარამეტრები 2015 წლის შემდეგ მცირედით გაუარესდა, ქვემო ქართლში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი) 2010 წელს 509.1 ლარს შეადგენდა, შემდეგ წლებში სტაბილურად იზრდებოდა, ხოლო 2018 წელს 791.4 ლარი შეადგინა.

წალკის მუნიციპალიტეტის შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ბოლო 5 წლის (2014-2018) მონაცემებით (იხ. ცხრილი #2), ბიზნესსექტორში ბრუნვა ამ პერიოდში 18.1 მილიონი ლარით გაიზარდა, 6.5 მილიონი ლარით გაიზარდა პროდუქციის გამოშვება, 72-ით გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა. ფლუქტუაცია შეიმჩნევა დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურ ანაზღაურებაში. 2014 წლიდან 2017 წლამდე დაქირავებით დასაქმებულთა ანაზღაურება 3-ჯერ გაიზარდა, თუმცა 2018 წელს ისევ განახევრდა და შეადგინა 550.4 ლარი.

ცხრილი 2: ბიზნეს სექტორის ეკონომიკური მაჩვენებლები წალკის მუნიციპალიტეტში

	ზომის ერთეული	წელი				
		2014	2015	2016	2017	2018
ბრუნვა	მლნ.ლარი	32.9	36.2	55.2	38.8	51.0
პროდუქციის გამოშვება	მლნ.ლარი	27.3	31.5	38.2	33.1	33.8
დასაქმებულთა რაოდენობა	კაცი	718	536	652	653	790.0
დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება	ლარი	384.6	745.8	866.7	1004	550.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

უშუალოდ წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის შესახებ ინფორმაციას ვიღებთ 2014 წლის საყოველთაო აღწერიდან. რომლის მიხედვით, 5 წლის წინ წალკის მუნიციპალიტეტში 15 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანთა 84.0% იყო დასაქმებული, ხოლო ეკონომიკურად აქტიურ ადამიანთა შორის დასაქმებულთა წილი 98.8% იყო. დასაქმებულთა შორის 17.1% დაქირავებით დასაქმებული, ხოლო 75.5% საკუთარ გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობაში ინდივიდუალურად მომუშავეა. სქესის მიხედვით ეკონომიკური აქტიურობა, დასაქმებულთა რიცხოვნობა არ განსხვავდება. სქესობრივ ჭრილში მნიშვნელოვანი განსხვავებაა დაქირავებით მომუშავეებთან მიმართებაში: თუ მამაკაცების 16.7%-ია დაქირავებით მომუშავე, ქალებთან ეს მაჩვენებელი 12.1%-ს უტოლდება.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (იხ. გრაფიკი #9) დასაქმების ნიშნული პიკს 25-29 წლის ასაკში აღწევს და ეს ნიშნული მცირედი ფლუქტუაციებით 54 წლის ასაკამდე ნარჩუნდება. თუმცა

დაქირავებით მომუშავეთა წილი ყველაზე დიდი 25-29 წლის კატეგორიაშია, მაშინ, როდესაც საკუთარ გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობაში ინდივიდუალურად მომუშავეთა ყველაზე დიდი წილი 50-54 წლის ასაკობრივ ჯგუფში გვხვდება.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტში 15 წლისა და უფროსი ასაკის დასაქმებული მოსახლეობის წილი დაკავებული პოზიციების ((ISCO-88) მიხედვით ასეთია: ადგილობრივების 64.5% საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის მუშაკია, 19.1% - ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები, ადგილობრივების 4% განათლების სფეროს სპეციალისტ-პროფესიონალებია, 1.7% - ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს არაკვალიფიციური მუშები, ხოლო 1.6% - ინდივიდუალური მომსახურებისა და დაცვის სამსახურის მუშაკები. დანარჩენ კატეგორიებში ადგილობრივების იმდენად მცირე ნაწილია ჩართული, რომ ტენდენციების გასაცნობად მხოლოდ ეს მსხვილი ჯგუფები გამოვიტანეთ.

გრაფიკი 9: წალკის მუნიციპალიტეტის 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფებისა და ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

წალკის მუნიციპალიტეტის 15 წლისა და უფროსი ასაკის დასაქმებული მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის (NACE ver.1.1) მიხედვით. აღნიშნულ სექტორებში დასაქმებული მოსახლეობის 96.2%-ს შეადგენს. დასაქმებულთა შორის 88% სოფლის მეურნეობაშია ჩართული, 5.2% - განათლების სფეროში, 2.2% - სახელმწიფო მმართველობაში, თითო-თითო პროცენტი კი - მშენებლობაში, ვაჭრობასა და კომუნალურ, სოციალურ და პერსონალურ მომსახურებაში.

გრაფიკი 10: წალკის მუნიციპალიტეტის 15 წლისა და უფროსი ასაკის დასაქმებული მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE rev 1.1) მიხედ



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

2.6 ბიზნესსუბიექტები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2019 წლის ბიზნესსუბიექტთა ბაზის მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 225 ბიზნესსუბიექტი. აქედან ორი სუბიექტი არის საშუალო ზომის (აქედან ერთი კერძო უცხოური საკუთრებაა (აწარმოებს ელექტროენერგიას ჰიდროელექტროსადგურების მიერ), ხოლო მეორე - სახელმწიფო ორგანიზაცია, (ჯანდაცვის ობიექტი „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“)), დანარჩენები კი მცირე ზომის ბიზნესსუბიექტები: საკუთრების ფორმის მიხედვით 218 კერძო ადგილობრივი, 5 - კერძო უცხოური, 1 - მუნიციპალური, ხოლო 1 სახელმწიფო საკუთრებაა. ორგანიზაციული ფორმის მიხედვით 131 ინდივიდუალური მეწარმეა, 86 - შეზღუ-დული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), 7 - კოოპერატივი, 1 - სააქციო საზოგადოება. 85 ბიზნეს სუბიექტის საქმიანობა არაიდენტიფიცირებულია, იდენტიფიცირებულთა შორის კი უმრავლესობა საცალო ვაჭრობას ეწევა.

ცხრილი 3: წალკის მუნიციპალიტეტის მცირე ზომის ბიზნესსუბიექტთა რაოდენობა საქმიანობების მიხედვით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019

#	ათასი აშშ დოლარი	
1	არაიდენტიფიცირებული საქმიანობა	85
2	საცალო ვაჭრობა	72
3	საავტომობილო ტრანსპორტის საქმიანობა	6
4	საბითუმო ვაჭრობა	5
5	საავტომობილო სატვირთო ტრანსპორტის საქმიანობა	5
6	შენობების საერთო მშენებლობა	4
7	რძის გადამუშავება და ყველის წარმოება	4
8	სამშენებლო მანქანებისა და მოწყობილობების იჯარა	3
9	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება	3
10	მარცვლეული, ტექნიკური და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა, რომლებიც არ შედის სხვა დაჯგუფებებში	3
11	ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთით	3
12	ტვირთის გადაზიდვის ორგანიზება	2
13	ავეჯის წარმოება	2
14	სასტუმროები	2
15	საკედლე ბლოკების წარმოება	2
16	მშენებლობაში გამოსაყენებელი პლასტმასის ნაკეთობების წარმოება	2
17	მიწის სამუშაოები	2
18	მიწათმოწყობა	2
19	გზებისა და აეროდრომების მშენებლობა	2
20	ფართო პროფილისა და სპეციალიზებული საავადმყოფოების საქმიანობა	1
21	ტურისტული სააგენტოები და სამოგზაურო ბიუროები	1
22	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი საქონლით სპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა	1
23	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი დასვენებისა და გართობის ორგანიზების საქმიანობა	1
24	სასადილო	1
25	საკუთარი არასაცხოვრებელი უძრავი ქონების გაქირავება	1
26	საკვები პროდუქტებით, სასმელების ჩათვლით, და თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობასთან დაკავშირებული აგენტების საქმიანობა	1
27	პურის წარმოება; არახანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება	1
28	ნოტარიული საქმიანობა	1
29	მეტყევეობა	1
30	მავთულის ნაკეთობების წარმოება	1
31	კაფე	1
32	ელექტროენერგიის წარმოება ჰიდროელექტროსადგურების მიერ	1
33	ელექტროდული პროდუქციის წარმოება	2
34	გეოდეზიური საქმიანობა	1

2.7 ზოგადად, საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები და ადამიანური რესურსების მიწოდების კუთხით დაფიქსირებული დეფიციტი

პოსტსოციალისტურ პერიოდში საქართველოს ეკონომიკა სტაბილური ზრდის ტენდენციებს აჩვენებს, თუმცა უმუშევრობა და დაბალანაზღაურებად პოზიციებზე დასაქმების მაღალი მაჩვენებლები კვლავ გამოწვევად რჩება. უმუშევრობის კუთხით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა საქართველოს რეგიონებშია, სადაც პოსტსოციალისტურმა დეინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის თავის რჩენის მეურნეობის მდგომარეობაში ყოფნამ დიდად დააზარალა რეგიონების მცხოვრებლები. ამ მხრივ გამონაკლისი არც ქვემო ქართლის რეგიონია, სადაც უმუშევრობის დონე 15.3%-ია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020). რეგიონის შრომის ბაზარზე მოთხოვნა, ძირითადად, საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელზეა, მაშინ, როდესაც დამსაქმებლები განიცდიან სპეციალური კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების დეფიციტს (გადავარჩინოთ ბავშვები, 2019, Georgian Foundation for Strategic and International Studies, 2016).

უმუშევრობის საკითხის განხილვისას განსაკუთრებით მწვავე პრობლემა სტრუქტურულ უმუშევრობას უკავშირდება, რომლის ერთ-ერთი განმაპირობებელი განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობაა: განათლების სისტემა არ ამზადებს შრომის ბაზრისათვის რელევანტური კვალიფიკაციის მქონე კადრებს და განათლების სისტემის მიერ მომზადებული უმაღლესი თუ პროფესიული განათლების მქონე კადრების რეალური კვალიფიკაცია და ცოდნა არ ემთხვევა დასაქმებულთა მოთხოვნებს. აღნიშნული შეუსაბამობის გამო ფორმალური კვალიფიკაციის მქონე პირების დასაქმება რთულდება და მისი გახანგძლივების შემთხვევაში დროთა განმავლობაში ადგილი აქვს მათ დისკვალიფიკაციას. შესაბამისად, სტრუქტურული უმუშევრობის ერთ-ერთი მთავარი ნეგატიური შედეგი კადრების დისკვალიფიკაციაა (Georgian Foundation for Strategic and International Studies, 2016).

2018 წელს საქართველოს მასშტაბით ჩატარებული ვაკანსიების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზარზე ფიქსირდება დასაქმებულთა მოძიების პრობლემა, რომელიც განპირობებულია პოტენციური დასასაქმებელი პირების დაბალკვალიფიციურობით ან მძიმე სამუშაო პირობებისა და მისთვის შეუსაბამო დაბალი ანაზღაურების გამო (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019). თუმცა ანგარიშში მითითებული დასაქმების პირველი პრობლემა (დაბალკვალიფიციურობა) სპეციფიკურად უნდა იქნეს განხილული, რადგან უმაღლესი ან პროფესიული განათლების ქონაც არ არის დასაქმების გარანტია. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევის ფონდის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის „უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში“ მიგნებებში აღნიშნულია, რომ კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმება საქართველოში რთულია ორი მიზეზის გამო: ა) ფორმალური განათლება, ანუ დიპლომის ქონა, არ მიუთითებს დასაქმებისათვის საჭირო რელევანტურ ცოდნის ფლობაზე; ბ) საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული პროფესიების სტრუქტურა არ ემთხვევა შრომის ბაზარზე არსებული დასაქმების მოთხოვნების სტრუქტურას. შესაბამისად, დიპლომირებულ სპეციალისტებსაც დასაქმების დაბალი შანსი აქვთ (Georgian Foundation for Strategic and International Studies, 2016).

სანამ უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათ მიერ უზრუნველყოფილი კვალიფიკაციებისა და უნარ-ჩვევების ანალიზზე გადავიდოდეთ, შევისწავლოთ ქვემო ქართლის

რეგიონის შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციები. 2018 წელს ვაკანსიების მონიტორინგის კვლევის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონიდან გამოკითხულ იქნა 16 დამსაქმებელი. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2018 წლის მეორე ნახევარში (6 თვის განმავლობაში) ქვემო ქართლში მოქმედ ორგანიზაციებში 208 ვაკანსია დაფიქსირდა (ეს ვაკანსიები მხოლოდ გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციებში არსებულ ტენდენციას ასახავს). ძირითადი მოთხოვნა სპეციფიკური პროფესიული განათლების მქონე პროფესიონალებზე იყო, კერძოდ: ექთნებზე, შემდუღებლებზე, ზეინკლებსა და სამრეწველო დანადგარების ოპერატორებზე. კვალიფიკაციის მეოთხე დონის მქონე პროფესიათაგან ქვემო ქართლის რეგიონში მოთხოვნაა ექიმებზე, სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე მენეჯერებზე, არქიტექტორებსა და ინჟინრებზე და უსაფრთხოების, ჯანდაცვისა და ხარისხის ინსპექტორებზე (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019: 142). საყურადღებოა ის, რომ კადრების მოძიების პრობლემა ზემოთ აღნიშნულ ვაკანსიებზე ორგანიზაციების ნახევარს შეექმნა. პირველ რიგში, კვლევის შედეგად დაფიქსირებული მოთხოვნა ნაკლებად რელევანტურია წალკის მუნიციპალიტეტისათვის, იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთ აღნიშნული პროფესიების პროფილის შესაბამისი ორგანიზაციები ლოკალურად არ არის, ან მათი რაოდენობა მინიმალურია. თუმცა ვაკანსიების მონიტორინგის კვლევის შედეგებიდან ჩანს დამსაქმებლების მხრიდან დასაქმებულთათვის წაყენებული გადაჭარბებული მოთხოვნები; კვლევის შედეგების მიხედვით ქვემო ქართლი რეგიონში გამოკითხული დამსაქმებლები „პოზიციების 25 %-ზე ითხოვენ უმაღლეს განათლებას, 36%-ზე - პროფესიულ განათლებას, 28%-ზე - ბაზისურ განათლებას. განათლებას მნიშვნელობა არ აქვს დასასაქმებელი პოზიციების 11%-ზე (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019: 150). თუმცა აქვე აღნიშნულია, რომ ხშირად დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილი განათლების დონე ლოგიკურად შეუსაბამო და გადაჭარბებულია ვაკანსიის შინაარსთან.

დასაქმების პროცესში, კვალიფიკაციის გარდა, დამსაქმებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კადრების ზოგად უნარ-ჩვევებს. ქვემო ქართლის რეგიონში კი ორგანიზაციები „აპლიკანტისგან ყველაზე ხშირად დამოუკიდებლად მუშაობის უნარს (93.8%), გუნდური მუშაობის უნარს (87.5%), კომუნიკაბელურობას (81.3%), პუნქტუალობას (75%), პრობლემის გადაწყვეტის უნარს (62.5%) ითხოვენ. პოზიციების ნახევარზე დამსაქმებლები აპლიკანტებისგან ითხოვენ კომპიუტერულ უნარებს (ვორდი, ექსელი, სხვ.). დროის მენეჯმენტი, კრიტიკული აზროვნება და უცხო ენების ცოდნა პოზიციების დაახლოებით მესამედზეა მოთხოვნილი. ლიდერული თვისებები შედარებით ნაკლებად მოთხოვნადი ზოგადი უნარ-ჩვევაა (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019: 151).

საქართველოს რეგიონების შრომის ბაზარი მცირე კადრებს მოითხოვს, რადგან აქ მაინც სოფლის მეურნეობაა მთავარი ეკონომიკური სექტორი, თუმცა ეს მოთხოვნაც, ძირითადად, საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის კადრებზეა. ადგილობრივი ექსპერტები მიუთითებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მუნიციპალიტეტში მოთხოვნა ჩნდება მაღალკვალიფიციურ კადრზე (მაგალითად, ინჟინერზე, სხვადასხვა პროფილის ექიმზე), კომპანიას ეს კადრები დედაქალაქიდან მოჰყავს, რადგან ადგილზე მსგავსი კვალიფიკაციის ადამიანების დეფიციტია. ასეთი ტენდენციაა ასევე ჯანდაცვის ობიექტებში, სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები თბილისიდან ჩადიან. თუმცა როგორც ექსპერტები აფასებენ, წალკის მუნიციპალიტეტში არც პროფესიული განათლების მქონე კადრის პოვნაა მარტივი. მაგალითად, შეუძლებელია წალკაში ელექტრიკოსის მოძიება, შესაბამისად ადგილობრივებს მანქანები დედაქალაქში მიჰყავთ. ანუ წალკაში, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა, პრობლემაა, როგორც მაღალი კვალიფიკაციის, ასევე პროფესიული განათლების მქონე კადრებზე.

2019 წელს ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ საქართველოს 4 რეგიონში (კახეთი, სამეგ-რელო, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი) ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო შეეფასებინა

> წალკის მუნიციპალიტეტში როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი თაობა მოტივირებულია და ზოგადსაგან-მანათლებლო სისტემის ხარისხს ძალზე პოზიტიურად აფასებენ ექსპერტები. თუმცა პრობლემა არის ის, რომ ის ახალგაზრდები, რომლებსაც კვალიფიკაცია და განვითარებული გარდამავალი უნარები აქვთ ადგილზე ნაკლებად რჩებიან. საშუალო თაობაში კი ზემოთ მითითებული ტენდენციები უფრო მწვავეა. ამას ემატება ისიც, რომ შუა ასაკიდან ადგილობრივ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს სახელმწიფო ენის დაძლევის ბარიერი უდგათ.

ახალგაზრდების მდგომარეობა შრომის ბაზარზე. კვლევამ გამოავლინა, რომ შრომის ბაზარზე დეფიციტს არა მხოლოდ დასასაქმებელი პირების კვალიფიკაციის შეუსაბამობა, არამედ კონკრეტული უნარ-ჩვევის ნაკლებობაც ქმნის. გამოკითხვისას კომპანიის წარმომადგენლები მიუთითებ-დნენ, რომ ახალგაზრდა კადრებს აქვს ზოგადი უნარების დეფიციტი, ანუ არ აქვთ პასუხისმგებლობა, პუნქტუალობა, მოტივაცია. გარდა ამისა, დამსაქმებლები კადრებისაგან მოითხოვენ კომუნიკაციის, თანამშრომლობის, გუნდური მუშაობის, ლიდერობისა და პრობლემის გადაჭრის უნარებს. ახალგაზრდების უნარების შეფასებამ კი გამოავლინა, რომ ახალგაზრდებს ყველაზე ნაკლებად განვითარებული აქვთ სხვისი სამუშაოს დაგეგმვის, სიტყვის ან პრეზენტაციის მომზადების, სხვისი ინსტრუქტირების უნარები. კვლევამ აჩვენა, რომ „ახალგაზრდები ძირი-თადად გამოცდილი არიან მარტივ საკომუნიკაციო უნარებში, მაშინ როცა მათ უმრავლესობას არ აქვს კომპლექსური დავალებების შესრულების გამოცდილება“ (გადავარჩინოთ ბავშვები, 2019: 11). თუმცა წალკის მუნიციპალიტეტში შესაძლებელია საკომუნიკაციო უნარების კუთხითაც იყოს პრობლემა. მაგალითად ვაჭრობის სფეროს წარმომადგენელი აღნიშნავს: „თავდაპირველად, თანამშრომლების შერჩევისას ყურადღებას ვაქცევდი დასასაქმებელი პირის მოხერხებულობას, კომუნიკაბელურობას და სანდოობას. თავიდან გვქონდა გასაუბრება. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მომეწონა და დიდი სიამოვნებით დავასაქმე, მაგრამ ასეთი ძალიან ცოტაა. ყველაზე ხშირად დასასაქმებელ კადრებს ადამიანებთან, კლიენტებთან ურთიერთობა უჭირთ. არ იციან კლიენტს, რომ არ უნდა გაუბრაზდნენ. მაგალითად, არ იციან კლიენტებთან თავაზიანი მეტყველება. დასაქმების შემდეგ ზოგიერთმა ისწავლა, ზოგიერთმა ვერა“ (ჯაბა ხინიკაძე).

ზემოთ აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს ასევე ნაკლებად აქვთ განვითარებული წერის, კითხვის მათემატიკური, კომპიუტერული ცოდნის უნარები და უცხო ენების კომპეტენცია (გადავარჩინოთ ბავშვები, 2019). კიდევ ერთი საინტერესო მიგნება ანგარიშში „ახალგაზრდების მდგომარეობის შეფასება შრომის ბაზარზე“ (2019) იყო რეგიონებში ადგილობრივებისათვის შეთავაზებული ტრენინგკურსების შესახებ. კვლევის ანგარიში მიუთითებს, რომ არასამთავრობო სექტორი რეგიონებში ძირითად აქცენტს აკეთებს ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო თვითშეგნების გაზრდაზე, რომელიც ზოგადად კი მნიშვნელოვანია, მაგრამ ამას გავლენა არ აქვს დასაქმების პროცესზე. გარდა ამისა, არაფორმალური განათლების ორგანიზებული კურსების ნახევარიც სხვა მიმართულებით ავითარებდა ახალგაზრდების უნარებს: „ტრენინგების შინაარსის უფრო დეტალური შესწავლა აჩვენებს, რომ არაფორმალური განათლების პროვაიდერების ძირითადი მიმართულებებია: პრეზენტაციის გაკეთება, საბაზისო კომპიუტერული პროგრამები, სამუშაოს მოძებნა (CV-ის წერა და გასაუბრებისთვის მომზადება) და უცხო ენების კურსები (განსაკუთრებით ინგლისური ენა). მხოლოდ რამდენიმე ეროვნული მასშტაბის პროვაიდერი ამახვილებს ყურადღებას სამეწარმეო საქმიანობის შესწავლასა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უნარების გაუმჯობესების თემატიკაზე. მთლიანობაში, აშკარაა ისეთი ტრენინგების დეფიციტი, რომლებიც

მიმართული იქნებოდა პრობლემის გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე, ასევე, ახალგაზრდების ლიდერული უნარებისა და პასუხისმგებლობის აღების უნარებზე“ (გადავარჩინოთ ბავშვები, 2019:13).

ადგილობრივი ექსპერტების გამოკითხვის შედეგად, ასევე შეფასდა წალკის მუნიციპალიტეტში ჩატარებული სხვადასხვა სახის ტრენინგკურსები. ადგილობრივები მიუთითებდნენ, რომ შუა ხნის მოქალაქეებში სახელმწიფო ენის ცოდნისა თუ კომპიუტერული უნარების გაუმჯობესების კუთხით ორგანიზებულმა კურსებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. თუმცა მსგავსი კურსები ეფექტიანია ახალგაზრდა თაობის შემთხვევაში. ექსპერტები მიუთითებენ, რომ ადგილზე საკმაოდ ხშირად ტარდება ტრენინგები სოფლის მეურნეობის, ბიზნესის განვითარების კუთხით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ადგილობრივი ექსპერტები მიუთითებენ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი პროაქტიურია და სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას მათთვის რელევანტური ცოდნის გადაცემაზე ორიენტირებულ არაფორმალური განათლების კურსში.

III თავი: ადამიანური შესაძლებლობების (კაპიტალის) შეფასება ეკონომიკური სექტორების მიხედვით

„ადამიანური კაპიტალი, ზოგადი განმარტებით, არის ცოდნის, უნარების, კომპეტენციებისა და სხვა მახასიათებლების ჯამი, რომელიც გამოიყენება ბაზარზე ეკონომიკური სარგებლის მისაღებად“ (გადავარჩინოთ ბავშვები, 2019: 104). თვისებრივი კვლევის, კერძოდ კი - ფოკუსჯგუფების მეშვეობით, წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა ადამიანური კაპიტალი შევაფასეთ შემდეგი ნიშნებით: ფორმალური და არაფორმალური განათლება და კვალიფიკაცია, ზოგადი, გარდამავალი უნარები (ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური მახასიათებლები, ციფრული წიგნიერება, უცხო ენების ცოდნა) და სპეციფიკური ცოდნა და უნარები. ფოკუსჯგუფებში სექტორულად განვიხილეთ სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კერძო მრეწველობა და ვაჭრობა, საჯარო სექტორი.

3.1 სოფლის მეურნეობა

3.1.1. სოფლის მეურნეობაში ჩართული პირების ფორმალური და არაფორმალური განათლება

სოფლის მეურნეობაში ჩართული პირების ფორმალური განათლება ასევე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მათ საქმიანობებსა და განწყობებზე. შესაბამისად, განვიხილოთ სამივე სახის ფორმალური განათლების მქონე პირების მახასიათებლები:

უმაღლესი განათლების მქონე პირები:

ა) სოფლის მეურნეობის მიმართულებით: სოფლის მეურნეობაში ჩართული პირების მცირე ნაწილს აქვს სოფლის მეურნეობის კუთხით ფორმალური უმაღლესი განათლება შემდეგი მიმართულებებით: ვეტერინარია, ზოოტექნიკა, აგრონომია. სოფლის მეურნეობის კუთხით უმაღლესი განათლების მქონენი, ძირითადად, მამაკაცები და საშუალო ასაკს გადაცილებულნი არიან. სოფლის მეურნეობაში ჩართულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს იშვიათად აქვთ სოფლის მეურნეობის კუთხით უმაღლესი განათლება, რომელიც საბჭოთა პერიოდში საქართველოს ფარგლებს გარეთ მიიღეს. წალკის მუნიციპალიტეტში 40 წლის ქვემოთ სოფლის მეურნეობის დარგში უმაღლესი განათლების მქონე მხოლოდ ერთი ადამიანი იღებდა მონაწილეობას ფოკუსირებულ დისკუსიაში. ის პირები, რომლებსაც უმაღლესი განათლება სოფლის მეურნეობის მიმართულებით აქვთ მიღებული, უფრო პროფესიონალიზირებულ ფერმერულ საქმიანობას ეწევიან და მათი ფერმები, უმეტესწილად, უფრო მასშტაბურია, ვიდრე მათი, ვისაც სხვა კვალიფიკაცია აქვთ.

ბ) არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით: წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თითქმის

ყველა ადგილობრივ ოჯახს ჰყავს საქონელი და ამუშავებს მცირე ზომის მიწის ნაკვეთს მებოსტნეობისათვის. მსგავსი სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში ისინი, ძირითადად, პროდუქციას საკუთარ შინამეურნეობაში მოხმარებისთვის ქმნიან. ამიტომ ხშირად უმაღლესი განათლების მქონე საჯარო მოხელე, მასწავლებელი, სასტუმრო ბიზნესის მფლობელი თუ ვაჭრობაში ჩართული პირი მაინც ეწევა მცირემასშტაბიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. მსგავს შემთხვევებში, ძირითადად, ვხვდებით ეკონომიკური შემოსავლების დივერსიფიკაციას, პირები ერთზე მეტ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევიან და აღნიშნავენ, რომ, როდესაც წალკის ტიპის დასახლებაში ცხოვრობ, რა საქმიანობასაც არ უნდა ეწეოდე, სოფლის მეურნეობაში მაინც უნდა იყო ჩართული.

ადგილობრივებს შორის არცთუ ისე იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევა, რომ ადგილობრივს აქვს უმაღლესი განათლება არასასოფლო-სამეურნეო კუთხით და ძირითადი ეკონომიკური საქმიანობით დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან. რიგ შემთხვევებში ამ პირებს უფრო გაფართოებული მეურნეობა აქვთ და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ბიზნესის კუთხით უყურებენ. ისინი ხშირად ქირაობენ სოფლის მეურნეობის დარგის პროფესიონალებს, ან იღებენ მათგან კონსულტაციებს, თუმცა შეინიშნება თვითგანვითარების სურვილიც, რომელშიც, ძირითადად, ინტერნეტს იყენებენ.

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ პირი, რომელსაც რკინიგზის ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, თუმცა პირველად მან მოიყვანა ბროკოლი წალკის მუნიციპალიტეტში და ამ პრაქტიკის გავრცელებას შეუწყო ხელი; ან ფოკუსჯგუფის სხვა მონაწილე, რომელსაც მათემატიკაში აქვს უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, თუმცა ამჟამად ავითარებს სახორცე ჯიშის მეფრინველეობის ფერმას. ანუ რიგ შემთხვევებში უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია მნიშვნელოვნად ეხმარება სოფლის მეურნეობაში ჩართულ პირებს, არა პირდაპირ პროფესიული კუთხით, არამედ უვითარებს ზოგად, ტრანსფერულ უნარებს, რაც საბოლოოდ მათ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, როგორც ბიზნესის, განვითარებაში უწყობს ხელს.

პირები, რომლებსაც აქვთ პროფესიულ-ტექნიკური განათლება:

სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიულ-ტექნიკური განათლების ფლობა კიდევ უფრო იშვიათია, მით უფრო ქალებსა და ახალგაზრდებს შორის. ზოგადად, პროფესიული ტექნიკური განათლება ცოტას აქვს, თუმცა თუ აქვთ, ფარმაციის, სკოლამდელი საგანმანათლებლო სასწავლებლების, კულინარიის და სხვა. ეს ჯგუფი განსაკუთრებული სპეციფიკით არ გამოირჩევა. არის შემთხვევები, როდესაც ისინი წარმატებულები არიან სხვა საქმიანობაში, არის შემთხვევები, რომ ისინი ტრადიციულ, ოჯახურ მეურნეობას მისდევენ და დიდად არ განსხვავდებიან ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის კურსდამთავრებულებისაგან. შეგვხვდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პირებს პროფესიულ-ტექნიკური განათლება სოფლის მეურნეობის დარგში აქვთ მიღებული და მათი ფერმერული საქმიანობა შედარებით მასშტაბური და წარმატებულია.

საშუალო განათლების მქონე პირები:

ქალებისა და მამაკაცების თითქმის თანაბარ ნაწილს საშუალო განათლება აქვს, თუმცა განსხვავებაა სოფლისა და ქალაქის დასახლებებში. სოფლად საშუალო განათლების მქონე ადამიანები უფრო ხშირია, ვიდრე მუნიციპალიტეტის ცენტრში. ცოტაა შემთხვევა, როდესაც პირს აქვს ზოგადი განათლება და შემდეგ ჩართულია, ან ინტერესი აქვს სხვა ტიპის არაფორმალური

ან მოკლევადიანი ფორმალური საგანმანთლებლო აქტივობების მიმართ. ამ ტიპის განათლების მქონე პირები ფოკუსჯგუფის ყველაზე პასიურ მონაწილეებს წარმოადგენდნენ, რომელთაც ნაკლებად აქვთ გამოცდილება ან ცოდნა გასაზიარებელი და სხვა, „წარმატებული“, ფერმერებისაგან ფოკუსჯგუფის მსვლელობაში იღებდნენ ინფორმაციას (მაგალითად, ნიადაგის შესწავლის, სასუქის გამოყენების სტანდარტის, ფერმის მოწყობის სტანდარტის და სხვ. კუთხით). ნიშანდობლივია, რომ ზოგადი საშუალო განათლების მქონე პირებს განვითარების სურვილიც ნაკლები აქვთ და ყველაზე ხშირად სტიქიურად მიჰყვებიან „მემკვიდრეობით“ მიღებულ საქმიანობას, იყენებენ ასევე „მემკვიდრეობით“ გადმოცემულ ტრადიციულ ცოდნას. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისი შემთხვევები. როდესაც ქალები საშუალო განათლებით, ფორმალურად ან არაფორმალურად, გარკვეულ პროფესიებს (მაგ. სტილისტობის, ბუღალტერიის, მაღაზიის კონსულტანტობის და ა.შ.) ეუფლებიან და პარალელურად მუშაობენ. თუმცა იმ ოჯახებში, სადაც 5 და მეტი მეწველი ძროხა ჰყავთ და მცირეწლოვანი ბავშვები, ქალები ამ დატვირთვას ვეღარ უთავსებენ სხვა ეკონომიკურ საქმიანობას და დროის ძირითად ნაწილს ოჯახსა და სოფლის მეურნეობას ახმარენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი საქმიანობა მსგავს შემთხვევებში სრულად ტრადიციული საოჯახო მეურნეობის ფორმით ხორციელდება. აქვე დავძენთ, რომ გამონაკლის შემთხვევებში ზოგადსაგანმანათლებლო განათლების მქონე პირებიც არიან აქტიურები. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე, რომელმაც სკოლის დასრულების შემდეგ უსაფრთხოების სამსახურში დაიწყო მუშაობა და დღემდე ამ მიმართულებით არის საჯარო სექტორში დასაქმებული, თუმცა პარალელურად ჰყავს 25 მეწველი ძროხა, ინტერნეტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მაცივრიდან შექმნა ინკუბატორი და ამჟამად 80 ფრთა ფრინველი ჰყავს (და ფიქრობს ამ მიმართულებით საქმიანობის გაფართოებას), მოჰყავს კარტოფილი და ასევე კუსტარულად ამზადებს მზის ბატარეებს, რომლებსაც, ძირითადად, მწყემსები ყიდულობენ მთაში მოგზაურობის დროს განათებისა და მცირე ელექტროენერგიის მარაგისთვის.

არაფორმალური და მოკლევადიანი განათლება

აქვს თუ არა სოფლის მეურნეობაში ჩართულ პირს მოკლევადიანი სწავლება (ტრენინგი, კურსი და ა.შ.) გავლილი სოფლის მეურნეობაში ძირითადად დამოკიდებულია ამ დარგში წარსულში ან ამჟამად პროექტების განხორციელებასა და საჯარო სექტორში დასაქმებაზე. პირები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მათ სოფლის მეურნეობის მიმართულებით რაიმე ტრენინგი ან სწავლება აქვთ გავლილი, ძირითადად არიან პირები, რომლებიც საჯარო სექტორში იყვნენ დასაქმებული სოფლის მეურნეობის კუთხით, მუშაობდნენ, ან თანამშრომლობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ან არიან პირები, რომლებსაც პროექტი დაუფინანსეს ან საგრანტო განაცხადი და ამიტომ ჩაერთვნენ გადამზადების პროცესში. სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია იმის თქმა, რომ განათლებას, ზოგადად, პოზიტიური გავლენა აქვს ფერმერული მეურნეობის განვითარებაზე, ზრდის ზოგად, ტრანსფერულ უნარებს, ინფორმაციის მოძიებისა და მიღებული ინფორმაციის გამოყენების საშუალებებს, ზრდის დაინტერესებასა და მოტივირებულობას; თუმცა გვაქვს ერთეული შემთხვევები, როდესაც, მიუხედავად პროფესიული განათლების არქონისა, პირები მაინც წარმატებულ ფერმერულ საქმიანობას ეწევიან.

ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, როგორც ჩანს, ერთვება ადგილობრივების მცირე რაოდენობა, ან მათთან შეხვედრებს ადგილობრივები უფრო საკონსულტაციო და საინფორმაციო ტიპის შეხვედრებად აღიქვამენ და ნაკლებად მიუთითებენ მათში ჩართულობაზე.

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა მიუთითებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა წალკის მუნიციპალიტეტში ღერძული ეკონომიკური სექტორია, კვალიფიციური განათლება ამ მიმართულებით მხოლოდ ერთეულ პირებს აქვთ. შესაბამისად, განვიხილავთ სოფლის მეურნეობის კუთხით ცოდნის ხარისხსა და მისი მიღების წყაროებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის:

ტრადიციული, მემკვიდრეობითი ცოდნა:

ექსპერტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობაში ადამიანური კაპიტალის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის ის, რომ ფერმერთა უმრავლესობას მხოლოდ ტრადიციული ცოდნა აქვს, რაც ამ საქმიანობაში ჩართულმა ადამიანებმა მათი წინაპრებისაგან მიიღეს და ინტერესსა და მზაობას არ იჩენენ, რომ ინოვაციური მიდგომები დანერგონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ფოკუსირებული დისკუსიის ფარგლებში მართლაც დასტურდება ეს ტენდენცია, თუმცა, ძირითადად, მცირე ზომის საოჯახო ტიპის ფერმებში. როდესაც დავინტერესდით, თუ საიდან იციან, როგორ მოვუაროთ ცხოველს, ან როგორ მოიყვანონ კარტოფილი და მარცვლეული, ადგილობრივები გაოცებულები გვიყურებდნენ და გვპასუხობდნენ, რომ, როდესაც ოჯახი ეწევა მეურნეობას, შეუძლებელია, იქ შვილმა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა არ ისწავლოს. ადგილობრივი აგრონომი აღნიშნავს: „ხშირად ახსენებენ ახალ სტანდარტებს და ინოვაციებს. მოდით, ახლა თქვენ დამისახელეთ, რა არის ინოვაციური? - რაზეც ადგილობრივი ფერმერი ვერ გაგცემთ პასუხს. ინოვაციაა ბროკოლის მოყვანა, ინოვაციაა წვეთოვანი სისტემის გამოყენება, ინოვაციაა ახალი პრეპარატების გამოყენება. რა ინოვაციაც არის საქართველოში, ყველაფერია წალკაში გამოყენებული. მაგრამ ინოვაციას ვერ დანერგავს ადამიანი, რომელსაც სახლში 2 ძროხა ჰყავს.“ მცირე ზომის ფერმერი კი ამაზე თავადვე პასუხობს, რომ მსგავსი ინოვაციები შეიძლება წალკაში მცხოვრებ „წარმატებულ“ ფერმერებს კი აქვთ, მაგრამ მასობრივად, მცირე ზომის ფერმერები ტრადიციულ მეურნეობას ეწევიან. ამის საპასუხოდ აგრონომი აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ერთადერთი შანსი არის მსხვილი ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება, რომლებშიც დასაქმდება ის გლეხი დღეს, რომ 2 ძროხა ჰყავს და თავს რომ ძლივს ირჩენს. ამ პროცესების კვალდაკვალ მოხდება მიწების გაერთიანება, დიდი რაოდენობის პროდუქციის წარმოება იქნება იაფი და ფერმაც მაღალ სტანდარტზე მოწყობილი. გარდა ამისა, დიდი ფერმები დაიქირავებენ პროფესიონალ კადრებს, რომლებიც საქმიანობას მაღალი ხარისხით, უფრო კვალიფიციურად შეასრულებენ. საინტერესოა სანთას ფერმის მეპატრონის პოზიცია, რომელმაც აღნიშნა, რომ სანამ მეცხოველეობის ფერმას გამართავდა, ის არაერთ ადგილობრივ გლეხს შეხვდა, ესაუბრა და მათგან მნიშვნელოვანი და სასარგებლო ინფორმაცია მიიღო. ფერმების სტანდარტებს უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას რძის პროდუქტების დამამზადებელი ქარხნები. ისინი სტანდარტებზე ხშირად ესაუბრებიან გლეხებს, თუმცა **ფერმერები მაინც ტრადიციული ცოდნის გამოყენებას არჩევენ. ერთ-ერთი მსხვილი ქარხნის წარმომადგენელი ამბობს: „ფერმა ავაშენე ყველა სტანდარტის დაცვით. ადგილობრივ მცირე ფერმერს რომ ვურჩიე, შენც ასე გააკეთე-მეთქი, მან მიპასუხა: „ჩემს პაპის პაპას ასე ჰქონდა და მეც ასე უნდა მქონდესო“.**

გამოცდილება:

ტრადიციულ ცოდნასთან ერთად გამოცდილება მნიშვნელოვანი ცოდნის წყაროა ფერმერთათვის. თუ ტრადიციული ცოდნა, უფრო გავრცელებულია მცირე ზომის, საოჯახო ფერმებში, გამოცდილებით სწავლა ყველა ზომის ფერმის მესაკუთრის სტრატეგიაა. მაგალითად, „სანთას“ ფერმის მეპატრონეც აღნიშნავს, რომ თავიდან ახალი ჯიში ბუღის გამოყვანა ექსპერიმენტი იყოს, რომელმაც გაამართლა. წალკის მუნიციპალიტეტში დღეს უკვე ტრენდად ქცეული ბროკოლის წარმოების მხრივაც, ადგილობრივი ფერმერები გამოცდილებას ეყრდნობიან. პირველ წელს კულტურას მცირე ზომის ნაკვეთზე, მცირე რაოდენობით რგავენ. წინა წლის შედეგების მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებას ამ კულტურის მოყვანის შესახებ. ადგილობრივი აგრონომის სიტყვებით: „გამოცდილებას მებოსტნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს.“ მისი თქმით, სულ რომ პროფესიულად გქონდეს ნასწავლი მებაღჩეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა თუ სხვა რამ, აუცილებლად უნდა მოახდინო ცოდნის ადაპტირება გარემოზე, კლიმატზე, ტენიანობასა თუ ზამთრის სიცივეზე. ამიტომ **გამოცდილება, მასზე რეფლექსია და მისი გათვალისწინება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ძალზე მნიშვნელოვანი ცოდნის წყაროა.**

სხვების გამოცდილების გაზიარება, ფორმალური თუ არაფორმალური კონსულტაცია

ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივი ფერმერებს შორის კონკურენციაზე მეტად ურთიერთდახმარების პრაქტიკაა გავრცელებული. შეიძლება ამას ის ტენდენციაც იწვევს, რომ ფერმერებს ერთობლივად უწევთ რიგი პრობლემების გადაჭრა. მაგალითად, მათი საქონელი (თუ დიდი ფერმა და საკუთარი ნახირი არ ჰყავთ) ერთ ნახირშია, მათი ნაკვეთები ერთობლივად უნდა შემოიღობოს, მათ ერთობლივად უხდებათ მავნებლებთან თუ დაავადებებთან ბრძოლა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის ასევე აქტიურად გამოიყენება ინფორმაციის გაცვლის პრაქტიკა: „აქ პარკებში ვსხდებით, ვისვენებთ, როცა ვსაუბრობთ ყველა ერთმანეთს პრობლემებზე ვუყვებით. თუ ვინმეს ძროხა ავად ჰყავს, ვმსჯელობთ, ეს რა არის. ის მე მეუბნება, თუ მე ვიცი, მე მას ვეუბნები... აი, ასეთი დახმარება არის, ურთიერთობა ასეთი არის.“

ურთიერთდახმარებისა და ურთიერთკონსულტაციის გაწევის პრაქტიკა ასევე გავრცელებულია მებოსტნეობასა და მემარცვლეობაში. თავად ფერმერები გასაღების ბაზარსაც ერთობლივად ეძებენ. რადგან დიდი მოცულობის პროდუქცია არ აქვთ, გასაღების დროსაც არ უწევენ ერთმანეთს კონკურენციას. როგორც დისკუსიიდან ვლინდება, ფერმერები ხშირად უწევენ კონსულტაციას ერთმანეთს აგროვადების, გამოყენებული სასუქისა თუ წამლების, მოწეული პროდუქციის მოგებიანობის და ა.შ. შესახებ. ფერმერთა უმრავლესობა ოფიციალურ კონსულტაციას არ იღებს, თუმცა მათი მცირე ნაწილი სარგებლობს ფორმალური დახმარებით და მათ შორის არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც: „მომსახურება არის ვეტერინარული. მე ხშირად ვიძახებ მათ, როდესაც რაღაცას ვერ ვიგებ ინფექციური დაავადების შესახებ. ჯემალი არის, მომსახურება სურსათის უვნებლობიდან. ისინი მოდიან, უყურებენ, სურათს უღებენ, აგზავნიან რუსთავში, თბილისში. იქედან პასუხს იღებენ. ისინი საქონლის ნუმერაციას აკეთებენ. გეხმარებიან რა. ნუ, ამ ყველაფერს სახელმწიფო აკეთებს“ (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი). გვხვდება შემთხვევები, რომ ფერმერები კონსულტაციას წალკის მუნიციპალიტეტის მიღმაც, რეგიონის თუ დედაქალაქის პროფესიონალებისაგან, იღებენ. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი კონსულტაციები მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ადგილობრივი ფერმერები ხშირად მიუთითებენ, რომ უკეთესი იქნება, თუკი წალკის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური

პროფესიონალები, რომლებიც არა მხოლოდ თეორიულ კონსულტაციას გაუწევენ ფერმერებს, არამედ თავად ფერმებსა და მეურნეობებში მივლენ, ადგილზე შეისწავლიან სიტუაციას და შემდეგ მისცემენ მათ რეკომენდაციებს.

მასმედიის საშუალებები, ინტერნეტი (ინკუბატორი, მიწის ბაზრ):

ფერმერული საქმიანობის სრულყოფისა და განვითარებით დაინტერესებული პირები ინფორმაციას იღებენ აგრეთვე მასმედიის საშუალებებით. ტელევიზია შედარებით ნაკლებად სახელდება, თუმცა ეთნიკური უმცირესობები ფერმერულ მეურნეობაზე ინფორმაციას იღებენ რუსული ტელეარხების საშუალებით, ხოლო ქართველი ფერმერები მეტ-ნაკლებად უყურებენ გადაცემას „ჩვენი ფერმა“ და ასევე სპეციალურ არხს - ფერმერი. თუმცა ტელევიზიას მიზანმიმართულად არ გამოიყენებენ, უფრო იმ შემთხვევაში უყურებენ, თუ შემთხვევით აღმოჩნდნენ ტელევიზორთან. ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება უფრო მიზანმიმართულად ხდება. ერთ-ერთი კენკროვანი ხილის მოშენებით დაინტერესებული ქალი აღნიშნავს, რომ ის ყოველთვის ინტერნეტს იყენებს ინფორმაციის წყაროდ. თუმცა, როგორც ქვემოთ აღვნიშნავთ, აქ დგას ენობრივი კომპეტენციის თემა, ადგილობრივებისათვის, ძირითადად, ინფორმაციის მოძიების ენები რუსული და ქართულია, რაც შედარებით უზღუდავთ ინფორმაციაზე წვდომას. მეფრინველეობის კუთხით მომუშავე პირი კი აღნიშნავს, რომ კარგი იქნება თუკი ქართველი ფერმერებიც აქტიურად დაიწყებენ ინტერნეტით თავიანთი გამოცდილების გაზიარებას, რაც უფრო სასარგებლო იქნება და კონტექსტუალურიც, ვიდრე სხვა ქვეყნების გამოცდილება.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მცირე ფერმების მეპატრონეები, ძირითადად, ტრადიციულ ცოდნასა და გამოცდილებას ეყრდნობიან, ხოლო პირები, რომლებიც ფერმას, როგორც ბიზნესს, ისე უყურებენ, უფრო მრავალფეროვან გზებს მიმართავენ, როგორებიცაა კონსულტაციები, მასმედია. ნიშანდობლივია, რომ ამ პროცესში სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი შედარებით იშვიათად ფიგურირებს და უფრო გამოცხადებულ პროექტებზე ინფორმაციის გამავრცელებლის როლში გვევლინება.

3.1.2. ზოგადი, გარდამავალი უნარები:

სოფლის მეურნეობაში ჩართულ პირებს უცხო ენების ცოდნის მაღალი კომპეტენცია არ აქვთ, განსაკუთრებით კი - ინგლისური ენის. რუსული ენა ეთნიკური ქართველების გარკვეულმა რაოდენობამ, ხოლო ეთნიკური უმცირესობების უმეტესობამ იცის. რუსულ ენას ადგილობრივები აქტიურად იყენებენ ინფორმაციის მისაღებად. გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ადგილობრივმა ფერმერებმა რუსული პრაქტიკა გაიზიარეს ახალი მექანიზაციის ასაწყობად, მაცივრიდან კუსტარულად ინკუბატორის ასაწყობად, კანადელ ფერმერთა გამოცდილება ფრინველების ფერმის მოსაწყობად გამოიყენა და ა.შ. უცხო ენების ცოდნის დაბალი დონე ნეგატიურად აისახება ადგილობრივების ინფორმირებულობაზე, რადგან, როგორც ისინი აღნიშნავენ, ქართულ ინტერნეტ სივრცეში ნაკლებად გვხვდება დეტალური ინფორმაცია სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

კომპიუტერული უნარების ფლობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია ასაკზე. რაც უფრო ასაკოვანია პირი, მით უფრო ნაკლებად განვითარებული ციფრული უნარები აქვს მას. თუმცა ყველა აღიარებს, რომ ციფრული უნარები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია ფერმერისთვის, რადგან მისი

საშუალებით შეუძლია, გაიგოს ინფორმაცია გამოცხადებული ტენდერების შესახებ, მოამზადოს საპროექტო წინადადება, მიიღოს მონაწილეობა საგრანტო კონკურსებში თუ ელექტრონულად მოიძიოს ინფორმაცია სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

მათემატიკური უნარები, როგორც ჩანს, პრობლემას წამოადგენს ფერმერთათვის, როდესაც მათი ბიზნესის მართვის ან დაგეგმვის კუთხით გამოყენების საჭიროება დგება დღის წესრიგში: ერთ-ერთი ადგილობრივი ამ უნარის არქონას უკავშირებს კოოპერატივებს ფუნქციონირების პრობლემებს. მისი თქმით, კოოპერატივები უმეტესად შეიქმნა მყისიერი სარგებლის მიღების მიზნით (მაგ., მეცხოველეობის ფერმაში საწველი აპარატის მიღებისთვის ან მეფუტკრეობის შემთხვევაში - თაფლის გამოსაწური აპარატის მიღების მიზნით) და არამდგრადი აღმოჩნდა, რადგან მის წევრებს არ შეეძლოთ ერთობლივად ბიზნესგეგმა მოემზადებინათ, გამოეთვალათ მოგება, ხარჯი და ა.შ. ადგილობრივი აგრონომი კოოპერატივის შექმნას მხოლოდ მაშინ ამართლებს, როდესაც მისი მონაწილეები შეძლებენ შესაბამისი პროფილით პროფესიონალების დაქირავებას, მაგალითად, ბუღალტრის, ვეტერინარის და ა.შ.. რძის პროდუქტების დამზადების კუთხით შექმნილი კოოპერატივის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნელიმ აღნიშნა, რომ კოოპერატივის შექმნის მიზანი იყო ოჯახებს, რომლებიც ინდივიდუალურად ამზადებდნენ ყველს და ყიდდნენ, ერთიანად ეწარმოებინათ ბრენდირებული ყველი და დიდი მოცულობის პროდუქციის და სტაბილური მიწოდების პირობებში გასაღების ერთიანი ბაზარი ჰქონოდათ. ამ კოოპერატივმა ეს ფუნქცია შეასრულა და დღეს წარმატებით ფუნქციონირებს. თუმცა აქვე დავძენთ, რომ ეს ქალბატონი კოოპერატივს მხოლოდ ხელმძღვანელობს (აქვს პედაგოგიური უმაღლესი განათლება, არის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და ქალაქ წალკაში აქვს სამკერვალო ატელიე ორი დასაქმებულით), აწარმოებს ბუღალტერიას და მართავს პროცესს. აღნიშნული შემთხვევა ადასტურებს იმას, რომ, როდესაც კოოპერატივის წევრებს კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო ან პროდუქციის მომზადების კუთხით აქვთ ცოდნა, ორგანიზაციის ფუნქციონირებას აუცილებლად სჭირდება ერთი ისეთი ადამიანი მაინც, რომელსაც მათემატიკური უნარები, დაგეგმვის უნარები, მართვის უნარები ექნება განვითარებული.

მათემატიკურ უნარებსა და ფერმის ბიუჯეტის გათვლას უკავშირდება შემოსავლების დეტალური გათვლა. როგორც საწყის ეტაპზე ველოდებოდით, ადგილობრივ ფერმერებს მკაფიო წარმოდგენა არ აქვთ თავიანთ შემოსავლებზე. ისინი ხშირად აღნიშნავენ, რომ სოფლის მეურნეობაში საქმიანობა წამგებიანია, რადგან ისინი არ ანგარიშობენ საკუთარი შრომის ანაზღაურებას. აგრონომი აქვე მიუთითებს, რომ ეს მიდგომა გადაჭარბებულია, რადგან თუ სოფლის მეურნეობაში საქმიანობა მუდმივად წამგებიანი იქნებოდა, ფერმერები სხვა საქმიანობაზე გადაერთვებოდნენ. საჯარო სექტორის წარმომადგენელი კი მეცხოველეობაში შემოსავლებს ამგვარად ანგარიშობს: ერთი მეწველი ძროხა საშუალოდ 600 ლიტრ რძეს გამოიმუშავებს წელიწადში (მას შემდეგ, რაც ხბო იქნება რძით დაკმაყოფილებული), რაც საშუალო ფასით 1 ლარად შეიძლება იქნეს შეფასებული. გარდა ამისა, ხბო, რომელიც 1 წლამდე მივა, საშუალოდ 1000 ლარი ღირს. სხვა მონაწილე კი აღნიშნავს, რომ საშუალოდ ერთი ძროხისაგან მიღებული შემოსავალი თვეში დაახლოებით 100 ლარია. მონაწილეები აქვე დასძენენ, რომ 2 მეწველი ძროხით ადგილობრივ ოჯახს ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება შეუძლია. მეცხოველეობის კუთხით კი მოგება მით უფრო იზრდება, რაც უფრო მეტ ძროხას ფლობს ფერმერი. აქვე გასათვალისწინებელია, თუ რა ტიპის პროდუქტს ყიდის ფერმერი. ნაწილი მიიჩნევს, რომ დამზადებული ყველის, განსაკუთრებით კი, სულგუნის ჩაბარება, უფრო მომგებიანია, ვიდრე რძის ჩაბარება. მოგების გაზრდის მიზნით ფერმერთა ნაწილი დამზადებულ ყველს ინახავს და ყიდის მოგვიანებით, როდესაც ფასი იმატებს. მსგავსი პრაქტიკის არსებობისას მოგებაც იმატებს. ადგილობრივები მეკარტოფილეობისა და მემარცვლეობის დარგებშიც ვერ ახდენენ შემოსავლებისა და ანაზღაურების გაანგარიშებას.
შედარებით რთულია თვისებრივი კვლევის საშუალებით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში

ჩართული პირების ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური უნარების შეფასება. ექსპერტებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ ფერმერისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ინტრაპერსონალურ მახასიათებლები, როგორებიცაა: პასუხისმგებლობა, პუნქტუალურობა, მოწესრიგებულობა, დისციპლინა, მოტივირებულობა. როგორც ერთ-ერთი ვეტერინარი აღნიშნავს, თუ საქონელს დაუგვიანე საკვები, არ მოწველე გარკვეულ დროს, არ გაუშვი საბალახოდ, არ აცერი და ა.შ., მეცხოველეობას ვერ გაჰყვები. მართალია, მისი თქმით, ამის წუთობრივი სიზუსტით დაცვა ფერმერებს (თუ დიდი ფერმა და დაქირავებული პერსონალი არ ჰყავთ) უჭირთ, თუმცა ეს გადაცდომები შედარებით მცირეა.

პუნქტუალობა და დროის პერსპექტივა ძალიან მნიშვნელოვანია მემარცვლეობისა და მებოსტნეობისთვის აგროვადების დაცვისა და საჭირო აქტივობების განხორციელებისათვის. შედარებით დიდ ფერმებსა და მეურნეობებში ვადები აბსოლუტური სიზუსტით არის დაცული, მაშინ, როცა მცირე ზომის საოჯახო ფერმებში დროის კონტროლი უფრო არათანამიმდევრულია, თუმცა, ზოგადად, დროის გათვლა აუცილებლად ხდება. ამას ისიც იწვევს, რომ მცირე ფერმერული მეურნეობების პატრონები, ძირითადად, რამდენიმე ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან, და ვერ ახერხებენ დროის სწორ განაწილებას. ინტერვიუს განმავლობაში ექსპერტები მიუთითებენ, რომ ფერმერებმა აგროვადების შესახებ არაფერი იციან. ამ პოზიციას ფოკუსჯგუფის მონაწილეები არ ეთანხმებიან, ისინი აღნიშნავენ, რომ მათ აგროვადები იციან ტრადიციული ცოდნითა და გამოცდილებით და იცავენ კიდეც.

მოტივირებულობა სოფლის მეურნეობის კუთხით ასევე დიდ გავლენას ახდენს მიღებულ შედეგებზე. მოტივირებული ფერმერები (და ხშირად მათ ფორმალური განათლების უფრო მაღალი კვალიფიკაცია აქვთ) უფრო მეტ დამატებით ინფორმაციას ეძებენ, უფრო ხშირად გამოცდიან ახალ მიდგომებსა თუ კულტურებს. მოტივაცია ამოსავალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის და პირდაპირ უკავშირდება ანაზღაურებას. მაგალითად, დაბალი ანაზღაურების დროს მწველავი არაჯეროვნად იცავს ჰიგიენის ნორმებს და პირიქით, სოლიდური ანაზღაურების (2000 ლარი) ფასად ორი დაქირავებული პირი სამ დღეში 100 000 ბროკოლის ნერგს რგავს. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც საუბრობენ დაქირავებული მუშახელის დაბალ მოტივაციაზე. ისინი ამბობენ, რომ თუ სოლიდურ თანხას არ გადაუხდი დაქირავებულ პირებს, ისინი საქმეს ჯეროვნად არ შეასრულებენ, მაგრამ მაღალი ანაზღაურების შემთხვევაში, პროდუქციის დაბალი გასაყიდი ფასის გამო, ფერმერს მოგება აღარ რჩება.

ინტერპერსონალური გარდამავალი უნარები - კომუნიკაბელურობა, გუნდური მუშაობის უნარი, თანამშრომლობა/კოოპერაცია, ლიდერობა, კრიტიკული აზროვნება - უმეტესად კოოპერატივების მონაწილეებს სჭირდებათ. როგორც დისკუსიებიდან იკვეთება, ეს უნარები არცთუ ისე განვითარებული აქვთ ადგილობრივ მაცხოვრებლებს. საშუალო ზომის ფერმერი, პროფესიით აგრონომი და საჯარო სექტორში სოფლის მეურნეობის კუთხით დასაქმების გამოცდილების მქონე პირი აღნიშნავს, რომ წალკა ერთ-ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტი იყო კოოპერატივების კუთხით, პირველად სწორედ აქ შეიქმნა ე.წ. მეორადი კოოპერატივი (კოოპერატივების გაერთიანება), თუმცა ეს იყო გაკეთებული პიარისათვის. მისი თქმით, კოოპერატივზე უფრო ეფექტიანი იქნება ფერმების გამსხვილება, რადგან მოსახლეობას ნაკლებად უყვარს მუშაობა, და კოოპერატივში შეიძლება კოლექტიური თანასაქმიანობა ვერ შეძლონ. სხვა მონაწილეები კი მიუთითებენ, რომ კოოპერატივის არამდგრადობას სწორედ კოოპერაციის, თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის უნარის დეფიციტი იწვევს. ადგილობრივების თქმით, ხშირია არაინფორმირებულობაც, როდესაც კოოპერატივის დამფუძნებლებმა არ იციან, რა ტიპის ორგანიზაციას ქმნიან, რა უფლება-მოვალეობები ექნებათ; მათ ხშირად აქვთ გადაჭარბებული მოლოდინები აქვთ და გუნდური მუშაობის გამოცდილების არქონის გამო, მარტივად და მალე იშლებიან.

გარდა კოოპერატივისა, თანამშრომლობა გვხვდება ინდივიდუალურ ფერმერებს შორის, თუმცა ამ ტიპის თანამშრომლობა არაფორმალიზებულია და მეპატრონეების ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ხშირად ამგვარი თანამშრომლობა უფრო მდგრადია. მაგალითად, ორი საშუალო ზომის ფერმერი, რომლებსაც მოჰყავთ ბროკოლი, აქვთ სხვადასხვა ტიპის ბაღჩეული და აქვთ სათბურები, აღნიშნავს, რომ ისინი მუდმივად თანამშრომლობენ სოფლის მეურნეობის კუთხით, რადგან ერთი უფრო ახალგაზრდა და ენერგიულია, ხოლო მეორე პროფესიონალი აგრონომია. მათი თქმით, ამგვარი ტანდემი მათ ეხმარება, ერთიანი მიდგომა შეიმუშაონ მავნებლებთან ბრძოლაში, სარეალიზაციო პროდუქციის დიდი მოცულობის გამო იოლად იპოვონ გამსაღებლები, ან იაფად შეძლონ პროდუქციის თბილისში ტრანსპორტირება.

დროისა და ბიუჯეტის დაგეგმვა - ეს უნარი განსხვავებულად აქვთ განვითარებული სხვადასხვა დონის ფერმერებს. თუმცა მცირე ზომის საოჯახო მეურნეობაში ჩართულ პირებსაც კი გამომუშავებული აქვთ დროის დაგეგმვის უნარი. მათი თქმით, თუკი ისინი წინასწარ არ მოიმარაგებენ ზამთრისთვის საქონლის საკვებს, არ დაიცავენ აგროვადებს, მათი ფერმა ვერ იფუნქციონირებს. საშუალო და დიდი ზომის ფერმერები უფრო დეტალურად, ბიზნესმოგებაზე გათვლით, გეგმავენ საქმიანობებს. მაგალითად, ბოსტნეულის მოყვანას ისე გეგმავენ, რომ ქვემო ქართლის სხვა მუნიციპალიტეტში მოსავლის აღებას არ დაემთხვეს, მათი პროდუქციის რეალიზაცია დეფიციტურ პერიოდს დაემთხვეს და მაღალი მოგება ნახონ.

3.1.3 სპეციფიკური ცოდნა და უნარები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ქვედარგში

ადგილობრივი სოფლის მეურნეობის კუთხით მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე პირის მიერ აღინიშნა, რომ თუ ფერმერების დარგობრივ ცოდნას და უნარ-ჩვევებს შევაფასებთ, ყველაზე უფრო განვითარებულია მეცხოველეობის კუთხით არის. შემდეგ მოდის მებოსტნეობა, მემარცვლეობა, მეფუტკრეობის კუთხით ცოდნა და უნარები კი ერთ-ერთი ყველაზე დეფიციტურია. მართალია, ფოკუსჯგუფებში მონაწილეობას იღებდნენ პირები, რომლებსაც აქვთ მეფრინველეობის ფერმა, ან ცდილობენ კენკროვანი ხილის გაშენებას, მათზე შედარებით მწირი ინფორმაცია მოვიპოვეთ ერთეული შემთხვევების გამო.

3.1.3.1 მეცხოველეობის კუთხით ფერმერთა სპეციფიკური ცოდნა და უნარები:

მეცხოველეობის კუთხით, ფერმერთა სპეციფიკური ცოდნა და უნარები რამდენიმე საკითხს მოიცავს:

- ექსპერტების გამოკითხვის პროცესში გამოვლინდა სპეციფიკური უნარების დეფიციტი ფერმერებში ჯიშობრივი გაუმჯობესების საკითხში. ფოკუსჯგუფის მონაწილეები, რომლებსაც 40 და მეტი მეწველი ძროხა ჰყავთ, უფრო ყურადღებით ეკიდებიან ცხოველთა გამრავლების საკითხს. იყო შემთხვევა, როდესაც 40 მეწველი ძროხის პატრონი მხოლოდ ხელოვნურ განაყოფიერებას იყენებს, არის შემთხვევები, როდესაც 30-40 მეწველ ძროხასთან ერთად თავისი ბუღები ჰყავთ. საშუალო და დიდი ზომის ფერმების შემთხვევებში საქონლის ჯიშობრივ სიწმინდეს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ და სპეციალურად შერჩეული ჯიშის ძროხებს ამრავლებენ. მცირე ზომის ფერმაში (20 მეწველი ძროხა და ნაკლები) მეპატრონეები არ ამახვილებენ ამ საკითხზე ყურადღებას და ჯიშობრივი გაუმჯობესების კუთხით შემდეგ გამოწვევას ხედავენ: როდესაც ისინი საერთო ნახირში უშვებენ საქონელს, მაშინ განაყოფიერების კონტროლი შეუძლებელია. თუ ჯიშობრივ გაუმჯობესებაზე იზრუნებენ, მაშინ საქონელი ბაგაზე

უნდა შეინახონ, რაც უზრდით ხარჯებს. დისკუსიებში იკვეთება, რომ ადგილობრივები ინფორმირებულები არიან ჯიშობრივი სიწმინდის მნიშვნელობაზე, თუმცა მცირე ზომის ფერმების მეპატრონეები სტიქიურად მიჰყვებიან საქმიანობას და პრაქტიკაში მის დაცვას არ ცდილობენ.

- ტექნოლოგიების დანერგვის პრობლემები: პირველ რიგში ვისაუბროთ საქონლის სადგომის მოწყობაზე, რაც გულისხმობს ბაგაში წყლის სისტემის შეყვანას, ნაკელის გასატანი აპარატის, ვენტილაციის, კანალიზაციის ქონას. ამ კუთხით მცირე ზომის ფერმებში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა. მეპატრონეებს, პირველ რიგში, მწირი ინფორმაცია აქვთ სტანდარტებზე, და იმ შემთხვევაშიც, კი თუ იციან, საქონლის სადგომის მოწყობა წარმოუდგენლად მიაჩნიათ. ამ კუთხით შემდეგი გამოწვევებია: ფინანსური რესურსების სიმწირე, ინფრასტრუქტურული პრობლემები (კანალიზაციისა და წყლის ბაგამდე მიყვანის პრობლემა), საქონლის სადგომის ზომის სიმცირე (ეკომიგრანტების უმრავლესობა სარგებლობს იმ შენობა-ნაგებობით, რაც წალკის მუნიციპალიტეტში დახვდათ და ამ კუთხით არ უფიქრიათ ნაგებობის გამართვაზე ან მოწყობაზე). მონაწილეები თავადვე აღნიშნავენ, რომ მათ გაცილებით მეტი საქონელი ჰყავთ სადგომში, ვიდრე სტანდარტით არის გათვალისწინებული. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მისი საქონელი რიგრიგობით წვება, ფართობის სიმცირის გამო. ფერმების უმრავლესობაში წყალი არ არის შეყვანილი, რომ ფინანსური დანაკარგი არ ჰქონდეთ. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ერთ-ერთი ფერმერი აღნიშნავს: „მრიცხველზე რომ შეაერთო წყალი, იმდენს დაატრიალებს, რომ

... ჩვენ, ვუშვებთ საქონელს და არის ადგილები, სადაც სვამენ წყალს.“ თუმცა ნაწილი ფერმერებისა აღნიშნავს, რომ მსგავსი ადგილები არ არის, ძირითადად კი, საქონელი წყალს ტბიდან, დიდი ზომის აუზებიდან სვამს. ფოკუსჯგუფის მონაწილეები ნაწილობრივ აცნობიერებენ, რომ ეს ყველაფერი მათ ფერმაზე ნეგატიურად აისახება და, საბოლოო ჯამში, უმცირებს შემოსავალს, თუმცა ამ კუთხით რეალური ნაბიჯების გადადგმას არ ფიქრობენ. იშვიათად თუ შეგხვდებათ მოწყობილი სადგომი გამართული ვენტილაციით, რიგ შემთხვევაში ბაგებში ამოჭრილია ფანჯარა და ასე ხდება ჰაერის გაწმენდა. საქონლის ნაკელის გატანა, ძირითადად, ხელით ხდება და ამას ოჯახის ყველა წევრი და ხშირად ქალებიც აკეთებენ. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივებს საწველი აპარატის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, მათ მიაჩნიათ, რომ აპარატის გამოყენება საქონლის წველადობას ამცირებს. მსგავსი პოზიცია ფოკუსჯგუფზე არ დაფიქსირდა. პირიქით, თითქმის ყველა მონაწილე აღნიშნავს, რომ საწველი აპარატები საჭიროა, თუმცა მათთვის ფინანსურად ხელმიუწვდომელია. მეორე მხრივ, როგორც ეთნიკური უმცირესობების, ასევე უმრავლესობის წარმომადგენლები უსვამენ ხაზს, რომ მწვავედ დგას მწველავების პრობლემა, ისინი, რომლებიც არაჯეროვნად, ჰიგიენის წესებს სრულიად არ იცავენ, ან - ნაწილობრივ ასრულებენ საქმეს, მაშინ, როცა ფერმერს მწველავის, მენახირის თუ ზამთარში საქონლის მომვლელისათვის მთელი შემოსავლის გადახდა შეიძლება უწევდეს. ფოკუსჯგუფების მონაწილეთა შორის საწველი აპარატები აქვთ საშუალო და მსხვილ ფერმერებს და ამით ძალიან კმაყოფილები არიან. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ საწველ აპარატებს ფერმერები მხოლოდ ზაფხულის პერიოდში იყენებენ. მათი თქმით, სექტემბრიდან რძის რაოდენობა იკლებს და საწველი აპარატის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი.

- საკვებწარმოება და ცხოველთა კვება

- მიწათსარგებლობა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ადგილობრივებისთვის, მიწის ფართობს მცირე ზომის ფერმათა მეპატრონეების დიდი ნაწილი იჯარით იღებს. მათი თქმით, მიწის ფართობის ფასი მაღალია, რაც მათ საქმიანობას არარენტაბელურს ხდის. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ პრაქტიკას მაინც ყველა იყენებს. პირუტყვის გამოკვებისთვის მიწის გაკულტივირების ან სპეციალური ჯიშის ბალახის დათესვის პრაქტიკა მხოლოდ სანთას ფერმაში შეგვხვდა, სადაც მეპატრონე (გარდა იმისა, რომ ზამთარშიც აწარმოებს მწვანე მასას), საძოვრებზე იტალიიდან შეძენილ სპეციალური ჯიშის ორწლიან ბალახს თესავს. დანარჩენი ფერმერები ამ პრაქტიკას არ მისდევენ და არც აცნობიერებენ ამის საჭიროებას.

- პირუტყვის ჯანმრთელობაზე ზრუნვის დაბალი ხარისხი: ექსპერტები მიუთითებენ, რომ ადგილობრივ ფერმერებს ამ კუთხით ცოდნისა და უნარების ნაკლებობა აქვთ. არის შემთხვევები, როდესაც მეპატრონეები პირუტყვის საყოველთაო აცრებზეც კი უარს ამბობენ. ფოკუსჯგუფების მიმდინარეობისას არ გამოვლენილა მსგავსი შემთხვევა, პირიქით, ეთნიკური უმცირესობებისა და უმრავლესობის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ, გარდა საყოველთაო აცრებისა, ისინი დამატებით აცრებსაც უკეთებენ ცხოველებს. თუმცა ერთმა ვეტერინარმა, რომელიც ვეტაფთიაქის მფლობელია, აღნიშნა, რომ არცთუ ისე იშვიათია, რომ საკმაოდ დიდი ზომის ფერმების მეპატრონეები თავისი პირუტყვის ჯანმრთელობაზე არ ზრუნავენ, არ უკეთებენ დამატებით აცრებს, რომელიც აუცილებელია პირუტყვისთვის. ის ამ ფაქტებს ფერმერთა მხრიდან ხარჯების ეკონომიით ხსნის და უმატებს, რომ მაშინაც კი, როცა პირუტყვი დაავადებულია, მეპატრონეები რძეს ან რძის პროდუქტებს რეალიზაციას უწევენ, რადგან გასაღების

ბაზარზე პროდუქციის ხარისხის კონტროლი არ ხდება. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც პირუტყვზე ზრუნვის კუთხით ადგილზე გამოვლინდა და აღმოჩნდა, რომ ფერმების უმრავლესობაში ის არ არის დაცული ან გათვალისწინებული, არის ცხოველებისა და ფრინველების იზოლაციის საკითხი. ადგილობრივი ვეტერინარი აღნიშნავს, რომ გამართული ფერმის საქონელი სხვა საქონელთან არ უნდა იყოს შერეული, ბაგეზე კვების პერიოდში მკაცრად უნდა იყოს გაკონტროლებული, თუ ვინ შედის ფერმაში და იცავს თუ არა ის ჰიგიენურ ნორმებს, რათა დაავადების გარედან შეტანა არ მოხდეს. მისი თქმით, ასეთი უსაფრთხოების ზომები მხოლოდ სანთას ფერმაშია დაცული, სადაც ტერიტორია შემოსაზღვრულია და ცხენითაც კი ვერ შეაღწევს უცხო პირი.

- წველისას ჰიგიენის დაცვა (ხელის დაბანა, ცურის დაბანა): ჰიგიენის ნორმების შესახებ ინფორმირებულობა როგორც ჩანს მოსახლეობაში მაღალია, თუმცა ადგილობრივები თავადვე აღნიშნავენ, რომ მათი დაცვა ზედმიწევნით ვერ ხდება, განსაკუთრებით მაშინ თუ მწველავები დაქირავებულია: „კი ავუხსენით, რომ ხელები უნდა დაიბანონ, ძროხის სარძევე ჯირკვლები უნდა გაწმინდონ, შემდეგ დეზინფექცია გააკეთონ. კი ვეუბნებით, მაგრამ თავზე თუ არ ადგახარ მწველავს, არ იცავს..“ (ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი).

- რძის შენახვის სტანდარტების დარღვევა: ექსპერტები მიუთითებენ, რომ მოსახლეობის ნაწილმა არ იცის რძის შენახვის სტანდარტები ან/და არ იცავს მას. ერთ-ერთი საკითხია სტანდარტთან შეუსაბამო ჭურჭლის გამოყენება. მართალია, ამას ფოკუსჯგუფში არავინ აღნიშნავს და ამბობენ, რომ ჭურჭელს სპეციალურად არჩევენ, თუმცა პრაქტიკაში როგორ, ხდება რთული შესაფასებელია.

- რძის ტემპერატურის დაცვა: ეს პრობლემა ექსპერტებთან ერთად ადგილობრივებმაც წამოჭრეს. მათი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში წალკის მუნიციპალიტეტში ღამით ტემპერატურა 12 გრადუსია, ამ ტემპერატურაზე რძის შენახვა მაინც სარისკოა. „რძის მოწველიდან 3 საათის შემდეგ რძე უნდა პასტერიზირდეს. თუ ეს რძე არ პასტერიზირდება, ის უცებ ფუჭდება. პროდუქტი კი შეიძლება გაკეთდეს, მაგრამ მისი ხარისხი, დავუშვათ, არ წავა არაჟანზე, არ წავა ხაჭოზე“ (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი. რძის შენახვის ტემპერატურას ნაკლებად აკონტროლებენ ის ფერმერები, რომლებიც რძეს აბარებენ: „ჩვენ არ ვუყურებთ ტემპერატურას. იმიტომ, რომ წველის შემდეგ, 40 წუთში, ჩვენგან მიაქვთ. ამ მანქანამ იცის, რომ ჩვენ გვიმთავრდება 10 საათზე წველა. ის სადღაც 10-ს რომ 10 აკლია იქ არის. ვავსებთ მის „ბოჩკებს“ და უკვე ჩვენ არ ვაგებთ პასუხს“ (უმცირესობის წარმომადგენელი ფერმერი).
- ფერმერების ნაწილი საქონლის იმპორტულ საკვებზეა დამოკიდებული: აღნიშნულ პრობლემაზე სანთას ფერმის მეპატრონემ აღნიშნა. მისი თქმით, ფერმერი არ უნდა იყოს იმპორტულ საქონელზე დამოკიდებული. ეს, ერთი მხრივ, ეკონომიკურად არარენტაბელურია, მეორე მხრივ, კი, საქართველოში შემოტანილი საკვების ხარისხი დაბალია. ფოკუსჯგუფის მონაწილეთა შორის იმპორტულ საკვებს არავინ გამოიყენებდა.

3.1.3.2. ფერმერთა სპეციფიკური ცოდნა და უნარები მემცენარეობის კუთხით:

- მემცენარეობაში სპეციფიკური უნარების და ცოდნის კუთხით შემდეგი მდგომარეობაა:

- აგროვადების დაცვა: სოფლის მეურნეობის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ზოგადად ფერმერებს, რომლებსაც პროფესიული ცოდნა არ აქვთ სოფლის მეურნეობის კუთხით, აგროვადების დაცვა უჭირთ. ფოკუსჯგუფებზე განხილვისას გამოვლინდა, რომ აგროვადების დაცვას ადგილობრივებს წალკის მკაცრი კლიმატი აიძულებს. საჯარო მოხელეები აღნიშნავენ, რომ მაისის თვე წალკაში მუდმივად წვიმიანია, ამიტომ ყველა ფერმერმა იცის, რომ ხვნა-თესვა აპრილში უნდა დაასრულოს. ასევე იციან, რომ თუ მოსავალს სექტემბრის თვეში არ აიღებენ, შეიძლება ყინვამ მოუსწროს და დააზარალოს. ამიტომ, მოხელეთა თქმით, ფერმერები დროს ყველაზე უკეთ აკონტროლებენ. მსხვილი ან საშუალო ფერმების მეპატრონეებს, რომლებსაც დაქირავებული მუშახელი ჰყავთ, უფრო დეტალურად აქვთ გაწერილი ეს ვადები.

- ნიადაგის შესწავლის პრაქტიკა: მეორე ეტაპზე გამოკითხული ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ნიადაგის შესწავლას არ აწარმოებს და ამის მიზეზად არაინფორმირებულობა და ანალიზის გაკეთების ფინანსური ხელმიუწვდომლობა დაასახელეს. ექსპერტების შეფასებით ნიადაგის შესწავლა ფერმერს ეხმარება ზუსტად განსაზღვროს თუ რა ტიპის სასუქის გამოყენება არის სასურველი, უფრო მეტიც, შეიძ-ლება ნიადაგის ტიპის მიხედვით გადაწყდეს თუ რა კულტურა უნდა მოიყვანოს გლეხმა. ფოკუსჯგუფების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ ნიადაგის შესწავლის საჭიროების შესახებ მცირე ზომის ფერმათა მეპატრონეების უმრავლესობა არაა ინფორმირებული, საშუალო და დიდი ზომის ფერმერებს უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ, თუმცა მხოლოდ მცირე რაოდენობა მიმართავს ამ პრაქტიკას. თავისი ინიციატივით ნიადაგი შესწავ-ლილი მხოლოდ ერთეულ მეურნეს ჰქონდა. აქვე უნდა დავამატოთ, რომ ექსპერტთა შეფასება ნიადაგის ანალიზის გაკეთების ფინანსურ ბარიერებზე არარელევანტური აღმოჩნდა, რადგან მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს აქვს ნიადაგის შემსწავლელი მიკროლაბორატორია, რომელიც უფასოდ ემსახურება ადგილობრივ ფერმერებს. საინტერესოა, რომ ფერმერებმა არც ამ შესაძლებლობის შესახებ იცოდნენ. იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ადგილობრივები სწავლობენ ნიადაგს, ამ პრაქტიკის სტიმული კვლავ გრანტის გამცემი თუ პროექტის დამფინანსებელი ორგანიზაციები არიან, რომლებიც აუცილებლად ითხოვენ ნიადაგის ანალიზს, შემდეგ ეტაპზე კი ფერმერი თავად მიმართავს ამ პრაქტიკას. ადგილობრივი ფერმერის თქმით, ფერმერმა, სულ მცირე, PSH და მჟავიანობა უნდა იცოდეს მიწა, თუმცა ერთეული ფერმერი თუ მოიძებნება, რომელიც ამ პრაქტიკას იყენებს.

- სასუქის გამოყენება: ექსპერტებმა მემცენარეობის კუთხით ერთ-ერთ გამოწვევად ზედმეტი და არარელევანტური სასუქის გამოყენება დაასახელეს. ადგილობრივი აგრონომის თქმით, ფერმერები უმეტესწილად სასუქად იყენებენ NPK-ს, ფოსფორს, გვარჯილას. თუმცა თავად ფოკუს ჯგუფის მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ მცირე ტრადიციული მეურნეობის მქონე პირებს წარმოდგენა არ აქვთ სასუქის ტიპის შერჩევის ან ოდენობის სტანდარტებზე. არის რამდენიმე ფერმერი (მცირე ფერმის მეპატრონე), რომელიც საერთოდ არ იყენებს სასუქს, რადგან ბიოკარტოფილს აწარმოებს და კლიენტიც მუდმივად ჰყავს.

- ხარისხიანი სათესლე მასალის შემოტანა/დანერგვა: ექსპერტები მიუთითებენ, რომ ფერმერებს ნაკლებად აქვთ ხარისხიანი სათესლე მასალის გამოყენების კულტურა. სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსი დასძენს: „მაგალითად, მეკარტოფილეობაში 10 წლის წინათ ძირითადი პრობლემა იყო ხარისხიანი სათესლე მასალა, მაშინ ფერმერიც ვერ რისკავდა მის შეძენას, რადგანაც მოთხოვნა არ იყო და რაოდენობაც მცირე შემოდიოდა. ადრე დაკვეთით ხდებოდა სათესლე მასალის შემოტანა და ახლაც ასეა, თუმცა ახლა მყიდველების რაოდენობა გაიზარდა. ფერმერი რომ ხედავს, გაუმჯობესდა ჯიში, არ უწევს დაავადებებთან ბრძოლა და შემდეგი 4-5 წლის მანძილზე გარანტირებული შედეგი ექნება, დაიწყო თესლის შეძენა.“ მცირე ზომის ფერმების მეპატრონეები ასევე მიუთითებენ თესლის შეძენის საჭიროებაზე, თუმცა აქვე დასძენენ, რომ, მაგალითად, წელს შემოტანილი კარტოფილის თესლი ძალზე ძვირი იყო (1 კგ თესლი 1 ევრო ღირდა) და მხოლოდ ერთეულებმა შესძლეს მისი შეძენა. თუმცა მცირე ზომის ფერმების პატრონებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მოსავლის მიღების მიზნით აუცილებელია თესლის ცვლა. მათი თქმით, 3 წლის შემდეგ ისინი აუცილებლად ცვლიან თესლს: შემოტანილ თესლს იძენენ, ან მსხვილი ფერმერისაგან ყიდულობენ. მაშინ, როცა მსხვილი მეკარტოფილეები ყოველთვის მაღალი კლასის კარტოფილს თესავენ, მცირე ზომის მეურნეობებში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ახალი ჯიშების (მაგ, Black Jack-ი)ს გამოყენების პრაქტიკა.

- ხანგრძლივად ერთი და იმავე კულტურის დათესვა, რაც იწვევს ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას: ექსპერტების მიერ პრობლემათა შორის დასახელებული ეს საკითხი ადგილობრივებთან საუბრისას არ დადასტურდა. ყველა კატეგორიის ფერმერს აქვს ამის შესახებ ინფორმაცია, მცირე ზომის ფერმის პატრონები უფრო მარტივად ახერხებენ ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე კულტურების მონაცვლეობას, ვიდრე მსხვილი ფერმერები.

- მცენარეთა დაცვის კუთხით ცოდნის დეფიციტი/ შხამქიმიკატების შესახებ ცოდნა: ამ კუთხით თავად ფერმერებს ცოდნა არ გააჩნიათ და მთლიანად მიმწოდებლებზე არიან დამოკიდებულნი, რომლებიც თავად უწევენ რეკომენდაციას სხვადასხვა ნივთიერების გამოყენებას. როდესაც ვკითხეთ, თუ როგორ ენდობიან შემომტანებს, რომლებსაც პროდუქციის გასაღება სჭირდებათ, ადგილობრივებმა აღნიშნეს, რომ თუ შემომტანები ცუდ პროდუქტს გაუწევენ რეკლამას და ფერმერი დაზარალდება, მათ მიმართ კლიენტები ნდობას დაკარგავენ და მომავალ წელს პროდუქციას მისგან არ შეიძენენ. მსხვილი ფერმების მეპატრონეები თავად მონაწილეობენ აქტიურად შხამ-ქიმიკატების შერჩევაში და ამისათვის გამოცდილებას და პროფესიულ ლიტერატურასაც კი იყენებენ. სწორედ ეს ფერმერები აღნიშნავენ, რომ შემომტანების რეკომენდებული ნივთიერებები ყოველთვის ეფექტიანი არ არის. იშვიათად, მაგრამ მცირე ზომის ფერმერებთანაც გვაქვს თვითგანათლების მცდელობები. მაგალითად, ერთ-ერთი ქალი, რომელსაც სხვადასხვა ბაღჩეული მოჰყავს, აღნიშნავს, რომ წალკაში მნიშვნელოვანი გამოწვევა მახრა იყო. მან ინტერნეტით მოიძია ინფორმაცია, რომ ამ პრობლემას მოაგვარებდა ბუნებრივი მასალით (მაგ, დაფნის გამოყენებით) და პოზიტიური შედეგი მიიღო.

- ახალი კულტურების მოსინჯვა ადგილზე: ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობდა პირი, რომელმაც პირველმა მოიყვანა წალკის მუნიციპალიტეტში ბროკოლი და უკვე მესამე წელია ნაყოფიერად მუშაობს ამ მიმართულებით, უფრო მეტიც, მისგან სხვა ფერმერებმაც აიღეს მაგალითი და ის უზიარებს მათ გამოცდილებას. როგორც ერთ-ერთი ფერმერი აღნიშნავს, იდეა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული პროექტის

ფარგლებში გაუჩნდა, გათვალა დანახარჯის პოტენციური მოგება და ბროკოლის მოყვანა სცადა, რამაც გაამართლა. თუმცა ამ ისტორიაში საინტერესო არის ის, რომ ფერმერმა ეს არასამთავრობო სექტორის წახალისებით და „ცდის და გამოცდის“ პრინციპით წამოიწყო. უმაღლესი განათლების მქონე აგრონომი კი ამას უკვე პროფესიული გამოცდილების კუთხით ხსნის. როგორც აგრონომი აღნიშნავს, კომბოსტოს ჯიშის მცენარეები „ცივი კულტურებია,“ რომლის მოყვანისთვის მნიშვნელოვანია ღამით ტემპერატურა 15 გრადუსზე ან უფრო დაბალზე ჩამოვიდეს. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ბროკოლის მოყვანა წალკის მუნიციპალიტეტში წარმატებული. ეს მაგალითი აჩვენებს,

რომ, ერთი მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიონალური განათლება, რათა დაგეგმილად მოხდეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარება, თუმცა, როგორც ზოგიერთი მონაწილე აღნიშნავს, ასევე მნიშვნელოვანია მოსინჯვა, რისკებზე წასვლა და ფერმერის ინდივიდუალური გამოცდილება. თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ ახალი კულტურების ადგილზე მოსინჯვა მხოლოდ ერთეულმა ფერმერმა სცადა და წარმატების შემთხვევაში სხვებმა მათ მიჰბაძეს. მარცვლეული კულტურების მოყვანის კუთხით კი ინოვაციები უფრო ნაკლებად გვხვდება.

- ტექნიკასთან მუშაობის ცოდნა: მცირე ზომის ფერმების პატრონებს აქვთ დაბალი სიმძლავრის ტექნიკა, მაგალითად მინიტრაქტორები, მოტობლოკები, რომელთა გამოყენება იციან. თუმცა მსხვილი ფერმერები აღნიშნავენ, რომ მათ მეურნეობაში მძლავრი ტექნიკა სჭირდებათ, თუმცა რთულია ადგილობრივების პოვნა, რომლებმაც იციან მათი გამოყენება. ამიტომაც, ძირითადად, საშუალო და მსხვილი ფერმების პატრონები ტექნიკას თავისი მძღოლ-ოპერატორებით ქირაობენ.

- მორწყვისას წყლის განაწილება: სარწყავი სისტემა, ზოგადად, წალკის მუნიციპალიტეტში დიდი პრობლემაა, თუმცა ერთ მხარეს სარწყავი სისტემა გამართულია. სარწყავი სისტემის არსებობისას მნიშვნელოვანია ფერმერმა იცოდეს წყლის სწორი განაწილება მთელ ნაკვეთზე. მსხვილი ფერმერები აღნიშნავენ, რომ წალკის მუნიციპალიტეტში მსგავსი სპეციფიკური ცოდნა ცოტას თუ აქვს და სწორედ ამიტომაა, რომ ისინი წლების განმავლობაში ერთ გამოცდილ ბრიგადასთან თანამშრომლობენ.

- ცოდნის მიღების ობიექტური მექანიზმები და კონსულტაციები: ზოგადად ექსპერტების მსჯელობიდან და ფოკუსჯგუფების ფარგლებში წარმართული დისკუსიიდან იკვეთება, რომ აგრონომიის კუთხით შეიძლება უფრო დიდი დეფიციტი იყოს მუნიციპალიტეტში, ვიდრე მეცხოველეობის კუთხით. დიდი ზომის ფერმის მეპატრონე ამბობს, რომ მოსახლეობას თუნდაც ელემენტარული დონის კონსულტაციის მიღება გაუჭირდება ადგილზე, ამიტომაც ისინი დამოკიდებულები არიან ტექნოლოგიების რეალიზატორ კომპანიებზე, რომლებიც დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ და შესაძლოა ამიტომ თავისი პროდუქციის რეალიზაციის მიზნით, არაეფექტიან საშუალებას გაუწიოს რეკომენდაცია. გარდა ამისა, რიგ შემთხვევაში ფერმერს სჭირდება, რომ სპეციალისტმა მდგომარეობა ადგილზე, თავად ნაკვეთში, შეისწავლოს და თეორიულ მსჯელობას არ დაეყრდნოს. ამის საშუალება კი წალკის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად არ არის.

- მოსავლის სახლში შენახვისას დიდი დანაკარგი: შეიძლება ითქვას, რომ წალკის მუნიციპალიტეტში ფერმერთა უმრავლესობა მოყვანილ პროდუქციას ტრადიციული (სარდაფში, ორმოში და ა.შ.) ფორმით ინახავს. საინტერესოა, რომ ფოკუსჯგუფის მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ მცირე ფერმერებმა ისიც კი არ იციან, რომ შენახვის ამ პირობებში პროდუქცია მინიმუმ 10%-ით იკლებს წონაში, პროდუქციის გაფუჭებით გამოწვეულ დანაკარგზე რომ არაფერი ვთქვათ. უკანასკნელი რამდენიმე წელია, წალკის მუნიციპალიტეტში გაჩნდა შესანახი სივრცეები, თუმცა, როგორც ადგილობრივი ფერმერები ამბობენ, ამ შესანახი სივრცის გამოყენების პრობლემაა: შესანახები თავად დიდ ფერმერებს აქვთ აშენებული და ხშირად გარედან პროდუქციას აღარ იღებენ, შესანახ სივრცემდე პროდუქციას ტრანსპორტირება სჭირდება და შესანახი სივრცის ქირის ფულთან ერთად აძვირებს პროდუქციის ფასს.

3.1.3.3. ფერმერთა სპეციფიკური ცოდნა და უნარები მეფრინველეობის კუთხით:

მეფრინველეობა წალკის მუნიციპალიტეტში ნაკლებად განვითარებულია. ფოკუსჯგუფში მონაწილეობა მიიღო პირმა, რომელიც მესამე წელია, სატესტო რეჟიმში ცდილობს მეფრინველეობის ფერმის განვითარებას და ამჟამად ჰყავს 700 ფრთა ფრინველი. მას სრულიად არ ჰქონდა სპეციფიკური ცოდნა და ეს საქმიანობა მეგობრის გამოცდილების გაზიარებით დაიწყო, რომელსაც შიდა ქართლში მეფრინველეობის ფერმა აქვს. გარდა მეგობართან კონსულტაციებისა, ის ინფორმაციას ფერმის მოწყობის სტანდარტებთან და საჭირო ინვენტართან დაკავშირებით ინტერნეტით იძიებდა. ის აღნიშნავს, რომ ქართულ ინტერნეტსივრცეში მეფრინველეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დეფიციტია. გასულ წელს მას შეექმნა სერიოზული პრობლემა, როდესაც ფრინველი დაავადდა. მან კონსულტაცია ვეტერინარისგან დისტანციურად მიიღო სატელეფონო კომუნიკაციით. ვეტერინარმა რეკომენდაცია გაუწია, რომ გამოეყენებინა ანტიბიოტიკები, რის გამოყენების შემდეგაც ფრინველმა ზრდა შეაჩერა, ნაწილი კი დაიხოცა. სპეციფიკური ცოდნისა და უნარების კუთხით ის ხაზს უსვამს შემდეგ საჭიროებებს:

- წალკის მუნიციპალიტეტში კვალიფიციური ვეტერინარის კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა, რომელიც ფერმაში არსებულ მდგომარეობას დეტალურად შეისწავლის და ისე გასცემს რჩევებს;
- ფერმის მოწყობის სტანდარტების შესახებ დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

3.1.3.4. მეფუტკრეობა

როგორც სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენელი აღნიშნავს, წალკის მუნიციპალიტეტში ფუტკრის 2500 ოჯახი ჰყავთ. აგრონომის თქმით, „განსხვავებით მეცხოველეობისა და მებოსტნეობისგან, მეფუტკრეობას სხვისი გამოცდილებით ვერ ისწავლი, ის „შენ უნდა იცოდე და პრაქტიკაში ისწავლო. ჯერ კიდევ ხულოს რაიონში

ცხოვრების დროს მყავდა 100 ოჯახი და ვეწეოდი მემთაბარეობას. მეფუტკრეობა მაშინაა მომგებიანი, როდესაც ამთაბარებ. მეც დამყავდა ფუტკარი: ხან კახეთში მყავდა, ხან კოდაში ჩავიყვანე და ა.შ.. ჩემი მეფუტკრეობის პერიოდში 300 ოჯახი დამეღუპა. აი, აქედან ვისწავლე. პრაქტიკაში ასეა მიღებული, 20 ოჯახი თუ გყავს, მომავალ წელს შეიძლება 4 ოჯახი გამოგაკლდეს. თუ მეტი გამოგაკლდა, მაშინ რაღაცაშია საქმე“ (ოთარი, 62 წლის). სხვა მონაწილეებისაგან აღინიშნა, რომ მეფუტკრეობის სწავლა „წიგნიდანაც“ არ შეიძლება. მაგალითად, ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც მისდევს მეფუტკრეობას (თუმცა დიდი რაოდენობით ფუტკარი არ ჰყავს), აღნიშნავს, რომ მას მდიდარი ლიტერატურა აქვს მეფუტკრეობის შესახებ. თუმცა მას მეფუტკრეობის სახელმძღვანელოდან შესწავლა შეუძლებლად მიაჩნია. ამის საილუსტრაციოდ ის ამბობს შემდეგს: მაგ., კრასნოდარის მეფუტკრეობის მაგალითზე დაწერილი წიგნიდან

შეიძლება ზოგადი პრინციპები გაიგო, თუმცა საჭიროა ამ პრინციპების ადაპტირება ადგილობრივ გარემო პირობებთან, კლიმატთან და ა.შ.. სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მეფუტკრეობის მიმართულებით კვლევითმა ცენტრმა შესთავაზა უფასო ტრენინგების ჩატარება, ასევე გასვლა სოფელში და ადგილობრივი პრაქტიკის ნახვა, „თუმცა არავინ არ მოსულა, რადგან დაინტერესება ნულია." რა თქმა უნდა, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული ფასიანი ტრენინგის მიმართ მოსახლეობას ინტერესი არ გააჩნია. ანუ მეფუტკრეს სჭირდება თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, თუმცა ამ კუთხით განვითარებას ნაკლებად ცდილობენ. ადგილობრივი აგრონომი კი ფიქრობს, რომ ამის მიზეზი არის პროდუქციის გასაღების პრობლემა. მისი თქმით, თაფლზე ლიცენზია თუ არ აიღე, მას მაღაზიაში ვერ ჩააბარებ. 5-10 ოჯახისათვის კი ლიცენზიის აღება არარენტაბელურია. 100 სკის ოჯახის მფლობელი ასევე ადასტურებს, რომ თაფლის გასაღება ერთ-ერთი პრობლემური თემაა ამ სიტუაციაში, როცა სახელმწიფოსგან არ ჩანს ამის აღმოფხვრის ნება. ამის მაგალითად მან აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ თაფლის შესყიდვასთან დაკავშირებულ ტენდერში კრასნოდარის თაფლმა გაიმარჯვა. ადგილობრივის თქმით, თაფლთან მიმართებაში მწვავედ დგას მისი „სისუფთავის" საკითხი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობისას, როდესაც ერთ-ერთმა ადგილობრივმა მეფუტკრემ ლაბორატორიულად შეამოწმა თაფლში დაბინძურების მაჩვენებელი, შედეგებმა აჩვენა, რომ მისი თაფლის დაბინძურების მაჩვენებელი - (2.8) ბევრად აღემატებოდა დაბინძურების ზღვრულ დონეს - (0.4-ს). თუმცა, როგორც მონაწილე აღნიშნავს, ეს დონე გაცილებით მაღალი იქნება სხვა რეგიონებსა თუ მუნიციპალიტეტში ამოღებულ თაფლში. სპეციფიკური ცოდნის კუთხით, ადგილობრივმა მეფუტკრეებმა მეტ-ნაკლებად იციან ან/და ახორციელებენ:

- სკის სწორი განთავსება: სკა, მაგ., არ უნდა იყოს ახლოს კარტოფილის კულტურასთან სპეციფიკური შხამ-ქიმიკატების გამოყენების გამო ან დასახლებულ პუნქტთან ახლოს, საკანალიზაციო სისტემის გაუმართავობის გამო.
- მეფუტკრეობისთვის მემთაბარეობის პრაქტიკის მნიშვნელობა, თუმცა ნაკლებად ახორციელებენ მას დივერსიფიცირებული სოფლის მეურნეობის გამო.
- უშუალოდ ფუტკრის მოვლის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები;
- ზუსტი პრეპარატების გამოყენება.

თითოეულ ეკონომიკურ სექტორში ადამიანური შესაძლებლობების შეფასების შემდეგ მითითებულია ამ სექტორებში არსებული გამოწვევები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება ადამიანურ კაპიტალს, თუმცა გავლენას ახდენს სექტორის განვითარებაზე.

3.1.3.5. მეცხოველეობასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემები:

მიწის საკუთრება შეიძლება ჩაითვალოს სოფლის მეურნეობაში ყველაზე უფრო პრობლემურ თემად, რომელსაც ყველა ჯგუფის დისკუსია შეეხო, მიუხედავად სადისკუსიო თემისა. ეს პრობლემა ძირითადად დგას ეკომიგრანტებთან მიმართებაში, რომელთა უდიდეს ნაწილს (როგორც ადგილობრივები აღნიშნავენ, 80%-ს) მიწა საკუთრებაში არა აქვს და ვერც ყიდულობენ ფინანსური და ბიუროკრატიული ბარიერების გამო. ამ საკითხზე მსჯელობისას ხანდახან ვლინდება ფარული ანტაგონიზმი ეთნიკური უმცირესობების მკვიდრთა მიმართ, რომელთაც, ეკომიგრანტების თქმით, მიწის დიდი მასივები აქვთ საკუთრებაში და ეკო-მიგრანტებზე აქირავებენ: „21000 ჰა სახნავი მიწიდან 15000 ჰა ბერძენ ფერმერებს აქვთ." ფოკუსჯგუფებში გამოითქვა უკმაყოფილება სახელმწიფოს მიმართაც, რომელსაც გასაყიდად აუქციონზე არ გამოაქვს აუთვისებელი მიწის ნაკვეთები. თავად მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სამსახურის უფროსი კი განმარტავს,

რომ თითოეულ სოფელთან მიმართებაში სახელმწიფოს ბალანსზე დატოვებულია იმდენი მიწა, რომ ადგილობრივმა ფერმერებმა თავისუფლად შეძლონ მათი საძოვრად გამოყენება.

ფერმერებისათვის მიწის საკუთრებაზე ხელმიუწვდომლობა შემდეგ პრობლემებს ქმნის: ა) მიწის ქირით აღებაში ადგილობრივების ფინანსური რესურსი მიდის. როგორც ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, როდესაც ის მიწას ზამთრის საკვების მომზადებისთვის ქირაობს, იხდის 150 ლარს, შემდეგ სჭირდება ტექნიკის ქირაობა და დაახლოებით 8 ლარი უჯდება ერთი შეკვრა თივა, რაც მის ოჯახურ მეურნეობას მძიმე ტვირთად აწვება; ბ) მიწის საკუთრებაში არქონა ადგილობრივებს ფერმერული მეურნეობის განვითარებაში უშლის ხელს, რადგან, როდესაც მათ საკუთრებაში არ არის მიწა ან შენობა-ნაგებობა, ისინი განვითარებისთვის პოტენციალს ვერ ხედავენ და არ აუმჯობესებენ, მაგალითად, საქონლის ბაგას. ან მხოლოდ სათიბად იყენებენ მიწას, რომელიც რეალურად სახნავად შეიძლება იქნეს გამოყენებული. გ) ადგილობრივები აღნიშნავენ, რომ მეურნეობის განვითარების მიზნით კრედიტის აღებისას მიწის საკუთრებაში არქონა მათთვის ლეგალური ბარიერია.

ადგილობრივი გამოცდილი საშუალო ფერმერის შეფასებით, ფერმერული მეურნეობა დანაწევრებულ და მცირე ზომის ნაკვეთებზე ვერ განვითარდება.

სასაკლაოს არქონა წალკის მუნიციპალიტეტში აძვირებს ხორცის ფასს, როდესაც ასურეთის სასაკლაოზე ხდება საქონლის ტრანსპორტირება. სასაკლაოს არქონა ასევე ნეგატიურად აისახება მეფრინველეობაზე, სწორედ ამიტომ ფრინველის ერთიანად, იაფ ფასში ჩაბარება უხდება მეპატრონეს.

ზოგად მსჯელობაში იშვიათად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ხელისუფლების მიმართ კრიტიკული განწყობებიც. მაგალითად, ადგილობრივი აგრონომი აღნიშნავს, რომ ბაქო-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის მიზნით აზერბაიჯანულ ფირმას 50 წლით გადაეცა მიწა, რომელზეც გადიოდა პირუტყვის გადასარეკი ტრასა. ადგილობრივები მიიჩნევენ, რომ მსგავსი დაუდევარი გადაწყვეტილებებით ხელისუფლება აზარალებს სოფლის მეურნეობას. ცხოველთა გადასარეკი ტრასა სხვა მხრივაც პრობლემურია ადგილობრივი ფერმერებისთვის. როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მეცხოველეები აღნიშნავენ, პირუტყვის გადარეკვის დროს მომთაბარე საქონელი ადგილზე დაავადებებს „ტოვებს," რომელიც ადგილობრივ საქონელსაც აავადებს.

მეცხოველეობაში ჩართული ქალებისათვის (და იშვიათად მამაკაცებისთვის) პრობლემურია საწველ აპარატებზე ფინანსური ხელმიუწვდომლობა, რაც რეალურად მათ ძალიან დიდ დროსა და ენერგიას დაუზოგავდა და უფრო რაციონალურად გამოიყენებდნენ დროს.

3.1.3.6. მარცვლეული, ბოსტნეული - სპეციფიკური პრობლემები

როგორც ადგილობრივი აგრონომი აღნიშნავს, ბოსტნეული კულტურები წალკის მუნიციპალიტეტში, მართალია, სეზონში მხოლოდ ერთხელ მოდის, მაგრამ ნაყოფის ხარისხი მაღალია. მთავარ პრობლემად ის განიხილავს გასაღების ბაზარს. იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობაში ჩართულ პირთა უმრავლესობას მცირე ფართობის მიწები აქვთ, მემცენარეობის კუთხით დიდი ზომის მეურნეობები ვერ განვითარდა. თბილისთან სიშორე და ტრანსპორტირების ხარჯები ერთეული პროდუქციის ფასს აძვირებს, ხოლო მიწოდებული პროდუქციის მცირე მოცულობა და არასტაბილური მიწოდება წალკის მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქტის ბაზარზე დამკვიდრებას უშლის ხელს.

მარცვლეულის მოყვანის კუთხით გამოწვევაა ტექნიკური საშუალებები. წალკაში გაცილებით მეტი ტექნიკას ნიადაგის დასამუშავებლად, მაშინ, როცა მოსავლის ამღები ტექნიკა მცირე რაოდენობითაა. ადგილობრივი ფერმერი იხსენებს წინა წლის შემთხვევას, როდესაც ორი კომბაინი სოფელ გუმბათში მუშაობდა, ავრალოსა თუ სხვა სოფლებში მოსავლის აღება გაჭიანურდა, ამ დროს სეტყვაც მოვიდა და ძალიან დაზარალდნენ ფერმერები. დამუშავების კუთხითაც მეტი ცხენისძალიანი ტრაქტორების დეფიციტია, რომლებიც კორდების დასამუშავებლად არის საჭირო.

ფოკუსჯგუფის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ, რეალურად, შრომის ტრადიციული გენდერული დიფერენციაც კვლავ აქტუალურია. ქალებისათვის პრიორიტეტი შინ შრომაა, რომელსაც მცირე ფერმერული მეურნეობის შემთხვევაში ემატება პირუტყვისა და ბოსტნის მოვლა. საშუალო და მსხვილი ზომის ფერმებში ხშირად გამოიყენება დაქირავებული შრომა. იმ შემთხვევაში, თუ ქალი საოჯახო საქმიანობის პარალელურად ფერმერულ მეურნეობაში ფიზიკურად შრომობს, მისი საქმიანობა განუსაზღვრელია, ანუ ის შეიძლება ბაგასაც ასუფთავებდეს, პირუტყვსაც უვლიდეს, რომ არადერი ვთქვათ საქონლის მოწველაზე, რაც „ქალის საქმედ“ ითვლება,

3.2. ტურიზმი

წალკის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება რამდენიმე წელია, დაიწყო და, ძირითადად, დაშბაშის კანიონს უკავშირდება. მუნიციპალიტეტს გაცილებით დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: ბუნებრივი ლანდშაფტი (კანიონები, ჩანჩქერები, ტბა), კულტურული მემკვიდრეობა (მინიმუმ, 5 ციხესიმაგრე), მოსახლეობის ეთნიკური და რეგიონული მრავალფეროვნების გათვალისწინებით გასტრონომიული ტურიზმი და აგრო ტურიზმი. არსებული მდგომარეობით, ტურიზმი ფაქტობრივად განვითარებული არ არის. მუნიციპალიტეტს უფრო მეტად ვიზიტორები ჰყავს, ვიდრე ტურისტები. თუმცა უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში დამსვენებლების რაოდენობა სტაბილურად იზრდება. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში ტურისტული ობიექტები (სასტუმრო, კვების ობიექტი, გასართობი ობიექტი) ნაკლებად განვითარებულია, გიდები და ტურისტული სააგენტო კი საერთოდ არ არის. ადგილობრივი მოსახლეობა დიდ იმედებს ამყარებს ტურიზმის განვითარებაზე და ამ მხრივ გარკვეული აქტივობებსაც გეგმავს, რომელსაც მოგვიანებით დეტალურად შევეხებით. შესაბამისად, მოცემულ ქვეთავში შევეხებით იმ რამდენიმე ადამიანის გამოცდილებას, რომლებსაც, ძირითადად, სასტუმრო/საოჯახო სასტუმრო და კვებითი ობიექტები (კაფე, რესტორანი, სასადილო) აქვთ და იმ რამდენიმე ადამიანის გამოცდილებას, რომლებიც აქამდე სახლებს აქირავებდნენ და სურთ ბიზნესის განვითარება/გაფართოება.

3.2.1. ტურიზმში ჩართული პირების ფორმალური და არაფორმალური განათლება

პირები, რომლებიც ტურიზმში არიან ჩართულნი, ან სამომავლოდ გეგმავენ მსგავსი ბიზნესის განვითარებას, მრავალმხრივი ფორმალური კვალიფიკაციით გამოირჩევიან. უფრო დიდ ნაწილს აქვს უმაღლესი განათლება, ასევე გვხვდებიან პირებიც საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლებით. უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლება ტურიზმის მენეჯმენტის ან სხვა რელევანტური პროფესიის კუთხით, ძირითადად, ამ ბიზნესში ჩართულ პირებს არა აქვთ. ტურიზმში დასაქმებულები არიან ეკონომისტები, საჯარო მმართველები, სტომატოლოგები, პედაგოგები, ინჟინრები, ვეტერინარები და ა.შ. საინტერესოა, რომ ახალგაზრდები, რომლებიც ამჟამად ჩართულნი არიან თავიანთი ოჯახების ტურისტულ ბიზნესში, ტურიზმის მენეჯმენტში უმაღლეს განათლებას იშვიათად იღებენ.

დისკუსიის დროს გამოვლინდა, რომ მხოლოდ ერთი მონაწილის შვილი იღებს ტურიზმის კუთხით უმაღლეს განათლებას, ხოლო ერთმა მათგანმა გიდის პროფესიული კურსი გაიარა. მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ტურიზმის განვითარებას უმაღლესი განათლება ნაკლებად სჭირდება და მოკლევადიანი გადამზადება რელევანტური პროფილით საკმარისი იქნება. მხოლოდ რამდენიმე მეპატრონეს ან დასაქმებულს აქვს მოკლევადიანი მომზადების კურსი გავლილი ტურიზმის მენეჯმენტში, კულინარიაში, მიმტანის სერვისში, თუმცა ეს ერთეული შემთხვევებია.

შეგვიძლია, ვთქვათ, რომ, სოფლის მეურნეობის მსგავსად, მსგავსად სოფლის მეურნეობისა, ტურიზმში ჩართული ადამიანების უმრავლესობა ეკონომიკური აქტივობის განხორციელებისას ეყრდნობა ცოდნის მიღების შემდეგ წყაროებს:

ტრადიციული ცოდნა: იქიდან გამომდინარე, რომ სექტორში დასაქმებულთა უმრავლესობას პროფესიული კვალიფიკაცია ტურიზმის მიმართულებით მიღებული არა აქვს, მათი საქმიანობა სამზარეულოს თუ სტუმარ-მასპინძლობის ოჯახში დამკვიდრებულ მემკვიდრეობით ცოდნას ემყარება. კვებით ობიექტებში მზარეულებს არა აქვთ გავლილი სწავლება კულინარიაში. დიდ რესტორნებში, ისევე, როგორც საოჯახო სასტუმროებში, მზარეულები ოჯახის დიასახლისები არიან, რომლებიც საქმიანობას თავიანთი ტრადიციული ცოდნით ართმევენ თავს. დისკუსიისას იკვეთება, რომ ამ სფეროში ჩართული მზარეულები თავის კვალიფიკაციას დადებითად აფასებენ და ამ მხრივ ცოდნის გაღრმავებას ამ ეტაპზე არ გეგმავენ. თუმცა ის რამდენიმე პირი, რომელიც უფრო ფართომასშტაბიანი სასტუმროს მოწყობას გეგმავს და კადრების დაქირავებას აპირებს, მიიჩნევს, რომ ფორმალური კვალიფიკაციის მქონე კადრი მნიშვნელოვანია. თუმცა წალკის მუნიციპალიტეტში მსგავსი კადრის არათუ მოძიება, არამედ მსურველის მოძიებაც კი ჭირს, რომელსაც გადამზადების კურსებს დაუფინანსებენ და შემდეგ დაასაქმებენ.

გამოცდილება: როგორც სექტორში დასაქმებული პირები აღნიშნავენ, გამოცდილება ცოდნის მნიშვნელოვანი წყაროა. დისკუსიის მსვლელობაში, ისინი ჰყვებიან წარმატებული თუ წარუმატებელი შემთხვევების შესახებ და ამ შემთხვევების გათვალისწინებით გეგმავენ ამჟამინდელ თუ სამომავლო საქმიანობებს. მაგალითად, ერთ-ერთი ოჯახის მეზობლად წალკის მუნიციპალიტეტში კონტრაქტით მომუშავე პირებს რამდენიმე თვით ჰქონდათ დაქირავებული სახლი და დასჭირდათ საჭმლის მომზადება. რადგან კარგი დიასახლისი იყო, დაიწყო მათთვის საჭმლის მომზადება. მას შემდეგ, რაც კლიენტებისაგან დადებითი შეფასება მიიღო, გადაწყვიტა რომ სახლის გვერდით დროებითი ნაგებობა მოეწყო საცხოვრებლად და ოჯახი იქ გადასულიყო, ხოლო სახლი გაექირავებინა და დამქირავებლებისათვის შეეთავაზებინა საკვები. ამ პრაქტიკამ ძალიან გაამართლა. ტურიზმში ბიზნესის წამომწყებ ან განვითარების მსურველთა უმრავლესობა წალკაში სამუშაოდ ჩამოსული მუშახელისათვის სახლებს აქირავებდნენ და ტურიზმის კუთხით ბიზნესიდეაც აქედან წამოვიდა.

სხვების გამოცდილების გაზიარება, ფორმალური თუ არაფორმალური კონსულტაცია: ტურიზმის სფეროში მოქმედი პირები ხშირად მიმართავენ კონსულტაციებისთვის უფრო გავნითარებული და გამოცდილი პირებს. თუმცა აქვე დასძენენ, რომ, განსხვავებით სოფლის მეურნეობისაგან, თავად წალკაში ოფიციალური კონსულტაციის მიღება ტურიზმის სექტორის შესახებ შეუძლებელია. ხშირია შემთხვევა, როდესაც ეკო-მიგრანტები ინფორმაციას იღებენ მათი ახლობლებისგან, რომლებსაც სვანეთსა და აჭარაში მოქმედი ბიზნესები აქვთ. მათი თქმით, ეს კონსულტაციები სასარგებლოა, თუმცა - არასაკმარისი. პირები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ფორმალურ ტრენინგში (მათ შორის ერთ-ერთი ტრენინგი სასტუმროთა მეპატრონეებისათვის წალკის მუნიციპალიტეტშიც ჩატარდა), ძალიან დადებითად აფასებენ მის შედეგს და იჩენენ მზადყოფნას, რომ სამომავლოდაც, მსგავსი აქტივობის შემთხვევაში, სიამოვნებით ჩაერთონ. განსხვავებით

მზარეულობისაგან, სადაც ტრადიციული ცოდნა მათ საკმარისად მიაჩნიათ, სასტუმროს მოწყობის, მომსახურების, ობიექტის მართვის კუთხით, როგორც ამჟამინდელი ბიზნესში ჩართული პირები, ისე პირები, რომლებიც გეგმავენ ბიზნესის განვითარებას, სიამოვნებით მიიღებდნენ მონაწილეობას. ერთადერთ 14-ნომრიანი სასტუმროს მეპატრონეს აქვს რამდენიმე კურსი გავლილი სასტუმროს მენეჯმენტის კუთხით. ის ამ გამოცდილებას დადებითად აფასებს, თუმცა ყველაზე ეფექტიანად ის კახეთში სასტუმროების მონახულებას თვლის. მაღალი კლასის სასტუმროების მონახულების შემდეგ მას ახალი იდეებიც კი გაუჩნდა, თუ როგორ უნდა მოაწყოს თავის ნომრები.

სოფლის მეურნეობისგან განსხვავებით, ტურიზმის სექტორში ჩართული პირები ინტერნეტისა და სხვა მედიის საშუალებებით ტურიზმის განვითარების შესახებ ინფორმაციას ნაკლებად იღებენ. მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც საოჯახო კაფეს მეპატრონე/მზარეული მიზანმიმართულად უყურებს გადაცემა „მასტერ შეფს," რათა სიახლეებს გაეცნოს. თუმცა ის აქვე დასძენს, რომ წალკის მუნიციპალიტეტში ჩასულ ტურისტს ავთენტური სამზარეულო უფრო აინტერესებს, ვიდრე ევროპული სამზარეულო, რომელსაც ყველგან დააგემოვნებს.

3.2.2. ზოგადი უნარები:

ტურიზმის სექტორში მეპატრონეთა და დასაქმებულთა გარდამავალი უნარების დეფიციტი უფრო მწვავედ იჩენს თავს. უცხო ენების ცოდნა ყველაზე საჭირო, თუმცა დეფიციტურ უნარად იქნა დასახელებული. უცხოელი ტურისტების მომსახურებაზე გათვლილი ობიექტების უმრავლესობაში დასაქმებულებს აუცილებლად სჭირდებათ ინგლისური და რუსული ენების ცოდნა. ინგლისური ენის ცოდნა შედარებით მაღალი აქვთ ახალგაზრდებს, შესაბამისად, საოჯახო ბიზნესში ისინი კლიენტებთან მომსახურებისას ხშირად ეხმარებიან ოჯახს. თუმცა ოჯახებში, სადაც ახალგაზრდები დედაქალაქში იღებენ უმაღლეს განათლებას, მსგავსი დახმარების პრაქტიკა მხოლოდ ზაფხულში 'მუშაობს,' თუმცა როგორც მეპატრონეები აღნიშნავენ, ტურისტებიც, ძირითადად, ზაფხულში სტუმრობენ მუნიციპალიტეტს. ერთ-ერთი კაფეს მეპატრონე ინგლისური ენის დეფიციტს ასე ავსებს: „მე არ ვიცი ინგლისური, მაგრამ ჩემმა შვილმა იცის. მას დავაწერინე ინგლისურად მენიუ, ხოლო მე მაქვს მისი შესაბამისი ქართული მენიუ. როდესაც მოდის ინგლისურენოვანი ტურისტი, ვაწვდი ინგლისურ მენიუს, ტურისტი მაჩვენებს, რა კერძი უნდა და მე მას ვამზადებ." თუმცა მენიუში ასახული, ამ შემთხვევაში, მეგრული კერძები, რამდენად არის გასაგები ტურისტებისთვის და რამდენად არ საჭიროებენ ისინი დამატებით ინფორმაციის მიწოდებას, რა თქმა უნდა ღია საკითხია. რუსული ენის ცოდნა აქვთ საშუალო ასაკის ადამიანებს, რომლებიც ძირითადად მართავენ ამ ბიზნესს და ამ მხრივ პრობლემას ვერ ხედავენ. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივებს ასევე სჭირდებათ თურქული, სომხური ენები, ბერძნებთან და სხვა ეთნიკურ უმცირესობებთან კომუნიკაციისათვის. თუმცა, როგორც დისკუსიიდან იკვეთება, ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოში ცხოვრების განმავლობაში ადგილობრივები ამ ენებს უფრო მეტად დაეუფლნენ.

კომპიუტერული უნარები ტურიზმში დასაქმებულ პირებს არა ინფორმაციის მოსაძიებლად, არამედ ოპერირებისათვის სჭირდებათ. განსაკუთრებით ეს სასტუმროს ბიზნესს ეხება. როგორც ადგილობრივებმა აღნიშნეს, ინტერნეტში მხოლოდ რამდენიმე სასტუმროს აქვს ინფორმაცია განთავსებული. რამდენიმე შემთხვევაში მეპატრონის შვილებმა ინფორმაცია booking.com-ზეც განათავსეს, თუმცა მუდმივად ამ ინფორმაციის მიდევნება და მენეჯმენტი არ ხორციელდება. დანარჩენები მეტ-ნაკლებად აცნობიერებენ სპეციალურ საიტებზე სასტუმროების შესახებ ინფორმაციის განთავსების მნიშვნელობას, თუმცა ამისთვის არ მიმართავენ გარკვეულ ქმედებებს.

დისკუსიისას იკვეთება, რომ მათ თავიანთი სასტუმრო არ მიაჩნიათ იმ დონეზე აღჭურვილი, რომ ინტერნეტით მიიზიდონ კლიენტი. რეალურად ამის საჭიროებას რომ ხედავდნენ, ისინი სხვების დახმარებით მაინც შეძლებდნენ ინფორმაციის განთავსებას. როგორც ისინი აღნიშნავენ, მათი ობიექტები google-ის რუკაზეც კი არ არის მონიშნული (გარდა ერთი კაფესი), ისევე, როგორც არ იყენებენ თავიანთი ობიექტის რეკლამირების სხვა პრაქტიკას.

ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური უნარები ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის სექტორში დასაქმებულთათვის. ყველაზე მწვავედ ტურიზმის სექტორში შრომისმოყვარეობისა და მოტივაციის პრობლემა დასახელდა. დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ ამ მხრივ ძირითადი პრობლემა ახალგაზრდებთანაა (ამას არა მხოლოდ შუახნის, არამედ ახალგაზრდა მონაწილეებიც აღნიშნავენ). მათი თქმით, წალკაში მუდმივად უჩივიან უმუშევრობას, თუმცა რეალურად მუშაობა არავის უნდა. როგორც ერთ-ერთი ახლად გახსნილი სასტუმროს მფლობელი, 28 წლის ახალგაზრდა, აღნიშნავს, თუნდაც 30 ლარის ანაზღაურებით, ის ვერ შოულობს ადამიანს, რომელიც ტვირთს გადაიტანს. მიზეზთა შორის დასახელდა ანაზღაურების სიმცირე, სამუშაოს არასტაბილურობა, გარკვეული სამუშაოების შესრულების არაპრესტიჟულობა და ა.შ. ამ კუთხით კვლავ წამოტივტივდა ახალგაზრდების მიგრაციის პრობლემა და არაერთხელ გაიჟღერა ფრაზამ, რომ „წალკაში გაჩერება არავის უნდა.“ პუნქტუალობისა და დისციპლინის კუთხითაც ვხვდებით პრობლემებს, როდესაც მეპატრონეები დროულად არ ახვედრებენ კლიენტს მოწესრიგებულ ოთახებს, რაც დროისა და სამუშაოს დაგეგმვის უნარის ნაკლებობაზე მიგვითითებს. პრობლემა არის ბიუჯეტის დაგეგმვაც, რომელიც, ერთი მხრივ, შეიძლება მათემატიკური უნარების დეფიციტზე მიუთითებდეს (თუმცა ამას არავინ აღიარებს), მეორე მხრივ, ზოგადად, დაგეგმვის პრინციპის არცოდნაზე.

ერთადერთ რესტორანში დაფიქსირდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის უნარი და აღინიშნა, რომ ეს პრობლემა ამ რესტორანში არ დგას, რადგან საჭიროების შემთხვევაში „ყველა ყველას საქმეს აკეთებს,“ თუმცა, მეორე მხრივ, ეს სუსტ მენეჯმენტსა და სამუშაოს არასწორ გადანაწილებაზე მიუთითებს. იქედან გამომდინარე, რომ ტურისტული ბიზნესი წალკაში ან სრულიად საოჯახოა, ან მასში ოჯახის წევრები დომინირებენ, გუნდური მუშაობა უფრო გავრცელებულია. თუმცა ოჯახის წევრებს შორის შრომის გადანაწილება ხშირად გენდერული ნიშნით ხდება: ქალი მზარეულია, ქალი ალაგებს, მამაკაცი ამარაგებს და ა.შ.. ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა ისეთი შემთხვევა, როცა ოჯახის ყველა წევრთან ერთად სასტუმროს მომსახურებაში მეექვსე კლასის მოსწავლე ძალიან აქტიურად იყო ჩართული: საჭიროების შემთხვევაში მუშაობდა ბარში, ხვდებოდა სტუმრებს, აქირავებდა ბილიარდს და ა.შ. დისკუსიაში მონაწილეები ხაზს უსვამენ, რომ კომუნიკაციის უნარი მათ კარგად აქვთ განვითარებული. მათი თქმით, სწორედ ამ აქტიური კომუნიკაციის საფუძველზეა, რომ მათთან კლიენტი განმეორებით მოდის.

3.2.3. სპეციფიკური ცოდნა და უნარები ტურიზმის განვითარების კუთხით

ტურისტული ბიზნესის კუთხით ადგილობრივების სპეციფიკური ცოდნა და უნარები რამდენიმე საკითხს მოიცავს:

- **წალკის ტურისტული პოტენციალის შესახებ დაბალი ინფორმირებულობა:** ფოკუსჯგუფის მონაწილეებს თავდაპირველად ვეკითხებოდით, თუ რა ტურისტული პოტენციალი აქვს წალკის მუნიციპალიტეტს. აღნიშნულ კითხვაზე რიგ მონაწილეებს, ძირითადად, ახალგაზრდებს ჰქონდათ უფრო დეტალური პასუხი. შუა ხნის ადგილობრივები, მეტწილად, ყველაზე გავრცელებულ ობიექტებს (დაშბაშის კანიონსა და ბერთას მონასტერს) გვისახელებდნენ. უფრო მეტიც, მათმა ნაწილმა დაშბაშის კანიონის შესახებ უკანასკნელ პერიოდში გაიგო და ზოგიერთს ნანახიც კი არ ჰქონდა. ის მონაწილეებიც კი, რომლებიც ინფორმირებულნი არიან ისტორიული ძეგლების, ტბების, ჩანჩქერების თუ არქეოლოგიური საიტების შესახებ, აღნიშნავენ, რომ მათ სტუმრისათვის, თუნდაც არაპროფესიულ დონეზე, გიდის მომსახურების გაწევა გაუჭირდებათ, რადგან ისტორია

არ იციან. ფოკუსჯგუფის მონაწილეთაგან მხოლოდ ერთმა აღნიშნა, რომ ამ საჭიროების გაცნობიერების შემდეგ მისმა ქალიშვილმა თბილისში გაიარა სპეციალური გადამზადება გიდის პროფილით. შესაბამისად, ტურიზმში ჩართული პირების უმრავლესობას სტუმრისათვის მხოლოდ ზედაპირული რეკომენდაციების მიცემა შეუძლიათ.

- ამ ეტაპზე წალკის მუნიციპალიტეტში არ არსებობს ტურისტული სააგენტო, გიდების მომსახურება, არ ხდება ადგილობრივი ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა, არ არსებობს მუნიციპალიტეტის რუკა, სადაც ტურისტული მარშრუტები და საიტები იქნება ასახული.

ამ საკითხს თავად ადგილობრივები დიდ ყურადღებას არ აქცევენ და აღნიშნავენ, რომ დაშბაშის კანიონის მოწყობის შემდეგ ეს მიმართულებაც განვითარდება. ამ ეტაპზე კი ყველაზე ხშირად ტურისტებს გიდები თბილისიდან მიჰყვებიან.

- **სასტუმროების ქსელის განვითარების დაბალი დონე, ობიექტის მართვისა და მოწყობის ცოდნის არქონა:** მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ქალაქ წალკაში არცთუ ისე ბევრი სასტუმროა, საოჯახო ტიპის სასტუმროები მრავლადაა, ხოლო ინდივიდუალურად ოთახებს უფრო მეტი ოჯახი აქირავებს. ეს უკავშირდება ძირითადად უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარე მასშტაბურ სამუშაოებს, ქალაქში ჩამოსულ ბრიგადებს, რომლებსაც საცხოვრებელი სივრცის ქირაობა ესაჭიროებათ. თავდაპირველად ბევრი ადგილობრივი არც კი აპირებდა სახლის გაქირავებას, თუმცა მოთხოვნის შესაბამისად ჩაერთო ამ საქმიანობაში. ამ პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ინფორმირებულობის დაბალი დონის გამო, სასტუმროების სერვისი ძალიან დაბალ დონეზეა განვითარებული. თავად მონაწილეთა შეფასებებით ცხადი ხდება, რომ ოთახების მოწყობა, ავეჯი, მოწესრიგებული ინდივიდუალური სველი წერტილი, უწყვეტი ცხელი წყალი თუ გათბობა ძალიან დაბალი სტანდარტისაა. ფოკუსჯგუფის მონაწილეები ამას ნაკლებად აღიარებდნენ და ასევე არ ამჟღავნებდნენ განვითარების სურვილს. პირიქით, ისინი ხშირად უსვამენ ხაზს, რომ მათი კლიენტები კმაყოფილები არიან და სამომავლოდ უფრო მეტად სივრცის გაფართოებას გეგმავენ და არა არსებული ოთახებისა და სერვისის გაუმჯობესებას. ფოკუს ჯგუფის მხოლოდ ერთი მონაწილე, რომელიც, როგორც ჩანს, თავადაც ბევრს მოგზაურობს და სასტუმროს მომსახურების მომხმარებელია, ხაზს უსვამს სასტუმროში ოთახების მოწყობის, ინდივიდუალური სველი წერტილების, ადგილზე პროფესიონალი მზარეულისა და დამლაგებლის საჭიროებას. თუმცა აქვე აცნობიერებს, რომ მსგავსი სასტუმროს მოწყობისას ის დიდი გამოწვევის წინაშე დადგება, რადგან აქედანვე იცის, რომ კვალიფიციურ დამლაგებელს, მიმტანს თუ მზარეულს წალკის მუნიციპალიტეტში ვერ იპოვის.

- **კლიენტების საჭიროებების შეფასების პრობლემა:** ექსპერტების მიერ დასახელებულ პრობლემათა შორის მწვავედ იდგა სასტუმროებისა და კვების ობიექტების მეპატრონეების მიერ კლიენტის საჭიროებების შეფასების საკითხი. ეს მართლაც დადასტურდა ფოკუსჯგუფების მსვლელობისას. მხოლოდ ერთ კვების ობიექტს აქვს განვითარებული კლიენტებისაგან შეფასების მიღების სისტემა, დანარჩენ შემთხვევებში ფორმალურ თუ არაფორმალურ დონეზე მომსახურების მიმღების კმაყოფილების შეფასება არ ხდება. უფრო მეტიც, კაფეს მეპატრონე აღნიშნავს, რომ წალკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივები უკმაყოფილებას არ გამოხატავენ, რადგან ეს პირად შეურაცხყოფად აღიქმება და იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი გაფუჭებულ პროდუქციას ყიდულობენ, უკან დაბრუნებისაგან თავს იკავებენ, მეპატრონესთან „ურთიერთობის გაფუჭების შიშით.“ კითხვაზე, თუ რატომ ჰყავს წალკას უფრო მეტი ვიზიტორი, ვიდრე ტურისტი, ადგილობრივები არასდროს არ მიუთითებენ იმაზე, რომ ნორმალური ხარისხის სასტუმრო თუ კვების ობიექტი წალკაში არ არის და მიზეზად, ძირითადად, წალკის ნაკლებად ცნობადობას ასახელებენ.

- **მომსახურებაზე ფიქსირებული ფასების არარსებობა:** ფოკუსჯგუფებიდან იკვეთება, რომ სასტუმროების ბიზნესში მომსახურებაზე ფასების განსაზღვრა პირადი შეფასების საფუძველზე სტიქიურად ხდება. ნაწილი დამოკიდებულია კლიენტზე - რამდენსაც ის შესთავაზებს, იმ თანხაზე დათანხმდება ან არა (ეს, ძირითადად, ოთახების გაქირავებისას ხდება). გვხვდება ისეთი პრაქტიკაც, რომ სასტუმროს მეპატრონე

წინასწარ არკვევს კლიენტის ვინაობას, რომელ კომპანიაშია დასაქმებული, თანხას კომპანია იხდის, თუ თავად უნდა გადაიხადოს კლიენტმა, და ამ ფაქტორების გათვალისწინებით შედარებით მეტ ან ნაკლებ ფასად სთავაზობს მომსახურებას. არის შემთხვევა, როდესაც უცხოელ სტუმარს ორმაგ თანხას ართმევენ იმავე მომსახურებაში, რასაც ადგილობრივებს სთავაზობენ: „აქ რომ ადგილობრივს 30 ლარში ვუშვებ, იმას 60-70 ლარს ვართმევ, რადგან დამატებით სერვისებს ვთავაზობ, დილით - ყავას, თაფლს და ა.შ.“ ქალაქში სასტუმროებს შორის ფასებზე კოორდინაცია არ ხდება და ერთი და იმავე დონის სასტუმროში შეიძლება სხვადასხვა ფასი ღირდეს მომსახურება. გვხვდება უკიდურესი შემთხვევებიც, როდესაც კვებით მომსახურების გაწევისას დიასახლისი მხოლოდ გამოყენებული პროდუქტის ხარჯს ითვლის და მომსახურების ფასში შრომის ფასს არ ითვალისწინებს. ოფიციალური კაფეებისა თუ რესტორნების მეპატრონეებს ფასები უფრო ფიქსირებული აქვთ და ითვალისწინებენ, როგორც პროდუქციის ფასს, ისე კომუნალურ თუ სახელმწიფო გადასახადებს, მომსახურე პერსონალის ხელფასებსა და სხვა ხარჯებს.

- **სურსათის უვნებლობისა და კვების უსაფრთხოების სტანდარტები:** ექსპერტების შეფასებით, ადგილობრივ დონეზე ეს სტანდარტები ნაკლებად არის დაცული. დისკუსიის დროს ყველა მონაწილე ხაზს უსვამდა, რომ ისინი იცნობენ და იცავენ ამ სტანდარტებს. ოფიციალურ კვებით ობიექტებში სურსათის უვნებლობის სამსახური ამოწმებს ობიექტს, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტს საკვებით მომსახურებას არაფორმალურად ოჯახი უწევს, ეს მექანიზმი არ მუშაობს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მეპატრონეები ამბობენ, რომ სტანდარტებს იცავენ, ეს საკითხი ღიად რჩება, რადგან, მაგალითად, ადგილზე რთულია ვეტერინარის მიერ შემოწმებული ხორცპროდუქტების თუ რძის პროდუქტების შეძენა. შედარებით უფრო სანდოა და კონტროლდება იმ პროდუქტების ხარისხი, რომლებსაც კვების ობიექტების მეპატრონეები დისტრიბუტორებისაგან იღებენ, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ხორცპროდუქტებისა და რძის პროდუქტების შეძენა ადგილზე ხდება. საოჯახო კაფის მეპატრონე აღნიშნავს, რომ ამ კაფეში მისი ოჯახიც სადილობს და თუნდაც ამიტომ გამოირიცხება, რომ ჰიგიენის ნორმების დაარღვევა. თუმცა რესტორნებში, სადაც დასაქმებულთა ნაწილი დაქირავებულია, რომელთა კვალიფიკაციას თავად დამსაქმებლები უჩივიან, რამდენად ზედმიწევნით ხდება სტანდარტების დაცვა, ბუნდოვანია.

- **ტრადიციული კერძების მომზადება და პროდუქციის ადგილობრივი წარმოება:** ექსპერტი მიუთითებდა, რომ კვების ობიექტების უმრავლესობა კლიენტებს მხოლოდ ტრადიციულ სამზარეულოს სთავაზობს და ხშირად არ იყენებს ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ექსპერტთა ამ კრიტიკას ადგილობრივები ნაკლებად იზიარებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ აქ ჩამოსულ სტუმარს ადგილობრივი კერძები უფრო აინტერესებს. ტრადიციულ კერძებზე ორიენტირება, ალბათ, იმითაც არის გამოწვეული, რომ მზარეულები არ არიან პროფესიული კვალიფიკაციის მქონენი და მხოლოდ იმ კერძებს ამზადებენ, რაც ტრადიციულად ოჯახიდან იციან. ამას ისიც ადასტურებს, რომ წალკაში მოქმედი რესტორნები მეპატრონეთა ეთნიკური და რეგიონული წარმოშობის მიხედვით არის დივერსიფიცირებული და კლიენტებიც ამ ნიშნებით ნაწილდებიან. მაგალითად, წალკაში არის ბერძნული რესტორანი, რომელსაც, ძირითადად, უცხოელები და ბერძნები სტუმრობენ; ასევე არის რესტორანი, რომელიც ეკუთვნის აჭარიდან ჩამოსულ ეკომიგრანტს და იქ ძირითადად აჭარელი ეკო-მიგრანტები დადიან, სვანების რესტორნით სვანები სარგებლობენ. ანუ ყველა კვებით ობიექტს თავისი სპეციფიკური მენიუ და, შესაბამისად, მუდმივი კლიენტი ჰყავს. რაც შეეხება ადგილობრივი პროდუქციის

გამოყენებას, კვებითი ობიექტების მფლობელები აღნიშნავენ, რომ ისინი ადგილობრივ რძის და მცენარეულ პროდუქტებს მოიხმარენ.

- **სტუმარმასპინძლობის მართვის საფუძვლების ცოდნა:** თუკი, სტუმარმასპინძლობის მართვას, როგორც სპეციფიკურ ცოდნას, განვიხილავთ, მაშინ ის ადგილობრივ ტურიზმში ჩართულ არცერთ პირს არ გააჩნია. ისინი ამ კუთხით მხოლოდ ტრადიციულ ცოდნას იყენებენ, თუმცა ეს ნამდვილად არ არის საკმარისი ხარისხიანი სერვისის მისაწოდებლად.

- **მომსახურების გაყიდვის უნარის არქონა:** ადგილობრივები მომსახურების რეკლამირების არანაირ სტრატეგიას არ იყენებენ და მხოლოდ მიწოდებული სერვისის ხარისხზე არიან დამოკიდებული, რომ იგივე კლიენტი ისევ ესტუმროს. მაგრამ ეს მათ არ ეხმარება ახალი კლიენტების ან ტურისტების მოზიდვაში.

- **ობიექტების მიმტანების, ბარმენის, მზარეულების, დამლაგებლებისა და სხვა მომსახურე პერსონალის უნარები არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს:** ჩამოთვლილ პოზიციებზე იშვიათად თუ შეხვდებით გადამზადებულ კადრს, შესაბამისად, დასაქმებულმა პირებმა სტანდარტები არ იციან და ვერც იცავენ მათ.

- **ტურისტული მომსახურების დივერსიფიცირება:** დისკუსიის ფარგლებში ჩართული ყველა პირი ერთი მიმართულებით ფიქრობს ბიზნესის განვითარებას - სასტუმრო, საოჯახო სასტუმრო თუ კვებითი ობიექტი. მხოლოდ ერთ სასტუმროში დადგა მეპატრონემ ორი ბილიარდი, თუმცა, მისი თქმით, ამ სტრატეგიამ არ იმუშავა და ერთი ბილიარდი გაყიდა. როდესაც სხვა სასტუმროს მეპატრონეებს ვკითხეთ, გარდა ოთახისა და საკვებისა, რას სთავაზობენ, ან შესთავაზებენ ჩამოსულ სტუმარს, პასუხი ვერ მივიღეთ. ადგილობრივები აღიარებენ, რომ წალკაში არ არის გართობის არანაირი საშუალება; თუმცა ფიქრობენ, რომ მშვიდი დასვენებისთვის ამ მიმართულებით განვითარების აუცილებლობა არ დგას. მხოლოდ ახალგაზრდა მონაწილე აღნიშნავს, რომ კარგი იქნებოდა წალკაში ეკო და აგროტურიზმის განვითარება, წალკის წყალსაცავზე თევზაობის, თუ ნავით გასეირნების სერვისის შეთავაზება, ტყეში ველობილიკების მოწყობა, თუ ცხენების გაქირავება, მაგრამ ამ მიმართულებით ბიზნესის წამოწყებას არავინ გეგმავს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადგილობრივები ერთმანეთის მიმბაძველობით მხოლოდ ერთი მიმართულებით ფიქრობენ და ნაკლებად არიან ორიენტირებული სიახლეების დანერგვაზე. დისკუსიის დროს გაიჟღერა აზრმა, რომ გასართობ სერვისს მუნიციპალიტეტში ჩამოსულ სტუმრებს დაშბაშის კანიონთან მოწყობილი კომპლექსი შესთავაზეს, თუმცა მაშინ რატომ უნდა დარჩეს ტურისტი მათ სასტუმროში, ამ კითხვას ისინი ვერ პასუხობენ.

3.3 მრეწველობა

3.3.1 მრეწველობაში ჩართული პირების ფორმალური და არაფორმალური განათლება

ფოკუსჯგუფების ფარგლებში ჩვენ გამოვიკითხეთ სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე პირები, კერძოდ, ბლოკის წარმოება, პურ-ფუნთუშეულის წარმოება, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრის წარმოება, მზის პანელების კუსტარული წარმოება, საკონდიტრო ნაწარმის დამზადება. ცალკე ფოკუსჯგუფი ჩატარდა რძის პროდუქტების დამზადების მიმართულებით.

მრეწველობაში ჩართულ პირებს კვალიფიკაცია სხვადასხვა მიმართულებით აქვთ მიღებული. ამ სექტორში დასაქმებულების უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს, თუმცა უმეტესწილად არ საქმიანობენ პროფესიით. წარმოების მეპატრონეთა შორის არიან ეკონომისტები, იურისტები, ბუღალტრები, პედაგოგები. ფოკუსჯგუფის მხოლოდ ერთი მონაწილე ნანობს

უმაღლეს განათლებაზე დახარჯულს წლებს, რადგან სხვა პროფესიით განაგრძო საქმიანობა, უმეტესწილად კი მონაწილეები „რაღაც სარგებელს“ მაინც ხედავენ ფორმალურ განათლებაში. არის შემთხვევები, როდესაც წარმოების მეპატრონეები პროფესიით მუშაობენ (სკოლაში პედაგოგად, ბანკში ოპერატორად) და წარმოება მათი დამატებითი საქმიანობაა, თუმცა კერძო ბიზნესი შეიძლება უფრო მოგებიანი იყოს. ერთი პირი კი, რომელიც მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებს ამზადებს და საშუალო განათლება აქვს, დღემდე ნანობს უმაღლესი განათლების არქონას.

ადამიანების ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბებზეა დამოკიდებული, აქვთ თუ არა გავლილი მათ ტრენინგი მეწარმეობის განხრით. რძის მსხვილი საწარმოს მეპატრონეს, რომელიც დღის განმავლობაში ტონა და ორასი კილოგრამი რძის ნაწარმს ქმნის, ბევრი ტრენინგი აქვს

გავლილი როგორც ტექნოლოგიური მიმართულებით, ისე საწარმოს მართვისა და ორგანიზების კუთხით. აქაც ფიგურირებს დამფინანსებლის ფაქტორი. როდესაც საწარმო ნაწილობრივ მაინც არის რომელიმე ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული, ან როდესაც საწარმო ხარისხის სერთიფიკატს იღებს, მაშინ მისი მეპატრონე ფორმალურ სწავლებას აუცილებლად გადის. ტრადიციულ ცოდნაზე დაყრდნობით მრეწველობაში ჩართულ პირს რძის მხოლოდ მცირე ზომის საწარმოში აქვს. მრეწველობაში ჩართულმა ზოგმა პირმა პროფესიული ცოდნა თავად შეიძინა, მაგალითად, კონდიტერმა ინტერნეტის საშუალებით შეისწავლა საკონდიტრო ნაწარმის მომზადება, ან მეტალოპლასტმასის საწარმოო დანადგარი თავად ააწყო ინტერნეტიდან მიღებული ინფორმაციით; ან საწარმოო საშუალებების შესყიდვისას მიმწოდებელთან გაიარა სწავლება; ზოგჯერ წარმოებისას მეპატრონეს სპეციფიკური ცოდნა არ აქვს და მხოლოდ მართვას ახორციელებს; თუმცა არის შემთხვევაც, როდესაც პირმა მუშაობა სხვის საწარმოში დაიწყო და შემდეგ თავად გააკეთა იგივე ბიზნესი დამოუკიდებლად.

3.3.2. ზოგადი უნარები

ზოგადი უნარების კუთხით საჭიროებები მნიშვნელოვნად განსხვავდება საწარმოს ტიპის მიხედვით. მაგალითად, უცხო ენების კომპეტენციები ნაკლებად მოთხოვნადია, რადგან მათი პროდუქცია, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობისათვის იქმნება. რიგ შემთხვევაში მრეწველობაში ჩართული პირები ხაზს უსვამენ ინგლისური ენის საჭიროებას, როგორც ახალი ინფორმაციის მოძიების საშუალებას. მრეწველთა მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს ინგლისური ენის ცოდნა. შუახნის ადამიანებმა იციან რუსული ენა და ამ ენის ცოდნას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რადგან ეთნიკური უმცირესობების წამომადგენლებთან კომუნიკაციისათვის აუცილებელია.

კომპიუტერული უნარები უფრო მნიშვნელოვანი კომპეტენციაა მრეწველობაში ჩართული პირებისთვის. ის სჭირდებათ საქმის საწარმოებლად, პროდუქციის შესასყიდად, როდესაც მას ონლაინ ყიდულობენ, სიახლეების გასაცნობად, რეკლამისა და სამრეწველო საწარმოს შესახებ ინტერნეტში ინფორმაციის განსათავსებლად. კომპიუტერული უნარები ნაკლებად სჭირდებათ პურ-ფუნთუშეულისა და რძის მცირე ზომის საწარმოს მფლობელებს. თავად მეპატრონეების ძირითად ნაწილს საბაზისო კომპიუტერული უნარები განვითარებული აქვთ, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც საშუალო და მაღალი დონის კომპეტენციებიც აქვთ. მაგალითად, ბლოკის წარმოებაში მთლიანი პროცესი მექანიზებულია და აქ კომპიუტერული უნარების ფლობის გარეშე წარმოუდგენელია საწარმოს ფუნქციონირება.

ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური უნარები, ყველა სამრეწველო საწარმოს მფლობელის შეფასებით, მათ საქმიანობაში ძალიან მნიშვნელოვანია. პუნქტუალობა, მოწესრიგებულობა, პასუხისმგებლობა, დისციპლინა, მოტივირებულობა, - ყველა ეს უნარი ბიზნესის განვითარებისათვის არსებითია და, მათი შეფასებით, აქვთ კიდეც ეს უნარები განვითარებული, სხვა შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებდნენ ფუნქციონირებას. რაც შეეხება საწარმოების დაქირავებულ მუშახელს, მფლობელები ხშირად აღნიშნავენ ინტრაპერსონალური უნარების დეფიციტს, რომელიც, პირველ რიგში, მოტივაციის დაბალ დონეს უკავშირდება. იმ სამრეწველო საწარმოში, სადაც დაქირავებულებს მძიმე ფიზიკური შრომა უხდებათ (ბლოკის ან პურ-ფუნთუშეულის წარმოება), კადრების ცვლა ხშირია, რასაც მფლობელი შრომისმოყვარეობის დაბალი დონით ხსნის.

საწარმოებში, სადაც დაქირავებული მუშახელი ჰყავთ, მრეწველები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინტერპერსონალურ უნარებს. მათი თქმით, აუცილებელია საწარმოს დასაქმებულთა შორის იყოს ჰარმონიული ურთიერთობა, კარგი კომუნიკაცია, დასაქმებულები გუნდურად შრომობდნენ. მცირე ზომის სამრეწველო საწარმოებში, ხშირად დასაქმებულთა უმეტესობა ერთი ოჯახის წევრია და ამ კუთხით პრობლემები არ გვხვდება. თუმცა დიდი ზომის ყველის საწარმოშიც დისციპლინის ზედმიწევნით დაცვის გამო კომუნიკაციისა თუ გუნდური მუშაობის პრობლემა ნაკლებად ფიქსირდება. კომუნიკაციის უნარი ძალიან მნიშვნელოვანია რძის საწარმოში, რომელშიც ინტენსიური ურთიერთობაა საჭირო რძის მიმწოდებლებთან. აქ არა მხოლოდ კომუნიკაცია, არამედ მეცხოველეობაში ჩართული პირების ტრენინგია საჭირო, რათა რძის ჩამბარებელმა ფერმერებმა ზედმიწევნით დაიცვან რძის მიღების, შენახვის წესები და იზრუნონ პირუტყვის ჯანმრთელობაზე, რათა მიწოდებული რძე უვნებელი იყოს.

3.3.3. მრეწველობაში ჩართული პირების სპეციფიკური ცოდნა და უნარები

იქიდან გამომდინარე, რომ მეორადი წარმოება სხვადასხვა პროფილით იყო წარმოდგენილი კვლევაში, თითოეული მათგანის შემთხვევაში განსხვავებული სპეციფიკური ცოდნისა და უნარების საჭიროება გამოვლინდა:

ა) საკონდიტრო ნაწარმის წარმოებისას ძალიან მნიშვნელოვანია კვების ტექნოლოგიის ცოდნა, ნაწარმის გაფორმების დიზაინი და ნაწარმის დამზადებისთვის საჭირო ტექნიკის შერჩევა და მისი გამოყენება;

ბ) პურ-ფუნთუშეულის წარმოებაში მნიშვნელოვანია ცომის მომზადებისა და ცხობის ცოდნა, მიწოდება-მოთხოვნის დაბალანსება (რათა დღის ბოლოს გაუსაღებელი პროდუქტი არ დარჩეს, ამ შემთხვევაში საწარმო იზარალებს);

გ) მეტალოპლასტმასისა და მზის პანელების წარმოებაში მნიშვნელოვანია საინჟინრო ცოდნა, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და ხარისხიანი მასალის შერჩევა;

დ) ბლოკის წარმოებაში მნიშვნელოვანია დანადგარებთან მუშაობის უნარი და ბლოკის წარმოებაში გამოყენებული მასალის პროპორციების ზედმიწევნით დაცვა;

ე) რძის საწარმოს მფლობელებს უფრო მრავალფეროვანი სპეციფიკური უნარები სჭირდებათ რძის პროდუქტების ტექნოლოგიების, რძის უვნებლობის სტანდარტების, ფერმისა და საწარმოს სივრცის ორგანიზების, რძის პროდუქტების შენახვისა და გადაზიდვის შესახებ.

გარდა ამისა, არის სპეციფიკური უნარები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ყველა ტიპის საწარმოს სჭირდება, ესენია:

ა) პირველადი პროდუქციის ხარისხის კონტროლი: სამრეწველო საწარმოების პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პირველადი პროდუქციის ხარისხზე, შესაბამისად, შესყიდვისას მათ ზედმიწევნით უნდა აკონტროლონ პროდუქცია. ხშირ შემთხვევაში მათ სტაბილური მომწოდებლები ყავთ, თუმცა, მაგალითად, რძის ფართომასშტაბიან ქარხნებში, ეტაპობრივად მაინც აკონტროლებენ რძის ხარისხს, რადგან თანამშრომლობა მხოლოდ ნდობაზე ვერ იქნება დაფუძნებული.

ბ) გასაღების ბაზრის მოძიება: პროდუქციის რეალიზაცია წარმოების მნიშვნელოვანი გამოწვევაა. როგორც მრეწველები აღნიშნავენ, რეალიზაცია დიდწილად დამოკიდებულია მათ მიერ ნაწარმოები პროდუქციის ხარისხზე. მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოებისას კლიენტი მუდმივია და სოციალური კავშირებით იზრდება მოთხოვნა. თუმცა ბიზნესის დაწყება და ბაზარზე შესვლა ძალიან პრობლემურია მაღალი კონკურენციისა და დაბალი ცნობადობის პირობებში. რაც შეეხება დიდი ზომის რძის ქარხნებს მათ უკვე სტაბილური ქსელურ მარკეტებთან აქვთ შეთანხმება და გასაღების პრობლემა სრულად გადაჭრილი აქვთ.

გ) პროდუქციის ბრენდირება და მარკეტინგი: მარკეტინგის კუთხით მხოლოდ რძის დიდი ქარხანა მუშაობს. მისი მეპატრონე აღნიშნავს: „რძის პროდუქტებს რაც შეეხება, უნდა დაბრენდო, რომ ცნობილი გახდეს და კონკურენტუნარიანი რომ იყო ბაზარზე... ის ხარისხი უნდა დაბრენდო, თორემ ახლა, მე რომ მაღაზიაში შევედი, ყველი ვიყიდე, მომეწონა; მოვედი, კიდევ იმნაირი ყველია, ფორმა ერთი და იგივეა, მაგრამ ვიყიდე და სხვა გემო და ხარისხი აღმოაჩნდა, ამას ბრენდირება ვერ უშველის.“ მცირე ზომის რძის საწარმოები, შექმნილი პროდუქციის მცირე რაოდენობის გამო, დაფასოებას, შეფუთვას, პროდუქციის ბრენდირებას ვერ ახდენენ და გასაღების ბაზარიც არასტაბილური აქვთ. საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებელს გახსნილი აქვს ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში, იქ აქვეყნებს თავისი პროდუქციის რეკლამას და ასევე ონლაინ იღებს შეკვეთებს, თუმცა თავისი პროდუქციის ბრენდირებას ნაკლებად მიმართავს. წარმოებაში, რომელიც მხოლოდ წალკის მუნიციპალიტეტზეა გათვლილი, ბრენდირებას პროდუქციის ხარისხის შესახებ მოსახლეობაში ჩამოყალიბებული დადებითი განწყობა ანაცვლებს.

დ) პროდუქციის ფასის განსაზღვრა: დისკუსიის მსვლელობისას იკვეთება, რომ სამრეწ-ველო საწარმოები პროდუქციის ფასის განსაზღვრისას სხვადასხვა სტრატეგიით მოქმე-დებენ. ნაწილი პროდუქტის ღირებულებას ბაზრის მიხედვით განსაზღვრავს, ეს, ძირითადად, მასობრივი პროდუქციის წარმოებისას ხდება. მაგალითად, პურის საწარმოს მფლობელი აღნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც თბილისში პური გაძვირდა და ეს გაძვირება ფქვილის ფასის მატებას უკავშირდებოდა, მწარმოებლებმა მოილაპარაკეს, თავად რამდენით უნდა გაეზარდათ ფასი. ბლოკის შემთხვევაშიც მეპატრონე ფასს, ზოგადად, ქვეყანაში არსებულ ფასს შეუსაბამებს. მცირე საწარმოს შემთხვევაში, რომელიც ინდივიდუალურ შეკვეთებზე მუშაობს, ფასი, ძირითადად, დანახარჯების, გაწეული შრომისა და დახარჯული დროის მიხედვით დგინდება: „ხანდახან შემკვეთი მეუბნება: „კვერცხი ამდენი ღირს, ფქვილი - ამდენი, რატომ ადებ ტორტს ამხელა ფასს?“ მე ვეუბნები, რომ ამ ტორტის მომზადებისთვის მე საათობით ფეხზე ვდგავარ და თუ მას ეს ფასი არ აწყობს, ანუ შემიკვეთავს“.

3.4. ვაჭრობა

3.4.1. ვაჭრობაში ჩართული პირების ფორმალური და არაფორმალური განათლება

ვაჭრობის სექტორი ერთ-ერთი წამყვანი სექტორია წალკაში და ამ დარგში, როგორც ზემოთ იყო მითითებული, ყველაზე მეტი ორგანიზაცია ოპერირებს. ადამიანები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას ვაჭრობაში ახორციელებენ, უნდა დავყოთ ორ ნაწილად: მეპატრონეები და დაქირავებულები. მეპატრონეებს, ძირითადად, უმაღლესი განათლება აქვთ, მაშინ, როცა დაქირავებულებს უფრო მეტად - საშუალო ან პროფესიულ-ტექნიკური. მეპატრონეებს უმაღლესი განათლება სხვადასხვა დარგში აქვთ მიღებული და ხშირად მათი კვალიფიკაცია კავშირში არ არის ვაჭრობის სფეროსთან. გამონაკლისი არის აფთიაქი, სადაც კონსულტანტები ყოველთვის ფარმაცევტები არიან.

რაც შეეხება მოკლევადიან ფორმალურ ან არაფორმალურ განათლებას, მსგავსი გადამზადება იშვიათად თუ აქვთ გავლილი დასაქმებულებს. ერთ-ერთმა საცალო-საბითუმო სავაჭრო ობიექტის მეპატრონემ ბიზნესი სწორედ მოკლევადიანი ბიზნესის მართვის კურსის გავლის შემდეგ დაიწყო და ამ ტრენინგის შედეგს ძალზე დადებითად აფასებს. რაც შეეხება დაქირავებულებს, მათ ტრენინგები გავლილი არ აქვთ და, ძირითადად, გამოცდილებით სწავლობენ. როგორც ერთ-ერთი მაღაზიის მენეჯერი აღნიშნავს, ის საკმაოდ დიდ დროს უთმობს ახლად მიღებული კადრის სწავლებას. მომსახურებაში გამოცდილების მქონე კადრი, როგორც წესი, მათთან არ საქმდება, შესაბამისად, მის მაღაზიაში დაქირავებული ყველა კადრი სამსახურის დაწყების შემდეგ სწავლობს თავის საქმეს.

3.4.2. ზოგადი უნარები

როგორც ექსპერტების, ისე ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების, შეფასებით, აღნიშნულ სფეროში უცხო ენების კომპეტენცია მნიშვნელოვანია, რომ უკეთ მოემსახურონ უცხოელ ტურისტებს. ისევე როგორც სხვა სექტორში, აქაც რუსული ენა შუა ასაკის ადამიანებმა კარგად იციან, თუმცა ინგლისური ენის კომპეტენცია ნაკლებად აქვთ. იქიდან გამომდინარე, რომ ვაჭრობის სფეროში მაღალკვალიფიციური კადრი არ საქმდება, ახალგაზრდებმაც კი ინგლისური ენა ნაკლებად იციან. სავაჭრო ობიექტის ნაწილში მეპატრონე სპეციალურად ქირაობს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს, რომელსაც თავის მშობლიურ ენაზე შეუძლია კომუნიკაცია ეთნიკურ სომეხთან, აზერბაიჯანელთან თუ ბერძენთან.

ვაჭრობის სფეროში დასაქმებულთათვის კომპიუტერული უნარების ქონა ძალიან მნიშვნელოვანია. საშუალო სიდიდის მარკეტები მთლიანად მიბმულნი არიან კომპიუტერულ პროგრამაზე, შესაბამისად, დასაქმებულებს აუცილებლად სჭირდებათ ეს კომპეტენცია. როგორც დამქირავებლები აღნიშნავენ, საბაზისო კომპიუტერული უნარები დაქირავებულებს კი აქვთ, მაგრამ კონკრეტული პროგრამების გამოყენებას ისინი, ძირითადად, ადგილზე სწავლობენ.

ზოგად უნარებს შორის ასევე მნიშვნელოვანია ინტერპერსონალური უნარები, როგორც ბიზნესის მეპატრონეებისათვის, ისე დაქირავებულებისათვის. პასუხისმგებლობა, მოწესრიგებულობა, პუნქტუალობა ყველას სჭირდება, რომ დროულად მივიდნენ მაღაზიებში, მოაწესრიგონ საქონელი, ყურადღებით მოემსახურონ კლიენტს. საქონლის მოწესრიგების ფუნქციას, ძირითადად, მენეჯერები იღებენ თავის თავზე, თუ მაღაზიას ასეთები ჰყავს, დანარჩენ შემთხვევაში დამქირავებელს თითქმის ყოველთვის სჭირდება მითითების მიცემა. როდესაც მაღაზია დიდია

და დაქირავებული რამდენიმე ადამიანია, მათ შორის კოოპერაციასა და გუნდური მუშაობის უნარს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო ობიექტის გამართული ფუნქციონირებისათვის. როგორც კვლევაში მონაწილე პირებმა აღნიშნეს, ამ მხრივ მათ პრობლემა არ შექმნიათ.

კომუნიკაცია მნიშვნელოვანი უნარია როგორც დამქირავებლის, ისე დაქირავებულისათვის. დამქირავებელს კომუნიკაცია, ძირითადად, თავის თანამშრომლებთან ურთიერთობისას სჭირდებათ. როგორც ერთ-ერთი სავაჭრო ობიექტის მეპატრონე აღნიშნავს, მფლობელი გაწონასწორებული უნდა იყოს და დასაქმებულთა შორის ჰარმონიულ ურთიერთობას უნდა უწყობდეს ხელს. შენიშვნის მიცემაც კი ინდივიდუალურად უნდა მოხდეს, ისე, რომ დაქირავებულმა თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნოს. რადგან სავაჭრო სფერო ძირითადად კლიენტებთან ურთიერთობაა, ამ სფეროში მომუშავე დაქირავებული თანამშრომლებისთვის უპირველესია განვითარებული კომუნიკაციის უნარი. თუმცა ერთ-ერთი მაღაზიის მეპატრონე აღნიშნავს, რომ ეს თანდაყოლილი უნარია, რომელიც ასევე უკავშირდება, აღზრდას და, ძირითადად, ოჯახიდან მოდის. თუმცა სხვა მეპატრონე მიუთითებს, რომ კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე თავადაც ზრუნავს, რადგან თავდაპირველად გამყიდველებმა არ იციან, როგორ მიმართონ კლიენტს, როგორ შესთავაზონ საქონელი და ა.შ.

3.4.3. ვაჭრობაში ჩართული პირების სპეციფიკური ცოდნა და უნარები

ვაჭრობაში ჩართული ადამიანებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი უნარებია, თუმცა მაინც გამოვყოფთ დარგში ოპერირებისთვის საჭირო რამდენიმე სპეციფიკურ უნარს:

ა) პროდუქციის მახასიათებლების შესწავლა და სწორი კონსულტირება: როგორც ერთ-ერთი მაღაზიის მეპატრონე აღნიშნავს, რომ კონსულტანტი დეტალურად უნდა ეცნობოდეს პროდუქციის ანოტაციას და სწორად შესთავაზოს საქონელი კლიენტს, თუმცა ამ კუთხით ხშირია პრობლემები: მომსახურე პერსონალი არ ეცნობა პროდუქციის სპეციფიკას;

ბ) პროდუქციის ნაკადის კონტროლი და შეკვეთის მიცემა: დიდ სავაჭრო ობიექტში, სადაც დაქირავებულია მენეჯერი, პროდუქციის გაყიდვასა და შეკვეთების მიცემას მენეჯერი ახორციელებს, თუმცა მაღაზიაში, სადაც მენეჯერი არ არის, ამ პროცესში მეპატრონე ერევა, რადგან რიგითი თანამშრომლები ამ საქმეს დამოუკიდებლად თავს ვერ ართმევენ.

გ) დახლებზე პროდუქციის განლაგება: ამ კუთხითაც ნაკლები კომპეტენცია აქვს მომსახურე პერსონალს და უმეტესწილად მეპატრონეებს უწევთ დეტალური ინსტრუქციის მიცემა.
დ) რადგან სავაჭრო სექტორში დასაქმებულებს ფულთან აქვთ უშუალო შეხება, კადრის აყვანისას ყველა დამქირავებელი სანდოობას ანიჭებს უპირატესობას. ერთ-ერთი მეპატრონე უფრო შორსაც მიდის და არა მხოლოდ პიროვნებას, არამედ მის ოჯახსაც კი აფასებს და ამის შემდეგ იღებს სამსახურში. შედარებით უფრო ახალგაზრდა დამქირავებლები თანამშრომლის სამსახურში აყვანისას მათთან გასაუბრებას მიმართავენ და ყურადღებას კომუნიკაციურ უნარებზე უფრო ამახვილებენ.

ე) ბიზნესის მართვა და განვითარება: ამ ტიპის ცოდნის საჭიროებას, ძირითადად, ის ადამიანები უსვამენ ხაზს, რომელთაც პატარა მაღაზიები აქვთ და თავადვე უძღვებიან ბუღალტერიას, თავადვე არჩევენ გასაყიდ პროდუქციას და გამყიდვლებიც თავადვე არიან. მსგავს შემთხვევებში მფლობელებს თავიანთი უნარები და ცოდნა არასაკმარისად მიაჩნიათ და სპეციფიკურ სწავლებაში ჩართვის სურვილსაც გამოხატავენ.

3.5. საჯარო სექტორი

3.5.1. საჯარო სექტორში დასაქმებული პირების ფორმალური და არაფორმალური განათლება

საჯარო სექტორის შესწავლისათვის ექსპერტული ინტერვიუები და ფოკუსჯგუფები ჩავატარეთ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე განათლებისა და ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლებთან. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ სექტორებში დასაქმებულთა დიდ უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. ადგილობრივ თვითმმართველობაში უმაღლესი განათლება სხვადასხვა მიმართულებით აქვთ მიღებული, მაშინ, როცა განათლებასა და ჯანდაცვაში განათლება ყოველთვის პროფილურია.

საჯარო სექტორში, განსაკუთრებით კი თვითმართველობაში დასაქმებულები უფრო მეტად შუა ასაკის ან უფრო ასაკოვნები არიან (ამ შემთხვევაში სოფლის მეურნეობას არ ვითვალისწინებთ), რადგან კადრის ცვლა ამ სექტორისათვის ყველაზე ნაკლებად არის დამახასიათებელი. ეს რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული: ა) საჯარო სექტორის წარმომადგენლები ყველაზე ნაკლებად ტოვებენ პოზიციებს და სხვა სექტორში არ გადადიან, შესაბამისად, ისინი ინერციით ინარჩუნებენ პოზიციებს; ბ) საჯარო სამსახურის შესახებ კანონის თანახმად, საჯარო მოხელეები იყოფიან ოთხ დონედ: მაღალი მმართველობითი დონე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები. ამ პოზიციაზე, რომც იყოს ვაკანსია, სახელმწიფოს მიერ დაწესებულია მკაცრი მოთხოვნები. კერძოდ, პირს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, მინიმუმ, ხუთწლიანი გამოცდილება აქედან 2-წლიანი - მაღალ თანამდებობაზე მუშაობის. მეორე რანგის შემთხვევაში - განყოფილების უფროსს ან მოადგილეს მოეთხოვება ორწლიანი სამუშაო გამოცდილება; მესამე დონზე კი ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება არის საჭირო. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში პირველ ეტაპზე ცხადდება დახურულ შიდა კონკურსი, სადაც საჯარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს განაცხადის შემოტანის საშუალება ეძლევათ; თუ კადრი ვერ მოინახა, მხოლოდ შემდეგ ცხადდება საჯარო კონკურსი. თუმცა, როგორც საკრებულოს წარმომადგენელმა აღნიშნა, ისინი ახალ კურსდამთავრებულს მაინც ვერ მიიღებენ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გამო. ადრე, სანამ ეს მოთხოვნები გაიწერებოდა, ადგილობრივ თვითმმართველობაში უფრო მეტი ახალგაზრდა დაასაქმეს; გ) წალკის მუნიციპალიტეტში სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით დაბალი ანაზღაურებაა, შესაბამისად, ახალგაზრდები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი იქ დასაქმებით.

საჯარო სექტორში დასაქმებულებს ყველაზე ხშირად აქვთ გავლილი მოკლევადიანი სასწავლო პროგრამები და ტრენინგები. ეს გამოწვეულია თავად ორგანიზაციების მოთხოვნითა და დასაქმებულთა ინტერესით. ამასთან დაკავშირებით წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე აღნიშნავს: „მუნიციპალიტეტში ყოველწლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული გვაქვს 1% გადამზადებისათვის. ადგილზე არ ტარდება გადამზადება, მხოლოდ რამდენიმესაა-თიანი ტრენინგი შედეგს ვერ გვაძლევს. უფრო ხანგრძლივი და სერიოზული გადამზადების კურსები ტარდება თბილისში ან ქუთაისში და იქ ჩვენ თანამშრომლების გაგზავნა გვიჭირს. ქალები, რომლებსაც ოჯახები, მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, ან ეწევიან შინამეურნეობას, ორკვირიან გადამზადებაზე ვერ მიდიან; ამიტომ გვიწევს ერთი და იმავე ხალხის, მამაკაცების, გაგზავნა.“

რაც შეეხება განათლების სექტორს, პედაგოგთა სერტიფიცირების მოთხოვნამ მათი უმრავლესობის გადამზადება და ტრენინგებში ჩართვა გამოიწვია. სასკოლო ტრენინგებისა და სერთიფიცირების პროგრამის ფარგლებში პედაგოგები წლის განმავლობაში ოთხჯერ

მაინც ერთვებიან სწავლებაში. თუმცა პედაგოგებისათვის, ისევე, როგორც ჯანდაცვის სპეციალისტებისათვის, თბილისში ორგანიზებული საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვა პრობლემაა დისტანციის, საკვებისა და ღამისთევის ხარჯების გამო.

ჯანდაცვის სექტორი ყველაზე უფრო მოწყვლადი სექტორია წალკის მუნიციპალიტეტში. მერის მოადგილის თქმით, „ქალაქში ჯანდაცვის სექტორში ორი ადგილობრივი მუშაობს, ყველა დანარჩენი ჩამოსულია. კარგი ვინც იყო, წავიდა. მედიცინა ვინც ისწავლა, უკან ისიც არ ბრუნდება.“ ჯანდაცვის სექტორში დღეს არსებულ სიტუაციას ადგილობრივი ექსპერტი ასე გვიხსნის: „ადრე აქ ბევრი ბერძენი ექიმი იყო, თუმცა მათ დატოვეს საქართველო და კადრების პრობლემა გაჩნდა. თავიდან ეს პრობლემა მოგვარდა, მაგრამ ექიმების სერტიფიცირება რომ დაიწყო, ეს ბარიერი ბევრმა ვერ გადალახა, ამის მერე თბილისიდან დადიან სპეციალისტები, მაგალითად, ოფთალმოლოგი, ნევროპათოლოგი და სხვ., ხოლო ქირურგი და ისეთი კადრები, რომელთა ყოფნა უფრო აუცილებელია, ადგილზე არიან.“ წალკის მუნიციპალიტეტში სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა დეფიციტის დამატებითი მიზეზი მცირე ანაზღაურებაა. თუკი თბილისიდან მოწვეულ სპეციალისტს 2000-3000 ლარს უხდიან, ადგილობრივის დასაქმების შემთხვევაში ხელფასი 600-700 ლარია, კვალიფიციურ კადრს არ უღირს ასეთ ხელფასზე მუშაობა და თბილისში მიდის.

საჯარო სექტორის წარმომადგენლებს არაფორმალური განათლება ფაქტობრივად არ აქვთ და მათი ცოდნის ძირითადი წყარო აკადემიური განათლება, გადამზადება და მუშაობის გამოცდილებაა.

3.5.2. ზოგადი უნარები

საჯარო სექტორში დასაქმებულთა ზოგადი უნარები პოზიტიურად ფასდება. უცხო ენების, კერძოდ კი, ინგლისური ენის საჭიროება კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ინფორმაციის მოძიების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი ეს ტენდენცია ეხება განათლებასა და ჯანდაცვას. შუა ასაკის დასაქმებულებს რუსული ენის ცოდნა უფრო კარგი აქვთ და, მუნიციპალიტეტის პროფილიდან გამომდინარე, ეს მნიშვნელოვანია. კომპიუტერული უნარები საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის ნაკლებად პრობლემურია. თავად თვითმმართველობა ელექტრონულ საქმისწარმოებას მისდევს, რაც ავტომატურად ციფრულ უნარებს საჭიროებს. პედაგოგებსა და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს ასევე სჭირდებათ და აქვთ კიდეც განვითარებული კომპიუტერული უნარები.

ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური უნარები საჯარო მოხელეებს, პედაგოგებსა და მედიცინის სფეროს წარმომადგენლებს აუცილებლად სჭირდებათ, თუმცა ადგილობრივების შეფასებით, ეს უნარები ყველას მაღალ დონეზე აქვს განვითარებული. ხაზგასასმელია, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებს, მუნიციპალიტეტის ეთნიკური და რელიგიური სიჭრელის გამო, განსაკუთრებით სჭირდებათ კულტურულ-რელატივისტური მიდგომა, რათა სხვა ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ არ გამოიჩინონ მიკერძოებულობა.

3.5.3. საჯარო სექტორში დასაქმებული პირების სპეციფიკური ცოდნა და უნარები

უშუალოდ თვითმმართველობაში დასაქმებული პირების სპეციფიკური უნარების გამოყოფა რთულია, რადგან სამსახურში ყველა დასაქმებულს თავისი დარგის შესაბამისი ცოდნა უნდა ჰქონდეს. სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დასაქმებულებს ეს უნარები კარგად აქვთ განვითარებული. თუმცა დასახელდა ერთეული შემთხვევები, როდესაც მმართველ პოზიციაზე დაინიშნა სხვა დარგის წარმომადგენელი, რაც სამსახურის მუშაობას გარკვეული დროით აფერხებდა, სანამ ის დარგის სპეციფიკას შეისწავლიდა.

განათლების სექტორში პედაგოგებს პირველ რიგში სჭირდებათ საგნობრივი ცოდნა, თუმცა, ამის გარდა, მნიშვნელოვანია ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება, ბავშვების სიყვარული, მოთმინება და ბავშვთა ფსიქოლოგია. მედიცინის მუშაკები მუდამ ორიენტირებული უნდა იყვნენ თავიანთ დარგში დანერგილი სიახლეების გაცნობასა და მუდმივ განვითარებაზე. გარდა ამისა, უნდა იყვნენ კომუნიკაბელურნი, რათა თავისუფლად შეძლონ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა ჯგუფთან მუშაობა.

IV თავი: წალკის მუნიციპალიტეტში მოთხოვნადი პროფესიები და კადრების მოძიებასთან დაკავშირებული პრობლემები

4.1 სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის თემატიკაზე შეკრებილი ფოკუსჯგუფის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ წალკის მუნიციპალიტეტში სამომავლოდ მოთხოვნა გაჩნდება ვეტერინარებზე, ზოოტექნიკოსებსა და აგრონომებზე. როგორც ადგილობრივი ვეტაფთიაქის მფლობელი, პროფესიით ვეტერინარი, აღნიშნავს, წალკის მუნიციპალიტეტში ამჟამად არის 5 უმაღლესგანათლებული ვეტერინარი და 15 სპეციალისტი. თუმცა ყველა ეს კადრი ძველი კადრია, რომელსაც განათლება საბჭოთა კავშირის დაშლამდე აქვს მიღებული. მონაწილის თქმით, დღესდღეობით არცერთი ახალგაზრდა არ ფიქრობს ამ მიმართულებით განათლების მიღებას, რაც კიდევ უფრო მწვავეს გახდის ამ პროფესიის მქონე კადრების საჭიროებას.

მას შემდეგ, რაც დისკუსიის მონაწილეებს წავუკითხეთ სავარაუდო პროფესიების ჩამონათვალი, მათ დაამატეს, რომ სამომავლოდ მოთხოვნადი გახდება რძის პროდუქტებისა და ხორცპროდუქტების გადამუშავება და მეფუტკრეობა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეფუტკრეობის კუთხით წალკის მუნიციპალიტეტის კლიმატური პირობები მაინცდამაინც ხელსაყრელი არ არის, თუკი მეფუტკრე მომთაბარე პრაქტიკას არ მისდევს. ადგილობრივ მეფუტკრეებთან შეხვედრებისას გამოიკვეთა, რომ მათი უმრავლესობა ამ პრაქტიკას ვერ ახორციელებს, რადგან პარალელურ რეჟიმში სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასაც ეწევა და ვერ უზრუნველყოფს ფუტკრის ადგილმონაცვლეობას. ადგილობრივების თქმით, სწორედ ამიტომ მეფუტკრეობა ნაკლებად პერსპექტიული იქნება წალკაში. სხვა მონაწილეები კი მიიჩნევენ, რომ ამ დარგს მაინც აქვს განვითარების შანსი, თუკი მისი მეპატრონე მხოლოდ ამ საქმიანობაზე იქნება ორიენტირებული. მხოლოდ ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ სამომავლოდ შეიძლება მოთხოვნადი გახდეს მეთევზეობა, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მუნიციპალიტეტში მხოლოდ

რამდენიმე კერძო საკალმახეა. საჯარო მოხელეებმა პრიორიტეტული დასაქმების სფეროები ასე დაალაგეს: მეცხოველეობა, რძის პროდუქტების წარმოება, ხორცპროდუქტების გადამუშავება, ვეტერინარია. შედარებით ნაკლებად პრიორიტეტულად მათ მიერ მეფუტკრეობა და მეთევზეობა დასახელდა.

ფოკუსჯგუფების მონაწილეებს არ გააჩნიათ მკაფიო წარმოდგენა საკადრო რესურსების მოძიების პრაქტიკასთან დაკავშირებით, თუმცა დისკუსიაში იკვეთება შემდეგი პრაქტიკა:

ა) მსხვილ ფერმებს ერთეულ შემთხვევაში ჰყავთ შიდა კადრი, რომელიც მხოლოდ ამ ფერმას ემსახურება და ეს თანამშრომლობა არის გრძელვადიანი. მაგალითად, სანთაში არსებულ ფერმას ჰყავს თავისი ვეტერინარი, სოფელში ჩამოსახლებული ოჯახები კი ემსახურებიან

ფერმას მწველავებად და მენახირეებად. ხვნა-თესვას, თიბვას, მიწების დამუშავებას, ძირითადად, დაქირავებული მუშახელი ახორციელებს. როგორც ფერმის მფლობელი აცხადებს, თავიდან გაუჭირდა მუშახელის მოძიება, თუმცა თანდათან შეასწავლა მათ ქარხანასა და ფერმაში მუშაობის პრინციპები და დღესდღეობით კადრის მხრივ მას პრობლემა აღარ აქვს. კარტოფილისა და მემარცვლეობის კუთხით მსხვილი ფერმერიც სტაბილურ თანამშრომლობას ირჩევს ბრიგადებთან და 12 წელია ერთი და იგივე ადამიანები ჰყავს დასაქმებული. მისი თქმით, გაზაფხულზე თესვის დროს მამაკაცები ჰყავს დასაქმებული, ხოლო შემოდგომაზე მოსავლის აღების დროს - ქალები. რძის პროდუქტების მსხვილ წარმოებაში მუშახელი პროცესში სწავლობს საქმიანობას. მეპატრონის თქმით, მას ჰყავს ყველის 14 ტექნოლოგი, თუმცა თითოეულმა მათგანმა სპეციფიკური უნარ-ჩვევები სწორედ მის საწარმოში შეიძინა პრაქტიკის პროცესში. ის ფაქტი, რომ მსხვილი სამრეწველო საწარმოები მუდმივად ასაქმებს მუშახელს, სტაბილურობას სძენს დასაქმების პროცესს და მათ კადრების მოძიების პრობლემა ნაკლებად აქვთ. თუმცა რძის წარმოებაში ფიქსირდება „არატრადიციული“ ყველის ტექნოლოგებზე მოთხოვნა, რომლის დაკმაყოფილება არათუ ადგილობრივ კადრს არ შეუძლია, არამედ საქართველოს

მასშტაბითაც რთულია ამ ტექნოლოგიის მცოდნე კადრის შოვნა: „გულწრფელად ვიძახი, 2000 ლარიც არ დამენანებოდა ხელფასი, თუ მოვიდოდა ისეთი პიროვნება, რომელმაც მდნარი ყველის დამზადება იცის. ძალიან მოთხოვნადია საქართველოში და ბევრჯერ ვეცადე და ჩვენც ვერ გავაკეთეთ იმიტომ, რომ არ ვიცით. მაგის მკეთებელი თუ იქნება, არაფერი დამენანება. თუნდაც, ოჯახური უზრუნველყოფა, ჩამოვიდეს და იცხოვროს, სახლს მოვუნახავ და იყოს.“ წალკის მუნიციპალიტეტში მხოლოდ რძის პროდუქტების ერთადერთი საწარმო ამზადებს ე.წ. „შვეიცარული ტიპის ყველს.“ როგორც საწარმოს მფლობელმა აღნიშნა, მან წარმოება საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო და ადგილზე იპოვა ძველი ტექნოლოგი, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ამზადებდა მსგავსი ტიპის ყველს და მას შემდეგ სტაბილურად ჰყავს დასაქმებული.

ბ) საშუალო და მცირე ზომის ფერმერულ მეურნეობებს ძირითადად სჭირდებათ დაბალკვალიფიციური კადრი (მაგ., მწველავი, ნარგავის დამრგველი და სხვ.), რომელსაც უფრო ერთჯერადად, ნაცნობობით ქირაობენ. დაქირავების ამ პრაქტიკას დამქირავებელს არ მოსწონს. მაგალითად, ერთ-ერთი მცირე ფერმის მეპატრონე აღნიშნავს, რომ მან ვერ დაარწმუნა დაქირავებული მწველავი, რომ მოწველისას დაეცვა ჰიგიენური ნორმები. კითხვაზე, თუ რატომ არ იყვანს სხვა კადრს, პასუხი იყო შემდეგი: იმ ფასად, რომელსაც ის დაქირავებულს სთავაზობს, სხვა არ თანხმდება ამ სამუშაოს შესრულებაზე და ადგილობრივი მასშტაბით კადრის ბევრი არჩევანიც არ არის. ლატენტურად გამოვლინდა ის პოზიციაც, რომ ეს ოჯახი ამ რძეს აბარებდა და რადგან პროდუქტი ოჯახური მოხმარებისთვის არ იყოს განკუთვნილი, ჰიგიენური ნორმის დაცვას ოჯახი დიდი ყურადღებასაც არ აქცევდა.

ადგილობრივები საუბრობენ, რომ ადგილზე კადრის მოძიების პრობლემა ორი მიზეზის გამო არსებობს: ერთი მხრივ, მაღალკვალიფიციური კადრის დეფიციტია და, მეორე მხრივ, მოსახლეობას შრომა ეზარება სხვის ფერმაში, რადგან ურჩევნია, ეს შრომა საკუთარ მეურნეობას მოახმაროს. კადრის დეფიციტზე მიუთითებენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც, მათი თქმით, დასაქმებულები არასტაბილურები არიან, ერთი დღე მოვლენ, იმუშავებენ, წინასწარ მოითხოვენ ანაზღაურებას და შემდეგ შეიძლება აღარც მოვიდნენ. მცირე და საშუალო ზომის ფერმების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ სამომავლოდ აუცილებელია საწველი აპარატების ყიდვა, რომელიც მწველავებს ჩაანაცვლებს, რადგან ამ ტიპის კადრის მოძიების პრობლემა ადგილზე ძალიან დიდია. რძის მცირე ზომის საწარმოებში კადრების მოძიების პრობლემა დგას, რადგან მათი წარმადობა სეზონურია და მხოლოდ რამდენიმე თვით სჭირდებათ მუშახელის დაქირავება. პროდუქციის დაბალი ფასიდან გამომდინარე, ისინი მაღალ ანაზღაურებას ვერ უხდიან კადრებს და დაქირავებულთა მუდმივი ცირკულაცია ხდება. იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმებულები პრაქტიკული მუშაობის პროცესში იძენენ სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს, კადრების ცვლა პრობლემაა, რადგან მფლობელს მეტი დრო ეხარჯება კადრის მომზადებისთვის. კადრების მოძიების პრობლემის გამო რამდენიმე სამრეწველო საწარმო იძულებული გახდა, მხოლოდ ოჯახის წევრების შრომაზე გამხდარიყო დამოკიდებული.

ნიშანდობლივია, რომ მცირე და საშუალო სიდიდის ფერმის მეპატრონეები კვალიფიციური კადრის (ვეტერინარი, აგრონომი) საჭიროებას ნაკლებად აფიქსირებენ დისკუსიაში. ამ ტიპის მეურნეობებს პროფესიონალი კადრები მხოლოდ გართულებების შემთხვევაში სჭირდებათ, ძირითადად, კონსულტაციებით შემოიფარგლებიან, რომლებიც ხშირად ნაკლებად ეფექტიანია. ვეტაფთიაქის მფლობელი აღნიშნავს, რომ დანახარჯის შემცირების მიზნით, ხშირად საშუალო სიდიდის ფერმების მეპატრონეები არათუ ვეტერინარებთან არ გადიან კონსულტაციას არამედ საჭირო ვეტერინარულ პროდუქციას არც კი ყიდულობენ და ვერ გრძნობენ, რომ შორეულ პერსპექტივაში ეს მათ მეურნეობას აზიანებს. ფერმის მფლობელები ასევე მიუთითებენ ფაქტებზე,

რომ, არაკვალიფიციური ვეტერინარის რჩევით, მათ ფრინველი თუ საქონელი იზარალეს. ამ შემთხვევებზე საუბრისას ისინი უჩივიან დაბალკვალიფიციურ კადრებს, თუმცა ამის აღმოფხვრის საშუალებად თავად ამ კუთხით განათლების მიღებას მიიჩნევენ მიზანშეწონილად, რათა სხვაზე ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი. რძის მწარმოებლის თქმით, მეპატრონე მუდმივად ეცნობა ახალ სტანდარტებს და შემდეგ ამ სტანდარტებს თავის დაქირავებულებს ასწავლის.

4.2 ტურიზმი

ტურიზმის სექტორში კადრების დასაქმების პრაქტიკა ქაოსურია და, ძირითადად, ახალი კადრების სოციალური კავშირებით მოძიებას ეფუძნება. ზოგადად, კვალიფიციური კადრი ტურიზმის სექტორში არ არსებობს. ყველაზე ხშირად ადგილობრივები აღნიშნავენ პროფესიონალი მზარეულის მოძიების პრობლემას. მათი თქმით, თუ ადამიანს მზარეულის პროფესიული ცოდნა ექნება, ის დაბალ ანაზღაურებაზე წალკაში არ დაიწყებს მუშაობას, ამიტომ ისინი მზარეულის პოზიციაზე კარგი დიასახლისის კადრს სჯერდებიან. ერთ-ერთი პირი, რომელიც გეგმავს შედარებით მაღალი კლასის სასტუმროს მოწყობას, თავისი რესტორნით, გეგმავს, რომ მზარეულს ბიზნესის წილი შესთავაზოს: „მხოლოდ ხელფასზე კარგი მზარეული არ გამიჩერდება. შემდეგ დაიწყებს: „ექვსი საათის მერე ვერ ვიმუშავებ, შაბათ-კვირას ვერ ვიმუშავებ“, - და ისევ მე მომიწევს საქმის კეთება ნახევრად მაინც, ამიტომ, როცა მზარეულს პირადი ინტერესი ექნება, უფრო მონდომებით შეასრულებს. თავის საქმეს.“ ადგილობრივი კაფეს მეპატრონეც აღნიშნავს, რომ მზარეული რამდენჯერმე შეცვალა, თუმცა ამჟამად კმაყოფილია. იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტი მთლიანად საოჯახოა, მზარეული ოჯახის დიასახლისია და ამ შემთხვევაში მისი „კვალიფიკაცია“ კრიტიკულად არ ფასდება.

წალკის მუნიციპალიტეტში პრობლემურია მიმტანების მოძიებაც. აქ ორი ტიპის პრობლემა იკვეთება: ახალგაზრდები თავს იკავებენ ამ პოზიციაზე დასაქმებისაგან და მიმტანის საქმეც პროფესიულ დონეზე ადგილობრივებმა არ იციან. ფოკუსჯგუფის მონაწილე აღნიშნავს, რომ მიმტანები ელემენტარულ უნარებს არ ფლობენ, მაგალითად, თუ რა თანამიმდევრობით მოიტანონ საჭმელი და სასმელი, მომსახურებას ძალიან აგვიანებენ: „ამას წინათ შევედით რესტორანში, ჯერ პური მოგვიტანეს და საჭმელმა იმდენად დაიგვიანა, რომ სულ შევჭამეთ პური. შეკვეთილი კერძები რომ მოიტანეს, თითქმის დანაყრებული ვიყავით. ერთი კათხა ლუდის შემდეგ მეორე რომ შევუკვეთეთ, 2 საათის დაგვიანებით მოიტანეს. რომ გამოვდიოდით, გზაში გვითხრეს: „უი, თქვენი სალათა ახლა მოვიტანეთო“, და, რა თქმა უნდა, სალათის ფასიც გადაგვახდევინეს.“

სასტუმროს ბიზნესში ასევე მწვავედ დგას დამლაგებლების პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ სასტუმროები მაღალი კლასის არ არის და დალაგების სტანდარტს აქ არავინ ამოწმებს, დაქირავებულ დამლაგებელთა მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი ძალიან დაბალია. როგორც მეპატრონე ქალები აღნიშნავენ, ისინი დამლაგებელს კლიენტის გასვლის შემდეგ ალაგებინებენ ოთახებს, რათა „შავი სამუშაო“ შეასრულებინონ, შემდეგ კი ისინი ზედმიწევნით თავად ალაგებენ ოთახებს. დამლაგებლების პრობლემის გამო, რიგ საოჯახო სასტუმროებში დამლაგებლებს საერთოდ არ ქირაობენ და ამ ფუნქციას ოჯახის წევრები ასრულებენ.

4.3 მრეწველობა

წალკის მუნიციპალიტეტში მრეწველებს კადრის მოძიების პრობლემა მნიშვნელოვნად აწუხებთ. მრეწველობის კუთხით საკადრო დეფიციტი ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ: ა) მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი (კვების ტექნოლოგები, მცხობელები), რომელიც არათუ წალკაში, არამედ მთელ ქვეყანაში პრობლემაა, და ბ) ლურჯსაყელოიანი მუშახელის დეფიციტი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადად, შრომისმოყვარეობისა და მოტივაციის პრობლემებს უკავშირდება. მრეწველობაში ჩართული პირის თქმით, ახალგაზრდები მოდიან, ერთი კვირა მუშაობენ და შემდეგ გარბიან. არაკვალიფიციური კადრების დეფიციტს თურქეთში სეზონური შრომითი მიგრაციაც იწვევს, რადგან, როგორც ადგილობრივებმა აღნიშნეს, ადამიანებს ურჩევნიათ ერთი თვით თურქეთში ჩაის პლანტაციაში იშრომონ და 3000 ლარი ჩამოიტანონ, ვიდრე იმავე თანხისთვის 3-4 თვე ადგილზე იმუშაონ.

4.4 ვაჭრობა

სავაჭრო ობიექტები ნაკლებად საჭიროებენ კვალიფიციურ მუშახელს. დაქირავებულებისათვის მთავარი ზოგადი ტრანსფერული უნარებია და ახალი კადრის აყვანისას, ძირითადად, ნაცნობობასა და სანდოობას ითვალისწინებენ. სავაჭრო ობიექტის მფლობელები ნაკლებად უჩივიან ადამიანური რესურსის უკმარისობას და ნებისმიერი სანდო, კომუნიკაბელური ადამიანი აჰყავთ, რომელსაც საქმიანობის პროცესში ასწავლიან მომსახურებას.

4.5 საჯარო სექტორი

საჯარო სექტორში, ძირითადად, კვალიფიციური კადრის დეფიციტია. საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ადგილზე კვალიფიციური იურისტის, ეკონომისტის, ბუღალტრის, შესყიდვების სპეციალისტის, ინჟინრის, ექიმის დეფიციტია. ამ პოზიციებზე დაბალი ანაზღაურების პირობებში კი კადრის მოძიება პერსპექტივაში წარმოუდგენელია.

V თავი: განათლების მიმართ სკეპტიციზმი და მოთხოვნადი საგანმანათლებლო კომპონენტები

5.1 სოფლის მეურნეობა

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივების დიდ ნაწილს არ აქვს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის რელევანტური არც საკვალიფიკაციო და არც მოკლევადიანი განათლება, შეიძლება ითქვას, რომ მათი მხრიდან საგანმანათლებლო კომპონენტზე მოთხოვნილება დაბალია. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ საგანმანათლებლო კომპონენტს, რომელიც ხანგრძლივ სწავლებას მოითხოვს, ან სპეციფიკური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვის შემაფერხებელი ფაქტორები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

ა) ადგილობრივების დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ მათ აქვთ ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები და ამ კუთხით დიდ ინტერესს არ ამჟღავნებენ. მაგალითად, ერთ-ერთი საჯარო მოხელე ირონიულად აღნიშნავს: „რა „ამათ“ გლეხს უნდათ ასწავლონ თავის ბოსტანში როგორ მოიყვანოს კარტოფილი?!“ აქ ფიქსირდება ერთი საინტერესო პარადოქსი. სოფლის მეურნეობის კუთხით უფრო განვითარებული ფერმები და/ან კოოპერატივები ხშირად აქვთ ადამიანებს, რომლებიც პროფესიული აგრონომიული განათლება აქვთ. იმ შემთხვევებში კი, როდესაც მსხვილი ან საშუალო სიდიდის ფერმის მეპატრონეები არ ფლობენ სოფლის მეურნეობის კუთხით პროფესიულ ცოდნას, მათი მხრიდან შეიმჩნევა სპეციფიკური ცოდნის შეძენის დიდი ინტერესი. მათ ნაწილს გავლილი აქვს მოკლევადიანი კურსები და ტრენინგები. გარდა ამისა, მუდმივად ეძებენ ინფორმაციას ინტერნეტის თუ სხვა საშუალებებით. ზოგადად, დისკუსიის მსვლელობაში საშუალო და მსხვილი ფერმერები დიდ გამოცდილებას და ცოდნას ავლენენ, ისევე, როგორც მზაობას, მიუხედავად არსებული ცოდნისა, კვლავ ჩაერთონ ნებისმიერი ტიპის საგანმანათლებლო აქტივობაში, რაც რიგით, მცირე სიდიდის ფერმერული მეურნეობის მეპატრონეებთან ნაკლებად ფიქსირდება.

ბ) ფერმერულ მეურნეობაში ჩართული პირები სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სხვა მრავალ, მათი აზრით, ობიექტურ ბარიერს ხედავენ - მიწაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობას, ფერმერული მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებზე დაბალ ხელმისაწვდომობას, წარმოებული პირველადი პროდუქციის დასაწყობების, გასაღების პრობლემებს, და ა.შ. - და ზოგადი თუ სპეციფიკური ცოდნის დეფიციტი მათთვის მეორეხარისხოვანი პრობლემაა.

გ) ადგილობრივების წარმოდგენით, სოფლის მეურნეობის კუთხით მთავარი პრაქტიკაა და ამ პრაქტიკაში „დაშვებული შეცდომების“ კვალდაკვალ უნდა ისწავლოს ფერმერმა და განივითაროს უნარები. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთ-ერთი ადგილობრივი აგრონომისა და ფერმერის პოზიცია: „მეფუტკრეობაში, მაგალითად, ყველაზე მთავარი პრაქტიკაა. მე ძალიან ბევრი წიგნი მაქვს მეფუტკრეობაზე საბჭოთა პერიოდში შექმნილი, მაგრამ ისინი არცერთი არ მადგება.“

დ) სასოფლო-სამეურნეო დარგში ცოდნის გაზიარებასა და პრაქტიკას წალკის მაცხოვრებლები აქტიურად მიმართავენ. ცოდნის გაზიარების ორი წყაროა: ინტერნეტი და ამ საქმიანობაში

ჩართული პირები, როგორც მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ერთ-ერთი წარმატებული ფერმერის თქმით, მას ვერ წარმოუდგენია წალკაში ვინმეს რჩევა სჭირდებოდეს ნებისმიერი კულტურის მოყვანასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მან კონსულტაცია ვერ მიიღოს. გარდა ამისა, ადგილობრივები ხშირად იყენებენ ინტერნეტს ინფორმაციის მოძიებისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით. „ინტერნეტში ყველაფერია!“ - აღნიშნავს ერთ-ერთი ქალბატონი და მსგავსად ადგილობრივთა დიდი ნაწილისა, აქვს მოლოდინი, რომ თუ დასჭირდება რაიმე ტექნიკური დახმარება ინტერნეტის საშუალებით მოიძიება პასუხს. რიგ შემთხვევაში, როდესაც ინტერნეტში განთავსებული მასალა პროფესიულია, ის შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს (მაგ., მეფრინველეობის კუთხით ინკუბატორის მოწყობის სტანდარტები წალკის მკვიდრმა ახალგაზრდამ კანადის მეფრინველეთა მაგალითზე ისწავლა), მაგრამ ხშირად ინფორმაცია ზედაპირული, არასაკმარისი და არაკონტექსტუალურია. ინტერნეტით მოსარგებლეს უჩნდება განცდა, რომ ეს ინფორმაცია სანდო და სრულყოფილია და სხვა დამატებითი სწავლება არ სჭირდება. ინტერნეტით ინფორმაციის მოძიების პრობლემას ართულებს ისიც, რომ ადგილობრივების უმრავლესობამ ნაკლებად იცის ინგლისური და, ძირითადად, ქართულ ან რუსულ წყაროებს ეყრდნობა, რაც ხშირად დეფიციტური ან არაპროფესიულია.

ე) სოფლის მეურნეობის სფეროში განათლების მიღების სურვილი ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ, ხოლო შუა ასაკის ადამიანებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან სოფლის მეურნეობაზე, არ აქვთ დრო, რომ განათლების მიღებას დაუთმონ. მაგალითად, რძის პროდუქტების მაწარმოებელი ერთ-ერთი კოოპერატივის თავმჯდომარე აცხადებს, რომ მათი კოოპერატივის მონაწილეები იმდენად დაკავებულნი არიან, რომ ნამდვილად ვერ შეძლებენ ტრენინგებში მონაწილეობას, მით უფრო, თუ ის შედგება თბილისში და საჭირო იქნება ხანგრძლივი ჩართვა. საგანმანათლებლო აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დროის დეფიციტი კიდევ სამ ქვეპრობლემად შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1. ადამიანები ვერ ხედავენ განათლებაზე დახარჯული დროის პირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს. მაგალითად, ერთ-ერთი მცირე ზომის ფერმერი აცხადებს: „ვეტერინარიის სწავლა მაინტერესებს. პირობითად, ორ წელსაც დავუთმობდი და სამ წელსაც... მაგრამ რისთვის? ვსვამ კითხვას - რაში გამომადგება შემდეგ? ვიღაცას ცუდად რომ გაუხდება საქონელი, მივიდე, იმას ვუმკურნალო?! ანუ განათლებას დავუთმობდი დროს, მაგრამ პერსპექტივას ხომ უნდა გადავხედო მეც?! ზოგადად რომ მქონდეს ცოდნა იმაზე მეტი, რაც მაქვს, მინდა.“ ამ ფერმერის სკეპტიციზმი ფინანსური რესურსების ხელმიუწვდომლობას უკავშირდება. მისი თქმით, განათლების მიღების შემდეგ თუ მას ფინანსური მხარდაჭერა არ ექნება, ის მაინც ვერ შეძლებს ფერმერული მეურნეობის გამსხვილებას. 2. მცირე ფერმერული მეურნეობის მქონე პირთა აბსოლუტური უმრავლესობა პარალელურად დროს უთმობს სხვადასხვა ეკონომიკურ აქტივობას - ხშირად მათ აქვთ ანაზღაურებადი სამუშაო, ამასთანავე, ეწევიან მეკარტოფილეობას, მემარცვლეობას, იშვიათად, მეკურდღლეობას, მეფრინველეობას. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების დივერსიფიკაცია კი ართულებს მათი მიერ ერთ მიმართულებაზე ფოკუსირებას. 3. ადგილობრივების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ თუ საგანმანათლებლო აქტივობა წალკის მუნიციპალიტეტში არ იქნება ორგანიზებული, მათ გაუჭირდებათ დედაქალაქში დარჩენა და იქ ცხოვრების ფინანსური უზრუნველყოფა. თუმცა აქვე დასძენენ, რომ დედაქალაქი მაინც ყველაზე მეტად არის მათთვის ფიზიკურად ხელმისაწვდომი.

ვ) გარდა ხშირად უსაფუძვლო თავდაჯერებისა, საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვის ნაკლებ ინტერესს განაპირობებს უკვე ჩატარებული ტრენინგების დაბალი ხარისხი და არარელევანტურობა. უფრო მეტიც, ეთნიკური უმცირესობების ფოკუსჯგუფში ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა: „გააჩნია, რანაირი ტრენერი იქნება. არის ტრენერი, რომლის მოსმენაც გსიამოვნებს, უსმენ და იცის თავისი საქმე. გსიამოვნებს მაგასთან ლაპარაკი. მაგრამ, რომელიც მარტო მოვა, ხელს მოგაწერინებს და წავა, იმასთან ტრენინგს აზრი არ აქვს.“

სოფლის მეურნეობაში ჩართულ პირებს ყველაზე მეტად აინტერესებთ, ისწავლონ პროექტის წერა და ბიზნესგეგმის შედგენა. პროექტის შექმნისა და დაფინანსების რამდენიმე წარმატებული მაგალითი ინტერესს უღვივებს ადგილობრივებს, რომ თავადაც ჩაერთონ პროექტების მომზადების პროცესში და მიიღონ დამატებითი შემოსავალი.

როდესაც ფოკუსჯგუფის მონაწილეებთან ვსაუბრობდით აგრარულ სექტორში საჭირო განათლების მიღების ფორმებთან დაკავშირებით, შეთავაზებული ალტერნატივების მოსმენისას მონაწილეები ხშირად ჩუმდებიან, რადგან მათ არ აქვთ მკაფიო წარმოდგენა არც საკუთარი ფერმისა და ფერმაში დასაქმებულების საჭიროებებზე და არც საგანმანათლებლო კომპონენტების მნიშვნელობაზე. აგრარულ სექტორში ჩვენ მიერ მიწოდებულ ხუთი სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო კომპონენტთან დაკავშირებით შემდეგი ტენდეციები დაფიქსირდა:
ა) დისტანციური სწავლების არცერთი კომპონენტის მიმართ ინტერესი არ გამოუხატავთ. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ არცთუ ისე განვითარებული კომპიუტერული უნარები და მსგავსი საგანმანათლებლო კომპონენტის გამოყენების გამოცდილების არქონა. ერთ-ერთი საჯარო მოხელის თქმით, თუკი პირისპირ ჩატარებულ საგანმანათლებლო აქტივობაში ჩაერთვება ფერმერთა ნახევარი, დისტანციურად შეიძლება 10%-მაც ვერ შეძლოს ჩართვა. ამ ტენდენციას კიდევ უფრო აღვივებს მიმდინარე პანდემიის პირობებში ადგილობრივ დონეზე ონლაინ სწავლების არცთუ ისე წარმატებული გამოცდილება და ადგილზე ინტერნეტის წვდომის დაბალი ხარისხი.

ბ) თანამშრომლებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი პროექტები არცთუ ისე მიმზიდველია მცირე ფერმერებისთვის. მათ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰგონიათ, რომ სპეციფიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები საკმაოდ განვითარებული აქვთ და მათ წინაშე უფრო დიდი გამოწვევა მიწაზე და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და უფრო დიდი ზომის ფერმების მეპატრონეებისათვის კონკურენციის გაწევაა. საშუალო ფერმერებს (მაგ., ფერმერებს, რომელთაც ჰყავთ 40 და მეტი მეწველი ძროხა და/ან ამუშავებენ 5 ჰა მეტ მიწას) უფრო მეტად აქვთ მოკლევადიან პროგრამებში ჩართვის სურვილი და განსაკუთრებით კი - ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ახალი სტანდარტების გაცნობის კუთხით. მსხვილი ფერმერები კი თვლიან, რომ დასაქმების პროცესში მათ უკვე ასწავლეს დაქირავებულ მუშახელს მათთვის საჭირო უნარები და დამატებით გადამზადებას ამ კუთხით აღარ საჭიროებენ. თუმცა საინტერესო მოკლევადიანი პროგრამების შინაარსიდან გამომდინარე არ გამორიცხავენ, რომ თვითონ ჩაერთონ ან ჩართონ მათი დასაქმებულები.

გ) დარგის გაახალგაზრდავების მიზნით ახალგაზრდების მომზადების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამები: საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობის წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე პირები მხარს უჭერენ ახალგაზრდების პროფესიულ გადამზადებას. ერთ-ერთი საშუალო ფერმის მეპატრონე დასძენს: „ყველაფერი მოკლევადიან პერსპექტივაზე ხომ არ უნდა იყოს გათვლილი?! იყოს ის პროფესიული სასწავლებელი, დღეიდან რომ დაიწყება: გრძელვადიან პერსპექტივაში ერთ წელიწადში თუ არ მექნება, ხუთ წელიწადში ხომ იქნება პროფესიონალთა ნაკადი?! მოკლევადიანში მე, როგორც პრაქტიკოსი ფერმერი, ვისწავლი ჩემს პროფესიას, მაგრამ ახალი კადრი სადღა არის?! პროფესიული სასწავლებელი თუ გაიხსნება, ის წელიწადში 3-თვიან მოკლე პროგრამას ჩემნაირ ფერმერს შესთავაზებს, მაგრამ ახალგაზრდებს კი პროფესიონალებად ჩამოაყალიბებს.“

სხვა ფოკუსჯგუფის წარმომადგენლები დასძენენ, რომ ახალგაზრდებს აგრარულ სფეროში მოღვაწეობის გაგრძელების დიდი ინტერესი არ აქვთ. მაგალითად მოვიყვანოთ ქალბატონი

მაყვალა, რომელიც არის რძის საწარმოთა კოოპერატივის ხელმძღვანელი: „ერთს ვიტყვი, ამდენი წელია, ვიწვალეთ... გავხსენით ერთი, მეორე, მესამე კოოპერატივი...ბოლოს შედეგი ვერ მივიღეთ, ამდენი ვიწვალეთ, ვეწამეთ... ამას ყველაფერს უყურებდა ჩემი შვილი. ამიტომ შეცვალა მან გეგმა, აღარ გაუჩნდა სოფელში დარჩენის ან აგრონომიის კუთხით სწავლის სურვილი, ისწავლა არქიტექტურა, წავიდა და ზის კაბინეტში..." შებრუნებულ კითხვაზე, რომ კაბინეტში შეიძლება გაცილებით ნაკლები შემოსავალი ჰქონდეთ ადამიანებს, ვიდრე აგრარულ მეურნეობაში, ფოკუსჯგუფის მონაწილეები ჩუმდებიან.

ზოგადად, დისკუსიაში მონაწილე პირები მიიჩნევენ, რომ დღევანდელ ახალგაზრდებს სოფლად ცხოვრება და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ნაკლებად ხიბლავთ. სკოლის მასწავლებელი, მეცხოველეობის კოოპერატივის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა განათლებისთვის პრესტიჟულ დარგებს ირჩევს და შემდეგ წალკაში აღარ ბრუნდება. ის ახალგაზრდები, რომლებსაც დედაქალაქში სასწავლებლად წასვლა არ შეუძლიათ, არც დამატებით საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვის სურვილით არ გამოირჩევიან. ნიშანდობლივია, რომ ფოკუსჯგუფის მონაწილე ახალგაზრდა წევრები (საშუალოდ, 22-35 ასაკობრივი ჯგუფი), მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა უმაღლესი, პროფესიული თუ ზოგადი განათლება, სასოფლო-სამეურნეო პროფილით პროფესიული სასწავლებლის მიმართ ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ. მათი პოზიცია უფრო მოკლევადიანი კურსებისაკენ იხრებოდა. რაც შეეხება გოგონებს, მათი ინტერესები, ძირითადად, ტურიზმის, კულინარიის, საბუღალტრო საქმისა და სხვა მსგავსი დარგებისკენაა მიმართული.

5.2 ტურიზმის სექტორი

ტურიზმის სექტორში ჩართული პირები უფრო მეტად აღიქვამენ განათლების საჭიროებას. იმის გათვალისწინებით, რომ ტურიზმი ადგილზე განვითარებული არ იყო და ტრადიციული ცოდნა ამ მხრივ მათ ხელს არ უწყობთ, მათი უმრავლესობა სიამოვნებით ჩაერთვებოდა საგანმანათლებლო აქტივობაში. თუმცა ეს აქტივობა უნდა იყოს მოკლევადიანი - 2 კვირიდან 3 თვემდე და აუცილებლად შეთავაზებული უნდა იყოს წალკაში. გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმის მიმართულებით ამჟამად დასაქმებული თუ სამომავლოდ დასაქმების მსურველი პირები სრულგანაკვეთიან სამუშაოს ასრულებენ, ისინი ფიზიკურად ვერ მოახერხებენ ხანგრძლივი დროით წალკის დატოვებას. განსაკუთრებულ ინტერესს ამ სექტორში ჩართული პირები იჩენენ სასტუმროსა და კვების ობიექტის მართვის, სტუმარმასპინძლობის საფუძვლების, პროექტის და ბიზნესგეგმის მომზადების, ბიუჯეტირების, ბუღალტერიის მიმართ. თუმცა ისინი არ გამორიცხავენ, რომ ჩაერთონ აგრეთვე კულინარიის, გიდის, მიმტანის პროფესიულ მოკლევადიან გადამზადებაში.

5.3 მრეწველობა

მრეწველობაში ჩართული პირები დიდ მზადყოფნას იჩენენ სამომავლოდ საგანმანათლებლო აქტივობაში ჩართვის კუთხით. რამდენიმე შემთხვევაში მცირე სამრეწველო საწარმოს მფლობელი მზადაა ხანგრძლივ პროფესიულ სწავლებაშიც კი ჩაერთოს, თუ ის წალკის მუნიციპალიტეტში იქნება შეთავაზებული და მის საქმიანობას არ შეაფერხებს. რაც შეეხება მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს, ადგილობრივებს განსაკუთრებით აინტერესებთ ბიზნესის მართვა, ბიუჯეტირება, პროექტისა და ბიზნეს გეგმისშედგენა, ბუღალტერია, მარკეტინგი. არის შემთხვევები, როდესაც სამრეწველო საწარმოს მფლობელს სურს უფრო მაღალი დონის მასტერკლასების გავლა თავისი ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებით.

5.4 ვაჭრობა

ვაჭრობის კუთხით საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვაზე ორი განსხვავებული პოზიცია გამოვლინდა. ნაწილი მფლობელებისა მიიჩნევს, რომ ვაჭრობის სექტორში დასაქმებულებს დამატებითი სწავლება არ სჭირდებათ. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ როგორც მფლობელის, ისე დასაქმებულთათვის მნიშვნელოვანია ტრენინგების გავლა ბიზნესის მართვის, პროდუქციის განლაგების, მომსახურების ტექნიკის შესახებს. მათი თქმით, მსგავსი ტრენინგები წალკის მუნიციპალიტეტში არ ტარდება, თუმცა მათ განვითარებას სამომავლოდ პერსპექტიულად მიიჩნევენ.

5.5 საჯარო სექტორი

საჯარო სექტორში ყველაზე ნაკლები ინტერესი დაფიქსირდა სასწავლო კომპონენტების მიმართ, რადგან იქ დასაქმებულები ნებსით თუ უნებლიეთ მრავალ საგანმანათლებლო აქტივობაში მონაწილეობენ.

VI თავი: დასკვნა

წალკის მუნიციპალიტეტში ყველაზე უფრო განვითარებადი ეკონომიკური სექტორი სოფლის მეურნეობაა, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობაა ჩართული. ამ სექტორში დასაქმებულთა შორის უმრავლესობა მცირე ფერმერია, რომელიც ტრადიციულ ცოდნაზე დაყრდნობით ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და მცირე შემოსავალი აქვს. საშუალო და მსხვილი ფერმერები გამოირჩევიან შედარებით უფრო მაღალი კომპეტენციებით, ცდილობენ ინოვაციური ტექნოლოგიებისა და თანამედროვე მიდგომების დანერგვას. მათ შორის დიდი ნაწილი ახერხებს დამატებით ფინანსური რესურსების მოზიდვას, პროექტებისა და გრანტების მოპოვებას (რაც შეიძლება მათი მაღალი კომპეტენციის ობიექტური შედეგი იყოს), რაც მცირე ფერმერების გაუცხოებას იწვევს და უმძაფრებს განცდას, რომ სოფლის მეურნეობის სუბსიდირების პროექტები საშუალო და მსხვილი ფერმერების კიდევ უფრო გაძლიერებას ემსახურება. მცირე ზომის ფერმერები პრიორიტეტულად მიიჩნევენ მათ წინაშე მდგარ ობიექტურ ბარიერებთან (მიწის საკუთრება, ფერმერული მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, წარმოებული პირველადი პროდუქციის დასაწყობება თუ გასაღება) გამკლავებასა და პროფესიული ცოდნის დეფიციტს; როგორც პრობლემას, ვერ აღიქვამენ. საშუალო და მსხვილი ფერმერების წარმატება, მცირე ფერმერებს არა მათი კომპეტენციის, არამედ პროტექციონიზმისა და კორუფციის შედეგი ჰგონიათ, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მათ მიმართ მტრულ განწყობებს, ხოლო სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ უნდობლობას.

დაქირავებით დასაქმების პროცესი შედარებით სტაბილურია დიდი ზომის ფერმებსა და საწარმოებში, რომელთა საქმიანობა არ არის სეზონური და მუშახელიც მდგრადია. თუმცა მსხვილი სამრეწველო საწარმოებისათვის პრობლემურია ინოვაციური ტექნოლოგიების მცოდნე კადრის მოძიება, რომელიც, ზოგადად, ქართულ შრომის ბაზარზე დეფიციტურია. საშუალო სიდიდის ფერმებსა და საწარმოებში კადრები მუდმივად ცირკულირებს, რაც მათი განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია, რადგან ყოველი ახალი დასაქმებულისათვის მეპატრონეს თავიდან სჭირდება სპეციფიკური უნარ-ჩვევების სწავლება. საშუალო სიდიდის ფერმებში მეპატრონეები ცდილობენ სპეციფიკური ინფორმაციის მოძიებას და არასტაბილურად იყენებენ ადგილობრივი თუ არაადგილობრივი სპეციალისტების კონსულტაციებს, თუმცა ეს არ არის პროფესიული დახმარება და ხშირად პრობლემები ექმნებათ ეკონომიკურ საქმიანობაში. მცირე ფერმერები ნაკლებად იყენებენ დაქირავებულ მუშახელს და, ძირითადად, ოჯახის წევრთა შრომას ეყრდნობიან. მცირე ეკონომიკური შემოსავლების ფონზე, ისინი სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან, რაც ხელს უშლის მათ კონცენტრაციაში, დროისა და საქმიანობის სწორ დაგეგმვაში და კიდევ უფრო უმცირებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას. წალკის მუნიციპალიტეტში ამჟამად მიმიდნარეობს ტურიზმის სექტორის განვითარება. ადგილობრივი მოსახლეობა ამ მიმართულებით ხედავს განვითარების პერსპექტივას, თუმცა ტურიზმის ბიზნესში კომპეტენციის, ცოდნისა და უნარების არქონის ფონზე არირჩევს განვითარების სწორ მიმართულებას და დაბალი ხარისხის მომსახურების მიწოდებით შემოიფარგლება. სოფლის მეურნეობისაგან განსხვავებით, ტურიზმის მიმართულებით ტრადიციული ცოდნისა და გამოცდილების არქონის პირობებში, სექტორში მოქმედი ან სამომავლოდ ჩართვის მსურველი პირები ამჟღავნებენ პროფესიული სწავლების მიმართ მზაობას.

წალკის მუნიციპალიტეტში მცირე რაოდენობის სამრეწველო საწარმოები ოპერირებენ, რომლებიც, ძირითადად, ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილებაზე არიან ორიენტირებული. სამრეწველო საწარმოში დასაქმებულთა არაპროფესიონალიზმი, კვალიფიციური თუ არაკვალიფი-

ციური კადრის მოძიების პრობლემა, მათი განვითარების პროცესს კიდევ უფრო აფერხებს. სავაჭრო საქმიანობა, ძირითადად, წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პროდუქციის მომარაგებას ემსახურება, ეს სფერო ყველაზე ნაკლებად არის პროფესიონალიზებული და მეპატრონეთა მხრიდან მასშტაბური განვითარების სურვილიც ნაკლებად შეინიშნება. ეკონომიკის ყველა სექტორში პროფესიული განათლების მქონე კადრების დეფიციტის ფონზე, საჯარო სექტორში მკაფიოდ ჩანს მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტი, რაც დასაქმებულთა დაბერების ტენდენციით დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გამწვავდება, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ მუნიციპალიტეტიდან მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრების დენადობას, სექტორში არსებულ დაბალ ანაზღაურებასა და საჯარო სამსახურის შესახებ კანონის დასაქმების კუთხით „შემზღუდველ“ პირობებს.

ყოველივე ზემოთ თქმულის ფონზე წალკის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორში ადამიანური რესურსის დეფიციტი შეინიშნება, რომელიც, ძირითადად, კვალიფიკაციის, ცოდნის, ზოგადი თუ სპეციფიკური უნარების არქონით არის გამოწვეული. კვლევის შედეგების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების ადგილზე დაგეგმვის კარგი პერსპექტივა ისახება, თუკი ადგილობრივი მოსახლეობა ამ კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებას დაინახავს. ამ ეტაპზე კი მათ წინაშე არსებული ეკონომიკური განვითარების ობიექტური ბარიერები და წარმატებული ადამიანების მიმართ ანტაგონისტური განწყობა, საკუთარი ადამიანური რესურსების კრიტიკული შეფასების ნაცვლად, სკეპტიციზმით განაწყობთ მათ.

VII თავი: რეკომენდაციები

სოფლის მეურნეობაში მოღვაწე ფერმერები ყველაზე მეტად საჭიროებენ პროფესიულ გადამზადებას, თუმცა პირველ რიგში უნდა მოხდეს მათი მხრიდან საკუთარი ადამიანური რესურსების კრიტიკული შეფასება, საკუთარი კვალიფიკაციისა და ცოდნის დეფიციტურობის აღიარება და საგანმანათლებლო საჭიროებების გაცნობიერება. მას შემდეგ, რაც ფერმერებს ექნებათ სწავლებაში ჩართვის სურვილი, შეიძლება ადგილზე დაიგეგმოს მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული შემდეგი საგანმანათლებლო კომპონენტები:

- სასოფლო-სამეურნეო მიმართულების ხანგრძლივი პროფესიული სწავლება ახალგაზრდებისთვის, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს სკოლებში ინტენსიური შეხვედრები და მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო დარგით დაინტერესება;

- მოკლევადიანი (2 კვირიდან 3 თვემდე) კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო მიმართულების (მეცხოველეობა, რძის პროდუქტების დამზადება, მებოსტნეობა, მემარცვლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა) სასწავლო პროგრამები ამ დარგში მოღვაწე ფერმერებისათვის, რომლებიც ორიენტირებული იქნება მათი სპეციფიკური უნარების განვითარებაზე.

ტურიზმის მიმართულებით პოტენციური აქტორების მაღალი ინტერესის ფონზე, შესაძლებელია, სწავლება მოიცავდეს:

- სხვადასხვა მიმართულებით პროფესიული კადრების მომზადების (მზარეულები, მიმტანები, დამლაგებლები, სასტუმროსა და კვების ობიექტის ადმინისტრატორები) მოკლე და გრძელვადიან პროგრამებს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სასურველია, წალკის მუნიციპალიტეტში დაიგეგმოს ისეთი სასწავლო პროგრამები, რომლებიც ადგილობრივებს განუვითარებს ზოგად უნარებს და რელევანტური იქნება ყველა ტიპის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული პირებისთვის:

- უცხო ენები (ინგლისური, რუსული ახალგაზრდებისთვის, ქართული ეთნიკური უმცირესობებისთვის;
- ციფრული კომპეტენციები (კურსი დიფერენცირებული უნდა იყოს საბაზისო და მოწინავე ციფრული უნარების მქონეთა მიხედვით);
- ბუღალტერია;
- ფინანსების მართვა და ბიუჯეტირება;
- პროექტის მომზადება და ბიზნესგეგმის შედგენა;
- მარკეტინგი, ციფრული მარკეტინგი;
- PR.

დანართები:

ცხრილი 1: 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და სქესის მიხედვით

მოსახლეობის რიცხოვნობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და სქესის მიხედვით	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
წალკის მუნიციპალიტეტი	**18,849**	**9,395**	**9,454**
ქ. წალკის ტერიტორიული ორგანო	**2,874**	**1,426**	**1,448**
ქ. წალკა	**2,326**	**1,158**	**1,168**
ტბეთი	548	268	280
დაბა ბედიანის ტერიტორიული ორგანო	**226**	**107**	**119**
დაბა ბედიანი	**148**	**75**	**73**
ხრამჰესი	78	32	46
დაბა თრიალეთის ტერიტორიული ორგანო	**634**	**320**	**314**
დაბა თრიალეთი	**565**	**284**	**281**
კავთა	69	36	33
სოფელი ავრანლო	**789**	**400**	**389**
ავრანლო	789	400	389
სოფელი აიაზმი	**415**	**192**	**223**
აიაზმი	415	192	223
სოფელი არწივანი	**485**	**259**	**226**
არწივანი	485	259	226
არჯევან-სარვანის თემი	**660**	**321**	**339**
არჯევან-სარვანი	547	264	283
გოდაკლარი	49	25	24
ჩოლიანი	64	32	32
სოფელი აშკალა	**960**	**454**	**506**
აშკალა	960	454	506
ბარეთის თემი	**1,043**	**527**	**516**
ბარეთი	397	205	192
იმერა	317	158	159
საბეჭისი	249	121	128
ლივადი	80	43	37
სოფელი ბერთა	**152**	**83**	**69**
ბერთა	152	83	69
ბეშთაშენის თემი	**856**	**428**	**428**
ბეშთაშენი	335	165	170
ახალშენი	439	216	223
სამადლო	82	47	35

სოფელი ბურნაშეთი	**305**	**156**	**149**
ბურნაშეთი	305	156	149
სოფელი განთიადი	**583**	**285**	**298**
განთიადი	583	285	298
სოფელი გუმბათი	**479**	**255**	**224**
გუმბათი	479	255	224
სოფელი დარაკოვი	**588**	**300**	**288**
დარაკოვი	588	300	288
სოფელი დაშბაში	**295**	**136**	**159**
დაშბაში	295	136	159
სოფელი თეჯისი	**243**	**127**	**116**
თეჯისი	243	127	116
სოფელი კაბური	**298**	**162**	**136**
კაბური	298	162	136
სოფელი კიზილ-ქილისა	**1,252**	**612**	**640**
კიზილ-ქილისა	1,252	612	640
კოხტას თემი	**637**	**324**	**313**
კოხტა	228	119	109
ჩრდილისუბანი	141	69	72
ხარება	268	136	132
სოფელი კუში	**532**	**252**	**280**
კუში	532	252	280
სოფელი ნარდევანი	**1,055**	**510**	**545**
ნარდევანი	1,055	510	545
სოფელი ოზნი	**485**	**227**	**258**
ოზნი	485	227	258
სოფელი რეხა	**328**	**177**	**151**
რეხა	328	177	151
სოფელი სამება	**693**	**350**	**343**
სამება	693	350	343
სოფელი საყდრიონი	**567**	**301**	**266**
საყდრიონი	567	301	266
ჩივთ-ქილისის თემი	**392**	**201**	**191**
ჩივთ-ქილისა	345	179	166
თამალა ხარაბა	47	22	25
წინწყაროს თემი	**285**	**143**	**142**
წინწყარო	246	125	121
სანთა	39	18	21
სოფელი ხანდო	**184**	**92**	**92**
ხანდო	184	92	92
სოფელი ხაჩკოვი	**554**	**268**	**286**
ხაჩკოვი	554	268	286

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

ცხრილი 2: წალკის მუნიციპალიტეტში 2020 წლის აპრილის მდგომარეობით, სოციალურ პაკეტის მიმღებთა რაოდენობა სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით

	0-18 წლამდე შშმ პირი	მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირი	მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირი	ზომიერად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	მარჩენელ დაკარგული ოჯახის წევრი	სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებები	ომის მონაწილეები	სულ
წალკის რაიონი	35	87	295	44	461	97	8	15	581

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო, 2020

ცხრილი 3: მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა, 2020 წლის აპრილი

	რეგისტრირებულთა რაოდენობა		**საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა**		**რეგისტრირებულთა პროცენტული წილი მთელ მოსახლეობასთან***		**საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი რეგისტრირებულებთან**		**საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი მთელ მოსახლეობასთან***	
	ოჯახი	მოსახლეობა	ოჯახი	მოსახლეობა	ოჯახი	მოსახლეობა	ოჯახი	მოსახლეობა	ოჯახი	მოსახლეობა
წალკის მუნიციპალიტეტი	1,913	6,318	1,079	3,823	32.5	33.4	56.4	60.5	18.3	20.2

ცხრილი 4: ქვემო ქართლის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, 2009-2019* (ათასი კაცი) 15 წლისა და უფროსი ასაკის

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
სულ, 15+ მოსახლეობა	338.2	336.4	334.8	334.0	332.5	334.1	333.6	333.4	326.8	328.4	337.5
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	216.8	206.8	210.1	211.8	211.2	225.8	238.7	228.7	236.3	229.5	227.7
დასაქმებული	189.8	185.1	186.9	185.4	192.3	200.5	210.5	204.6	203.1	194.4	194.6
დაქირავებული	64.3	63.9	66.0	74.0	72.4	76.7	81.3	74.1	84.5	80.4	76.8
თვითდასაქმებული	125.3	121.0	120.7	111.0	119.7	123.8	129.1	130.3	118.6	113.9	117.8
გაურკვეველი	0.1	0.2	0.2	0.4	0.2	0.0	0.1	0.1	0.0	0.0	0.0
უმუშევარი	27.0	21.6	23.2	26.4	18.9	25.2	28.2	24.2	33.2	35.1	33.2
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	121.3	129.6	124.7	122.3	121.3	108.3	94.9	104.6	90.4	98.9	109.7
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	12.5	10.5	11.0	12.5	9.0	11.2	11.8	10.6	14.1	15.3	14.6
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	64.1	61.5	62.8	63.4	63.5	67.6	71.5	68.6	72.3	69.9	67.5
დასაქმების დონე (პროცენტებში)	56.1	55.0	55.8	55.5	57.8	60.0	63.1	61.4	62.2	59.2	57.7

*2009-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

წყარო: 2016 წლის ჩათვლით შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, 2017 წლიდან - სამუშაო ძალის გამოკვლევა.

ვამაყობთ მრავალფეროვნებით!

ბეთლემის ქ. N 27
0105, თბილისი
საქართველო
info@cenn.org
cenn.org
tsalkalag.ge